



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების კლასტერი:

მსახიობი (დრამის და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი) საბაკალავრო; თეატრის რეჟისორის საბაკალავრო;

ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის საბაკალავრო ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორილოტბარი/რეგენტი) საბაკალავრო;

სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო; მეტყველების კულტურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო; თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო;

თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

2023 წლის 24-26 ივლისი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი
24.08.23

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	203851028
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დარკო ლუკიჩი, დამოუკიდებელი მეცნიერი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნატალია თვალჭრელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ელისო ფანცხავა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლიანა ჭონიშვილი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ქვათაძე, BAU საერთაშორისო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ჯოვანა აბლოთია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი შპს, საქართველო

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7	პროგრამა 8
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მსახიობი (დრამის და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი)	თეატრის რეჟისორი	ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი	ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი	სადადგმო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)	მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)	თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)	თეატრის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგია)
უმადლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამსახიობო ხელოვნების ბაკალავრი	თეატრის რეჟისურის ბაკალავრი	ქორეოგრაფიის ბაკალავრი	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობაში	ა) თეატრის რეჟისურის მაგისტრი ბ) ხელოვნების მაგისტრი ქორეოგრაფიაში	ხელოვნების მაგისტრი სასცენო მეტყველების კულტურაში	დრამატურგიის მაგისტრი	თეატრის რეჟისურის დოქტორი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0215.1.5 სამსახიობო ხელოვნება (დრამა, მუსიკალური თეატრი, პანტომიმა, თოჯინების თეატრი)	0215.1.2 თეატრის რეჟისურა (დრამის, მუსიკალურ ი თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის)	0215.1.6 ქორეოგრაფია	0215.1.13 ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობა	0215.1.2 თეატრის რეჟისურა (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) 0215.1.6 ქორეოგრაფია	0215.2.1 სასცენო მეტყველების კულტურა	0215.2.2 დრამატურგია (ტელე, კინო, თეატრი)	0215.1.2 თეატრის რეჟისურა (დრამის, მუსიკალურ ი თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება								
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240	240	240	120	120	120	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ა რააკრედიტებული	აკრედიტებული, 336, 25.11.2011	აკრედიტებუ ლი, 336, 25.11.2011	აკრედიტებული, 336, 25.11.2011	აკრედიტებულ ი, 336, 25.11.2011	აკრედიტებული, 282, 02.08.2012	აკრედიტებუ ლი, 282, 02.08.2012	აკრედიტებული, 282, 02.08.2012	აკრედიტებუ ლი, 287, 02.08.2012

/ პირობით აკრედიტებული/ახ ალი/საერთაშორის ო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)								
-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	--	--	--	--	--	--	--

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ¹**

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნების კლასტერი მოიცავს 8 პროგრამას უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე:

1. **მსახიობი (დრამის და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი) (ბაკალავრიატი);** სავალდებულო მოდულის სწავლება მოიცავს რვა სემესტრს.

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა 240 კრედიტია, ხოლო სავალდებულო ნაწილი ნაწილდება სპეციალობის პროფილების მიხედვით 1. დრამისა და კინოს მსახიობი - 138 კრედიტი; 2. მუსიკალური თეატრის მსახიობი - 138 კრედიტი; 3. პანტომიმის თეატრის მსახიობი - 126 კრედიტი; 4. თოჯინების თეატრის მსახიობი - 132 კრედიტი; რაც შესაძლებელს ხდის პროგრამის თითოეული ნაწილისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2. **თეატრის რეჟისორი - საბაკალავრო პროგრამა** - მოიცავს 240 კრედიტს. პროგრამის ძირითადი სავალდებულო მოდული არის საგანმანათლებლო პროგრამის 50% - 120 კრედიტი და განაწილებულია სემესტრულად, ყოველ სემესტრში 15 კრედიტით, საკვალიფიკაციო შემოქმედებითი პროექტის ჩათვლით. ძირითადი მოდული „რეჟისურის ხელოვნება“ შედგება საგნების ჯგუფისგან, რომელიც ემსახურება რეჟისორის პროფესიულ-შემოქმედებითი უნარების ეტაპობრივ განვითარებას.

3. **ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი - საბაკალავრო პროგრამა.** საბაკალავრო პროგრამის მოცულობა არის 240 კრედიტი. განაწილების მიხედვით, შესაძლებელია ზოგადი საუნივერსიტეტო კურსებიდან 30 კრედიტის დაგროვება. ძირითადი მოდული „შემოქმედებითი ქორეოგრაფის ოსტატობა“, რომელიც განკუთვნილია ძირითადი სპეციალობისთვის, შეადგენს 136 კრედიტს.

აუცილებელი დისციპლინები მოიცავს 60 კრედიტს. პროგრამის სტუდენტები ეცნობიან ქართული ცეკვის ქორეოგრაფიის სპეციფიკას.

4. **ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი - საბაკალავრო პროგრამა** 240 კრედიტის მოცულობით, განაწილებულია სავალდებულო, საბაზო, დამხმარე და არჩევით კურსებზე. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ აირჩიონ დამატებითი სპეციალობის დისციპლინები, რათა გაეცნონ მუსიკალური ხელოვნების სპეციფიკას შესავალი კურსების სახით. კრედიტების განაწილება დისციპლინებს მიხედვით იყოფა 4 ჯგუფად: პროფესიულ-შემოქმედებითი ბლოკი 121 ECTS (მათ შორის 15 ECTS ბაკალავრიატის საკვალიფიკაციო პროექტისთვის), დამხმარე პროფესიული სასწავლო კურსები - 72 ECTS, ზოგადი საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები - 27 ECTS და თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსი - 20 ECTS.

5. **სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა** აერთიანებს ორ მოდულს: თეატრის სარეჟისორო მოდული და ქართული ცეკვის ქორეოგრაფის მოდული. კრედიტების განაწილება იძლევა გარანტიას, რომ სპეციალობის მოდულის სავალდებულო კურსებზე გათვალისწინებულია 40 კრედიტი, ზოგად საუნივერსიტეტო კურსებზე და სხვა აქტივობებზე 45 კრედიტი, ხოლო 20 კრედიტი ეთმობა საკვალიფიკაციო ნაშრომს და 15 კრედიტი არჩევით კურსებს.

¹პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

კვლევის კომპონენტი, რომელიც მთლიანად მიმართულია სამაგისტრო კვლევითი უნარების განვითარებაზე, მოიცავს 40 კრედიტს, ხოლო პრაქტიკული/კრეატიული კომპონენტი 35 კრედიტს.

6. მეტყველების კულტურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს 4 სემესტრს 120 კრედიტით. სამაგისტრო პროგრამაში კრედიტები ნაწილდება სავალდებულო სპეციალობის კურსებზე 35 კრედიტით, ზოგად საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებზე 20 კრედიტით, არჩევით კურსებზე 20, კვლევით კომპონენტზე 35, საკურსო ნაშრომზე 5 და სამაგისტრო ნაშრომზე 20 კრედიტით. საკურსო ნაშრომი სრულდება სწავლების მეორე სემესტრში, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი სრულდება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნით ეტაპზე.

7. თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების 4 სემესტრს, რომელიც შედგება 120 კრედიტისგან და შემდეგნაირად ნაწილდება სწავლის 5 ძირითად კომპონენტზე: 35 ECTS გათვალისწინებულია სავალდებულო სპეციალობის კურსებისთვის, 20 ECTS კრედიტი საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებისთვის, არჩევითი კურსი 20 ECTS, კვლევის კომპონენტი 35 ECTS და პრაქტიკული/კრეატიული კომპონენტი 35 ECTS. 5 კრედიტიანი საკურსო და 20 კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომი შემოქმედებითი მიმართულებისთვის წარმოადგენს პრაქტიკულ, შემოქმედებით პროდუქტსა და აკადემიურ ნაშრომს, რომელიც სრულდება დამოუკიდებელი კვლევის შედეგად.

8. თეატრის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგია) - სადოქტორო პროგრამის სასწავლო კურსები იყოფა რამდენიმე ჯგუფად: სემინარები სპეციალობის დისციპლინაში, რომელზეც 30 კრედიტია გამოყოფილი, რეჟისურის თეორია და პრაქტიკა და რეჟისორთან მუშაობა 10 კრედიტით, საუნივერსიტეტო კურსები 20 კრედიტით, ხოლო 5 კრედიტი ეთმობა ლიტერატურული ტექსტის ადაპტაციის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს დრამატულ თეატრში, ქართული თეატრის ეთნოგენური თავისებურებები და ჟანრული სტრუქტურა, პრაქტიკული კომპონენტი დოქტორანტის ხელმძღვანელობით და არჩევითი კურსები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2023 წლის 24, 25 და 26 ივლისს მოეწყო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებს, კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების ხელმძღვანელებს, დაინტერესებულ მხარეებს, აკადემიურ პერსონალს, ასევე მოწვეულ ლექტორებს, სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციების ხელმძღვანელებს, მოქმედ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს კლასტერში წარმოდგენილი რვავე პროგრამიდან.

ექსპერტთა ჯგუფმა სათანადოდ დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალური რესურსები. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის სტუდენტური თეატრის ორი სცენა - დიმიტრი ალექსიძის თეატრი და მიხეილ თუმანიშვილის სცენა, ცეკვისა და სასცენო მოძრაობის კლასები. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე იხილა კოსტიუმებისა და რეკვიზიტების კოლექცია, რომელსაც უნივერსიტეტი ინახავს სტუდენტების საშემსრულებლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ეწვია სამკერვალო სახელოსნოს, სადაც მზადდება ახალი კოსტიუმები.

მეორე კორპუსში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა ღია ცის ქვეშ არსებული სცენა, გამომცემლობა „კენტავრი“, კინო, ტელესტუდია, ხმის ჩამწერი სტუდია და ხალხური ინსტრუმენტების შთამბეჭდავი კოლექცია, რომელსაც უნივერსიტეტი ფლობს.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დათვალიერებისას, ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა შეემოწმებინა წიგნებისა და რიდერების ხელმისაწვდომობა და ენახა ფილმებისა და ჩანაწერების კოლექცია, ასევე უნივერსიტეტის არქივები.

ვიზიტი ჩატარდა მშვიდ, პროფესიულ ატმოსფეროში, გარდა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრისა, სადაც მუსიკისა და დრამის თეატრის წარმომადგენელმა აგრესიული შენიშვნები გააკეთა ექსპერტთა ჯგუფისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლების მიმართ. შედეგად, აღნიშნული შეხვედრა, დაგეგმილზე ხანმოკლე აღმოჩნდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების კლასტერი შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

კერძოდ:

მსახიობი (დრამის და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი) (ზაკალავრიატი):

სტანდარდტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარდტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარდტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარდტი 5: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 2 (თეატრის რეჟისორი, ზაკალავრიატი):

სტანდარდტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარდტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარდტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარდტი 5: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 3 (ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი, ზაკალავრიატი):

სტანდარდტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარდტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარდტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 4 (ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი, ბაკალავრიატი):

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 5 (სადადგმო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა):

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 6 (მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) მაგისტრატურა):

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შეესაბამება მოთხოვნებს

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 7 (თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა):

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 8 (თეატრის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა):

სტანდარტი 1: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1.2. ქვე-სტანდარტი:

პროგრამა 8: (თეატრის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა):

რეკომენდებულია, უმაღლესი დონის სწავლის შედეგების უფრო ზუსტად და მკაფიოდ ჩამოყალიბება;

რეკომენდებულია, სამეცნიერო და მხატვრული კვლევის შედეგების ერთმანეთისგან გამიჯვნა და მათი ურთიერთდაკავშირების ნათლად დემონსტრირება.

1.3. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა გადაამზადოს პერსონალი, განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი, დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით პროგრამის სამიზნე ნიშნულების წერაში.

1.4. ქვე-სტანდარტი:

პროგრამა 5 (სადადგმო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა):

რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომში წყაროების მითითების მინიმალური ბარიერის დადგენა, კონკრეტულად დაახლოებით 20 წყარო, სამეცნიერო სტატიების ჩათვლით. გარდა ამისა, მაგისტრატურის სტუდენტები უნდა წახალისდნენ, რომ გამოიყენონ ის მდიდარი კვლევითი გამოცდილება, რომელიც შეიძინეს მათი პროგრამის ძლიერი კვლევითი მოდულის, განსაკუთრებით კი აკადემიური წერის კურსის მეშვეობით.

პროგრამა 6: (მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა):

რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომში წყაროების მითითების მინიმალური ბარიერის დადგენა, კონკრეტულად დაახლოებით 20 წყარო, სამეცნიერო სტატიების ჩათვლით. გარდა ამისა, მაგისტრატურის სტუდენტები უნდა წახალისდნენ, რომ გამოიყენონ ის მდიდარი კვლევითი გამოცდილება, რომელიც შეიძინეს მათი პროგრამის ძლიერი კვლევითი მოდულის, განსაკუთრებით კი აკადემიური წერის კურსის მეშვეობით.

პროგრამა 7: (თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:

რეკომენდებულია, სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის სიების განახლება უახლესი, ყველაზე აქტუალური და თანამედროვე ავტორებითა და სათაურებით;

რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომში წყაროების მითითების მინიმალური ბარიერის დადგენა, კონკრეტულად დაახლოებით 20 წყარო, სამეცნიერო სტატიების ჩათვლით. გარდა ამისა, მაგისტრატურის სტუდენტები უნდა წახალისდნენ, რომ გამოიყენონ ის მდიდარი კვლევითი გამოცდილება, რომელიც შეიძინეს მათი პროგრამის ძლიერი კვლევითი მოდულის, განსაკუთრებით კი აკადემიური წერის კურსის მეშვეობით.

პროგრამა 8: (თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები

რეკომენდებულია, რომ დოქტორანტებმა კვლევა ჩაატარონ თანამედროვე, თავიანთ დისციპლინებთან შესაბამის სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით და გამოიყენონ ის მდიდარი კვლევითი გამოცდილება, რომელიც მათ შეიძინეს პროგრამის ძლიერი კვლევითი მოდულის, განსაკუთრებით კი აკადემიური წერის კურსის მეშვეობით.

1.5. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

- ექსპერტების აზრით, სილაბუსების შინაარსის ნაწილი ნათლად უნდა ასახავდეს მეთოდების ნაწილში აღწერილი მეთოდოლოგიების განხორციელებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კურსებისთვის, რომლებიც რამდენიმე სემესტრის განმავლობაში გრძელდება, რადგან ის ასახავს, როგორ ეხმარება ეს მეთოდები ეტაპობრივ და განვითარებად სასწავლო პროცესს - როგორ გადადის შესავალი ეტაპებიდან უფრო მაღალ დონეზე. იმ შემთხვევებში, როდესაც კურსში გამოყენებული მეთოდების რაოდენობა აღემატება დოკუმენტაციაში მითითებულს (როგორც დადასტურდა გასაუბრებების დროს), აუცილებელია მოხდეს მათი ზუსტი ასახვა სილაბუსის მეთოდების ნაწილში;
- განათლების უმაღლესი ხარისხის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია სილაბუსების გაძლიერება ყველა დეტალზე ზედმიწევნითი ყურადღების მიქცევით. ექსპერტების რეკომენდაციით, ნებისმიერი გაუმართავი წინაპირობა უნდა გასწორდეს, ეს ეხება გამოტოვებულ სასემინარო აქტივობებს და შეფასების სისტემების დახვეწას ხარისხის უზრუნველყოფის (QA) გუნდთან მჭიდრო თანამშრომლობით.

პროგრამა 1 (მსახიობი (დრამის და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი), ბაკალავრიატი:

1. რეკომენდებულია ყველა სილაბუსების გადახედვა ანალიზში მოცემული კომენტარების მიხედვით და სილაბუსების განახლება.
2. რეკომენდებულია სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის სიების განახლება უახლესი, ყველაზე აქტუალური და თანამედროვე ავტორებითა და სათაურებით.

3. ქართულენოვანი წყაროების მნიშვნელოვანი სიმცირის გათვალისწინებით, აუცილებელია მოიძებნოს გამოსავალი კურსისთვის „თოჯინების თეატრის მსახიობობის ოსტატობა - I-VIII“. ექსპერტების რეკომენდაციით, უნდა შეიქმნას საკითხავი მასალა ან ელექტრონული კურსი, სადაც შევა კურსის სასწავლო გეგმის ფარგლებში გაშუქებული ყველა ძირითადი თემა. წყაროს მასალა უნდა შეიცავდეს დარგის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლის ნამუშევრებს, როგორცაა სერგეი ობრაზცოვი (სასურველია, თარგმანში, რადგან ახალგაზრდა თაობა რუსულად არ საუბრობს) და ისეთ სახელმძღვანელოებს, როგორცაა დევიდ კარელის „თოჯინების თეატრის სრული წიგნი“; ჰენრიკ იურკოვსკის, პენი ფრენსისის „თოჯინების თეატრის ასპექტები“; პენი ფრენსისის "თოჯინების თეატრი: მკითხველი თეატრალურ პრაქტიკაში" და ა.შ.

პროგრამა 2 (თეატრის რეჟისურა), ბაკალავრიატი:

1. რეკომენდებულია ყველა სილაბუსების გადახედვა ანალიზში მოცემული კომენტარების მიხედვით და სილაბუსების განახლება.
2. რეკომენდებულია სახელმძღვანელოების და ლიტერატურის სიების განახლება უახლესი, ყველაზე აქტუალური და თანამედროვე ავტორებითა და სათაურებით.

პროგრამა 3 (ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი), ბაკალავრიატი:

1. რეკომენდებულია ყველა სილაბუსის გადახედვა ანალიზში მოცემული კომენტარების მიხედვით და სილაბუსების განახლება.
2. სილაბუსი „კლასიკური ცეკვა I- VII“ შვიდივე სემესტრში ეყრდნობა ერთ სავალდებულო სახელმძღვანელოს: „ა. ი. ვაგანოვას კლასიკური ცეკვის საფუძვლები“, რომელიც თარგმნა ლილი გვარამაძემ 1940 წელს. ექსპერტების რეკომენდაციით, მართალია, კლასიკური ცეკვის კურსის პრაქტიკული აქცენტი უნდა შენარჩუნდეს, მაგრამ არსებულ ძირითად მასალას უნდა დამატოს თანამედროვე სახელმძღვანელოები. ასევე რეკომენდებულია კურსის შინაარსის გაზრდა ელექტრონული რესურსებით, როგორცაა ნაწყვეტები ცნობილი საბალეტო სპექტაკლებიდან, მასტერ-კლასები გამორჩეული ქორეოგრაფებისა და მოცეკვავეების ხელმძღვანელობით, ასევე ნაწყვეტები შესაბამისი ვიდეოებიდან და ფილმებიდან. თანამედროვე რესურსებისა და ელექტრონული მასალების ეს დამატება გაზრდის პროგრამის სტუდენტების სასწავლო გამოცდილებას.

პროგრამა 4: (ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი), ბაკალავრიატი:

დირიჟორობა 1 - მოთხოვნიდან უნდა ამოიღოთ საგუნდო პარტიტურების დაკვრა და საჩვენებლად დაამატოთ მსოფლიო საგუნდო მუსიკის ნიმუშები.

პროგრამა 5: (სადადგმო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:

1. რეკომენდებულია სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის სიების განახლება უახლესი, ყველაზე აქტუალური და თანამედროვე ავტორებითა და სათაურებით.

პროგრამა 7: (თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:

რეკომენდებულია ყველა სილაბუსის გადახედვა ანალიზში მოცემული კომენტარების მიხედვით და სილაბუსების განახლება.

პროგრამა 8 (თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები:

პროგრამას აკლია ანალოგი სადოქტორო პროგრამების სიღრმისეული ანალიზი, კომპონენტი, რომელიც, ექსპერტების აზრით, გადამწყვეტია პროგრამის ეფექტურობისა და გაუმჯობესებისთვის. კატეგორიულად რეკომენდებულია ასეთი ანალიზის მიწოდება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

რეკომენდებულია ყველა სილაბუსში დაემატოს კვლევის მკაცრი წესები და დაინერგოს „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ სილაბუსში შემუშავებული მაღალი აკადემიური სტანდარტები.

რეკომენდებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის განახლება სამემსრულებლო თეორიისა და თანამედროვე დრამატურგიის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორებითა და სათაურებით, მაგ., თეორეტიკოსები ჟან დივინიო, რიჩარდ შეხნერი, პატრის პავისი, ერიკა ფიშერ-ლიხტე, ჰანს-ტიეს ლემანი, მარვინ კარლსონი ან მანფრედ პფისტერი, ან ისეთი დრამატურგები, როგორებიც არიან ჰაინერ მიულერი, სარა კეინი, მარკ რავენჰილი, ბოტო შტრაუსი, ელფრიდე იელინეკი, როლანდ შიმელპფენიგი, იასმინს რეზა, ბერნარ-მარი კოლტესი ან მოჰამედ ელ ხატიბი.

კურსი "ლიტერატურული ტექსტის ადაპტაცია დრამატულ თეატრში (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები)" ძალიან ჰგავს ბაკალავრიატის კურსს "ლიტერატურული ტექსტი დრამატულ თეატრში". ექსპერტები გვთავაზობენ კურსის ძირითადი მიზნების, მეთოდოლოგიებისა და შეფასების მექანიზმების გაუმჯობესებას, რის შედეგადაც დოქტორანტები უფრო დახვეწილ და დატალურ სასწავლო გამოცდილებას მიიღებენ.

2.1. ქვე-სტანდარტი:

პროგრამა 2: (თეატრის რეჟისორი), ბაკალავრიატი:

პროგრამაზე დაშვების პროცესის კიდევ უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის, რეკომენდებულია გამოქვეყნდეს პროგრამის შემოქმედებითი კონკურსის მოთხოვნები.

პროგრამა 4: (ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი), ბაკალავრიატი:

ცვლილებები შემოქმედებითი ტურის მოთხოვნებში უნდა განხორციელდეს 2024-25 წლებისთვის. უსდ-მ შინაარსიდან უნდა ამოიღოს შემდეგი: ინტერვალების გამოცნობა, მუსიკის თეორიის ელემენტარული ცოდნის დემონსტრირება.

პროგრამა 5: სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:

სავალდებულოა, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამაზე დაცული იყოს პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და ოფიციალური ტესტის საშუალებით მოხდეს დასაბუთება, რომ ყველა კანდიდატი აკმაყოფილებს ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნას.

პროგრამა 6: (მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:

სავალდებულოა, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამაზე დაცული იყოს პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და ოფიციალური ტესტის საშუალებით მოხდეს დასაბუთება, რომ ყველა კანდიდატი აკმაყოფილებს ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნას.

პროგრამა 7: (თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:

სავალდებულოა, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამაზე დაცული იყოს პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და ოფიციალური ტესტის საშუალებით მოხდეს დასაბუთება, რომ ყველა კანდიდატი აკმაყოფილებს ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნას.

პროგრამა 8: (თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა:

სავალდებულოა, რომ პროგრამამ სრულყოფილად და დეტალურად გამოაქვეყნოს პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

2.2. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

1. რეკომენდებულია კვლევებთან დაკავშირებული ყველა სილაბუსში დაინერგოს ის მკაცრი სტანდარტები, რომლებიც მოცემულია სილაბუსში „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“.
2. რეკომენდებულია ვენის 2020 წლის დეკლარაციის პრინციპების გამოყენება. (<https://societyforartisticresearch.org/wp-content/uploads/2020/10/Vienna-Declaration-on-Artistic-Research-Final.pdf>) ყველა მხატვრულ კვლევაზე

პროგრამა 8 (თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა:

რეკომენდებულია დოქტორანტურისთვის კვლევითი პროექტების ყველაზე რთული და ყველაზე მომთხოვნი ტიპებისა და მოდელების დანერგვა, რითაც თავიდან ავიცილებთ უფრო დაბალი, სამაგისტრო და საბაკალავრო დონის შესაფერისი კვლევების ჩატარებას.

2.3. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

პროგრამაში რეკომენდებულია უახლესი, თანამედროვე შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიების გამოყენება.

2.4. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

კურსის საერთო წარმატების მნიშვნელოვანი მაჩვენებელი არის შეფასების სისტემა. ექსპერტების რეკომენდაციაა, გასწორდეს სილაბუსებში არსებული ბუნდოვანი საკითხები. კერძოდ, საკითხი ეხება გამოცდების თემატიკისა და თემების რაოდენობის დაზუსტებას; საგამოცდო სტრუქტურას (რომელიც მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორცაა ღია კითხვები, ნაშრომები, პრეზენტაციები და ა.შ.) და გამოცდის ფორმატის დაზუსტებას - იქნება ეს წერილობითი თუ ზეპირი. ეს რეკომენდაცია ეხება ყველა სილაბუსს, რომელშიც არის აღნიშნული ხარვეზი და მიზნად ისახავს შეფასების პროცესში გამჭვირვალობისა და თანმიმდევრულობის გაზრდას.

პროგრამა 4: (ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი), ბაკალავრიატი:

თითოეულ სილაბუსში უნდა ჩაიწეროს 20-20 ქულის განაწილება და სტუდენტის დასწრება-ჩართულობისა და შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მითითებულია სტუდენტის შეფასების სქემაში.

ბ) კონკრეტულად საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში, შეფასების სისტემაში მოცემული სტუდენტის ზოგადი შეფასების სქემის ნაცვლად, დაემატოს მასწავლებლის მიერ შეფასების 30-ქულიანი სქემა. (იხ. TAFU-ს თვითშეფასების ანგარიში 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - მუხლი 4, "ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ქორემისტერი/რეგენტი)" - საბაკალავრო პროგრამა - საბაკალავრო ნაშრომის/საკვალიფიკაციო შემოქმედებითი პროექტის შეფასება).

პროგრამა 8 (თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა:

ექსპერტთა რეკომენდაციას სადოქტორო პროგრამის კურსების შეფასების სისტემა გახდეს უფრო კომპლექსური და რაფინირებული. დავალებები მოიცავდეს ფართო სპექტრს და მეტ აქცენტს აკეთებდეს კვლევაზე ორიენტირებულ ამოცანებზე. ზოგადად, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში გამოყენებული შეფასების სისტემების პირდაპირი გამოყენება შესაძლოა არ იყოს ყველაზე ოპტიმალური მიდგომა. დავალებები უნდა მოითხოვდეს უფრო ღრმა კვლევასა და კრიტიკულ ანალიზს, რომელიც შეესაბამება დოქტორანტურის ზედა დონის აკადემიურ მოთხოვნებს.

4.2. ქვე-სტანდარტი:

პროგრამა 8 (თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა:

დოქტორანტურის დონეზე სათანადო კვლევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამებისა და სადოქტორო დისერტაციების ყველა ხელმძღვანელს ჰქონდეს დოქტორის ხარისხი.

4.3. ქვე-სტანდარტი

კლასტერი:

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა წახალისოს თავისი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა, განსაკუთრებით მათი, ვინც ჩართულია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში, რათა გაზარდოს არა მხოლოდ მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, არამედ გამოაქვეყნოს სტატიები ადგილობრივ და საერთაშორისო რეცენზირებად (რეფერირებად ან სამეცნიერო) ჟურნალებში.

4.4. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა იმუშაოს ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის დივერსიფიკაციისთვის, გაამდიდროს ფონდები მნიშვნელოვანი თანამედროვე ავტორებით, რომლებიც დაკავშირებულია სწავლის სფეროებთან.

● რეკომენდებულია, ბიბლიოთეკას ჰქონდეს სილაბუსებში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა.

4.5. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ იმუშაოს ცალკე ბიუჯეტებზე კლასტერში წარმოდგენილი თითოეული პროგრამისთვის.

5.1. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწიოს დამსაქმებლებთან ოფიციალურ ურთიერთობებს. უნივერსიტეტის წევრებს აქვთ ზეპირი საუბრები მათთან და შეიძლება გამორჩეთ მნიშვნელოვანი უკუკავშირი პროგრამის(ებ)ის განვითარებისთვის.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობსა და მთავარი მისიის შესრულების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა ასევე უნდა შექმნას ხელსაწყოები აკადემიური კეთილსინდისიერებისა და მაღალი ხარისხის სადოქტორო პროგრამის უზრუნველსაყოფად .

5.2. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შექმნას პროგრამის გარე შეფასების სტრატეგია და დაეხმაროს უნივერსიტეტს, მიიღოს კოლეგიალური შეფასება კლასტერის თითოეული პროგრამისთვის, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

- რჩევები პროგრამების განვითარებისთვის
- 1.1. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

მიზანშეწონილია, უსდ-მ გაითვალისწინოს დარგების უახლესი ტენდენციები, ხოლო მიზნები სამიზნე ნიშნულებსა და დარგებში არსებულ ყველაზე წარმატებულ კარგ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოიყვანოს. რაც შეიძლება ადვილად და შედეგიანად გაკეთდეს თვითშეფასების ანგარიშში მოხსენიებული მრავალი გამორჩეული ინსტიტუტის იმ მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზით, რომლებიც ამ კონკრეტულ პროგრამაში ან თვითშეფასების ანგარიშის სხვა პროგრამებში მითითებულია, როგორც საერთაშორისო ინდიკატორი, ანალოგი.

1.4. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

ექსპერტების რჩევაა, დაემატოს რამდენიმე არჩევითი კურსი, რომელიც სტუდენტებს გააცნობს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მეთოდოლოგიებს შესაბამის დარგებში და გაზრდის კურსების ინტერნაციონალიზაციის დონეს, სასწავლო მასალებში ინგლისურენოვანი წყაროების დამატებით, კერძოდ გაერთიანებული სამეფოს ეროვნული თეატრის სასწავლო კრებულებიდან.

სასურველია დამატებითი უცხო ენის კურსების დამატება, კითხვისა და წერის აკადემიურ უნარებზე განსაკუთრებული აქცენტით, რაც გაზრდის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების კვლევით პოტენციალს საერთაშორისო დონეზე;

პროგრამა 4: (ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი), ბაკალავრიატი:

პროგრამის გასავითარებლად სასურველია მე-7 ან მე-8 სემესტრებში დამხმარე თეორიულ დისციპლინებს დაემატოს პოლიფონიის კურსი.

პროგრამის განვითარებისთვის სასურველია საგუნდო სწავლების კურსი პირველ სემესტრში გადავიდეს.

სასურველია მუსიკალური ანბანი, მუსიკის ელემენტარული თეორია და ქართული ჰარმონიის პრაქტიკული კურსები ძირითადი პროფესიული კურსების ბლოკიდან დამხმარე/პროფესიულ კურსებზე გადავიდეს. ხოლო საეკლესიო კითხვის წესები და საეკლესიო ლიტურგიის პრაქტიკული კურსები დამხმარე პროფესიული კურსების ბლოკიდან ძირითადი პროფესიული კურსების ბლოკში გადავიდეს.

უსდ- უნდა უზრუნველყოს: თითოეული კურსის სტატუსის და მისაღები წინაპირობების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან და სილაბუსთან, კონკრეტული კურსის (კურსების) მითითებით.

პროგრამა 5: სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:

მიზანშეწონილია, უსდ-მ განიხილოს სხვადასხვა არჩევითი კურსის უფრო ეფექტური შესაძლებლობები, რაც გააძლიერებს სტუდენტების მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად ანალიზის უნარებს და ამგვარად, ხელი შეეწყობა ცოდნისა და უნარების შეძენას, ასევე სწავლის სფეროსთან დაკავშირებული დამოუკიდებელი და ინდივიდუალური სამუშაოების შემუშავებას, ან ინდივიდუალურ გაკვეთილებს შემოქმედებითი კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, აკადემიური პერსონალის პირისპირ ან ონლაინ კონსულტაციების გამოყენებით.

პროგრამა 6: (მეტყველების კულტურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:

სასურველია, უსდ-მ განიხილოს, უფრო დარგობრივი არჩევითი კურსები, რათა ისინი უკეთესად მოერგოს პროგრამის კონკრეტულ მიზნებს.

პროგრამა 7: (თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:

მიზანშეწონილია, უსდ-მ განიხილოს სხვადასხვა არჩევითი კურსის უფრო ეფექტური შესაძლებლობები, რაც გააძლიერებს სტუდენტების მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად ანალიზის უნარებს და ამგვარად, ხელი შეეწყობა ცოდნისა და უნარების შეძენას, ასევე სწავლის სფეროსთან დაკავშირებული დამოუკიდებელი და ინდივიდუალური სამუშაოების შემუშავებას, ან ინდივიდუალურ გაკვეთილებს შემოქმედებითი კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და

გაუმჯობესების მიზნით, აკადემიური პერსონალის პირისპირ ან ონლაინ კონსულტაციების გამოყენებით.

პროგრამა 8: (თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა:

მიზანშეწონილია, უსდ-მ განიხილოს სხვადასხვა არჩევითი კურსის უფრო ეფექტური შესაძლებლობები, რაც გააძლიერებს სტუდენტების მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად ანალიზის უნარებს და ამგვარად, ხელი შეეწყობა ცოდნისა და უნარების შეძენას, ასევე სწავლის სფეროსთან დაკავშირებული დამოუკიდებელი და ინდივიდუალური სამუშაოების შემუშავებას, ან ინდივიდუალურ გაკვეთილებს შემოქმედებითი კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, აკადემიური პერსონალის პირისპირ ან ონლაინ კონსულტაციების გამოყენებით.

1.5. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

1. ექსპერტების რჩევით, ამ პროგრამებში სტრატეგიული აქცენტი უნდა გაკეთდეს როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებაზე. ბაკალავრიატის დონეზე, ინგლისური ენის კურსები B1- B2 დონის ფარგლებში შეიძლება გაძლიერდეს თუ ტრადიციულ სასწავლო გეგმას დაემატება ისეთი რესურსები, რომელიც ხელს უწყობს შესაბამისი პროფესიული ტერმინოლოგიის დაუფლებას. ხოლო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეზე, ინგლისურ ენაზე ჩატარებული არჩევითი კურსების დამატება არა მხოლოდ ენის ცოდნის ამაღლებას შეუწყობს ხელს, არამედ მიაწოდებს სტუდენტებს მოწინავე სასწავლო მასალებს, რითაც ხელს შეუწყობს ყოვლისმომცველ ლინგვისტურ და საგანმანათლებლო გამოცდილებას. გარდა ამისა, ენის შემსწავლელი გარემოს გასავითარებლად, ინგლისურენოვანი მასალების გამოყენება უნდა გაძლიერდეს სხვადასხვა კურსებში. ამას შეიძლება მოჰყვეს მრავალფეროვანი რესურსების ინტეგრაცია, როგორცაა სტატიები, აუდიო- ვიზუალური შინაარსი და უახლესი სახელმძღვანელოები, რაც საბოლოოდ გაამდიდრებს სწავლის პროცესს, გააძლიერებს სტუდენტებს განახლებული საგნებით და ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

2. ექსპერტების კატეგორიული რჩევაა მეტი რაოდენობის ქართულ/ ინგლისურ ენაზე სამეცნიერო სტატიებისა და უახლესი პუბლიკაციების გამოყენება თეორიული კურსების სილაბუსებში, განსაკუთრებით მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში. ეს მოწინავე საგანმანათლებლო ეტაპები მოითხოვს სტუდენტებისგან ინფორმირებულობას თავიანთ სფეროებში უახლესი მოვლენების შესახებ. ამისთვის, უნივერსიტეტის პერსონალმა უნდა ითანამშრომლოს უსდ-ს გამომცემლობასთან „კენტავრი“ და შექმნას ანთოლოგიები, რომლებიც მოიცავს საფუძვლიან ნაშრომებს მათ შესაბამის სფეროებში.

3. სასურველია ქართულ ენაზე ითარგმნოს მეტი ძირითადი ლიტერატურა.

პროგრამა 1: (მსახიობი (დრამის და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი), ბაკალავრიატი:

სასურველია ზემოაღნიშნულ ანალიზში ნახსენები და შემოთავაზებული თანამედროვე ლიტერატურისა და მეთოდოლოგიების დანერგვა.

ექსპერტების აზრით, უნდა გადაიხედოს „დრამის თეორიის“ კურსის ამჟამინდელი შინაარსი, რომელიც ამჟამად სრულდება სორენ კირკეგორის შეხედულებებით თეატრის შესახებ. ისინი გვთავაზობენ დამატებითი ძირითადი თეორიების ინტეგრაციას კურსის ყოვლისმომცველობის გასაუმჯობესებლად. უნდა დაემატოს შემდეგი თეორიები: ექსპრესიონიზმი, ეპიკური თეატრი

(ბრეტის თეატრი), აბსურდის თეატრი, ფსიქოლოგიური რეალიზმი თეატრში, პოსტკოლონიური თეატრი, ფემინისტური თეატრი, სისასტიკის თეატრი, სტრუქტურალიზმი და სემიოტიკა თეატრში, პოსტდრამატული თეატრი, თეატრის ანთროპოლოგია (ბარბა), პოსტჰუმანიზმი და იდენტობის თეორიები თეატრში და გლობალური და ტრანსკულტურული თეორიები თეატრში.

სასურველია, რომ კურსის სათაური „მსოფლიო და ქართული ლიტერატურის ისტორია“, რომელიც შეიძლება ცოტა ზედმეტად ზოგადი ჩანდეს, შეიცვალოს უფრო შესაფერისი ალტერნატივით: „მსოფლიო და ქართული ლიტერატურის შედარებითი ანალიზი: ძირითადი ლიტერატურული ასპექტების გამოკვლევა“. ეს დაზუსტებული სათაური უკეთ ასახავს კურსის შინაარსს არსს და მის აქცენტს როგორც მსოფლიო (ძირითადად ევროპული), ისე ქართული ლიტერატურის სპეციფიკური ასპექტების შესწავლაზე.

ექსპერტების აზრით, აკადემიური წერის კურსში უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს წერის პრაქტიკულ უნარებზე, მათ შორის არგუმენტების განვითარებაზე, წყაროების ინტეგრაციაზე და თანმიმდევრულობაზე. ეს კომპეტენციები განუყოფელია ეფექტური აკადემიური კომუნიკაციისთვის.

კურსებში რეკომენდებულია დიდი ბრიტანეთის ეროვნული თეატრის კოლექციების რესურსების ჩართვა. ეს სტრატეგიული ინკორპორაცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტების ცოდნას, უნარებს და ოსტატობას მათ შესაბამის სფეროებში.

პროგრამა 2: (თეატრის რეჟისორი), ბაკალავრიატი:

- o სასურველია ზემოაღნიშნულ ანალიზში ნახსენები და შემოთავაზებული თანამედროვე ლიტერატურისა და მეთოდოლოგიების დანერგვა.

o ძირითადი ლიტერატურა და მოწოდებული მაგალითები, როგორც ჩანს, ძირითადად დასავლურზეა ორიენტირებული. სასურველია კულტურისა და თეატრალური ტრადიციების უფრო ფართო სპექტრის მაგალითებისა და სახელმძღვანელოების ჩართვა, რაც უზრუნველყოფს რეჟისურის და თეატრალური ანალიზის უფრო სრულყოფილ გაგებას.

o ვინაიდან კურსის სათაურები ზუსტად უნდა ასახავდეს შინაარსს, ექსპერტების რჩევით, თეატრალური რეჟისურის ისტორიის კურსის სახელწოდება უნდა დაკონკრეტდეს როგორც „ქართული თეატრის რეჟისურის ისტორია“, რითაც ნათელი გახდება კურსის მიმართულება.

o კურსი „სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება I- II“ მოიცავს ტექსტის ნაწყვეტებს სალექციო თემის მიმოხილვის ნაცვლად. ეს შესამჩნევია VI, XII და XIV კვირაში. კურსის მასალის ეფექტურობის გასაზრდელად, სასურველია ეს ნაწილები გახდეს უფრო ლაკონური და ზუსტად წარმოადგენდეს ლექციის შინაარსს.

o კურსები "დრამის თეორია" და "დრამის სტრუქტურა" ამჟამად გამოყოფს 27 საათს დამოუკიდებელ მუშაობაზე, რაც გარკვეულწილად შეუსაბამოა, განსაკუთრებით მათი თეორიული ბუნების გათვალისწინებით, რომელიც დიდად არ ეყრდნობა "სწავლა კეთებით" მიდგომას. ამ კურსების მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროგრამამ უნდა განიხილოს მათთვის დამატებითი საათების მინიჭება.

პროგრამა 3: (ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი), ბაკალავრიატი:

სასურველია ზემოაღნიშნულ ანალიზში ნახსენები და შემოთავაზებული თანამედროვე ლიტერატურისა და მეთოდოლოგიების დანერგვა.

ექსპერტების რჩევით, უნდა გადაიხედოს კრედიტების განაწილება კურსზე „ინკლუზიური ცეკვა“. ამჟამად კურსი ორ კრედიტიანია (50 საათი), მაგრამ მისი მოცულობისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, უპრიანი იქნება მისი კრედიტის გაზრდა.

პროგრამა 4: (ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი), ბაკალავრიატი:

1. პროგრამის ხელმძღვანელმა კურსის წამყვანთან თანამშრომლობით უნდა გამოასწოროს ტექნიკური ხარვეზები, შეასწოროთ ბეჭდური შეცდომები, ნათლად განსაზღვრეთ შედეგები კურსის მიზნებთან მიმართებაში.
2. სასურველია, ძირითადი კურსების მოდულში განიმარტოს შემდეგი, მაგალითად: გუნდი 1- 7, ქართული ხალხური მუსიკა 1- 7, ხალხური საკრავები 1- 6, დირიჟორობა 1- 7 - მიზნები და შინაარსი მოკლედ უნდა იყოს აღწერილი დასაწყისში და შემდეგ კურსების მიხედვით უნდა დაზუსტდეს.

პროგრამა 5: სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:

სასურველია ზემოაღნიშნულ ანალიზში ნახსენები და შემოთავაზებული თანამედროვე ლიტერატურისა და მეთოდოლოგიების დანერგვა.

პროგრამა 6: (მეტყველების კულტურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:

კურსის სახელწოდება „XX ს. ქართული თეატრი“ უნდა დაზუსტდეს პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში. თავად სილაბუსში კონკრეტული პერიოდი განსაზღვრულია „ქართული თეატრი“ (1901-1936 წწ.) და შინაარსი შეესაბამება ამ კონკრეტულ პერიოდს. პროგრამაში სათაურის არასათანადოდ დაზუსტებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასწორი მოლოდინები ან ვარაუდები.

პროგრამა 7: (თეატრისა და კინოს დრამატურის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა:

XX საუკუნის ფილოსოფიის კურსი მოითხოვს გარკვეული ნაწილების შინაარსის გასწორებას. კერძოდ, არის შემთხვევები, როდესაც გარკვეული კვირებში მოცემულია ამონარიდები კურსის მასალიდან და არა მკაფიოდ განსაზღვრული თემები.

პროგრამა 8: (თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა:

სასურველია პროგრამამ დაიცვას Frascati Manual 2015 სახელმძღვანელო ყველა სამეცნიერო კვლევისთვის და 2022 წელს განახლებული წინადადებების სახელმძღვანელო შემოქმედებითი კვლევებისთვის ([https://aec-music.eu/media/2022/06/Cover-Letter-to-OECD_NESTI .pdf](https://aec-music.eu/media/2022/06/Cover-Letter-to-OECD_NESTI.pdf));

სასურველია შემოქმედებითი კვლევების მოთხოვნების მორგება „ვენის დეკლარაციის 2020“ ფარგლებში (<https://societyforartisticresearch.org/wp-content/uploads/2020/10/Vienna-Declaration-on-Artistic-Research->). საბოლოო.pdf);

ექსპერტების რჩევით, ამ პროგრამებში სტრატეგიული აქცენტი უნდა გაკეთდეს როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებაზე. ბაკალავრიატის დონეზე, ინგლისური ენის კურსები B1- B2 დონის ფარგლებში შეიძლება გაძლიერდეს თუ ტრადიციულ სასწავლო გეგმას დამატება ისეთი რესურსები, რომელიც ხელს უწყობს შესაბამისი პროფესიული ტერმინოლოგიის დაუფლებას. ხოლო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეზე, ინგლისურ ენაზე ჩატარებული არჩევითი კურსების დამატება არა მხოლოდ ენის ცოდნის ამაღლებას შეუწყობს ხელს, არამედ მიაწოდებს სტუდენტებს მოწინავე სასწავლო მასალებს, რითაც ხელს შეუწყობს ყოვლისმომცველ ლინგვისტურ და საგანმანათლებლო გამოცდილებას. გარდა ამისა, ენის შემსწავლელი გარემოს გასავითარებლად, ინგლისურენოვანი მასალების გამოყენება უნდა გაძლიერდეს სხვადასხვა კურსებში. ამას შეიძლება მოჰყვეს მრავალფეროვანი რესურსების ინტეგრაცია, როგორცია სტატიები, აუდიო-ვიზუალური შინაარსი და უახლესი სახელმძღვანელოები, რაც საბოლოოდ გაამდიდრებს სწავლის

პროცესს, გააძლიერებს სტუდენტებს განახლებული საგნებით და ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.

ექსპერტები ძლიერად ემხრობიან კავშირებს სხვადასხვა გარე წყაროებთან, როგორცაა საელჩოები და ეროვნული/ საერთაშორისო ფონდები, რათა ისარგებლონ დაფინანსებით, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სახელმძღვანელოების, სამეცნიერო ნაშრომების და არამხატვრული მასალების თარგმნასა და გამოცემას. ამას უპირველესი მნიშვნელობა აქვს კურსებისთვის, რომლებსაც აკლიათ შესაბამისი დარგის თანამედროვე სახელმძღვანელოები.

2.1. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

პროცესის კიდევ უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის, სასურველია გამოქვეყნდეს შემოქმედებითი კონკურსის დავალებების ნიმუშები.

2.2. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

1. სასურველია უცხოური კულტურული ცენტრების შესაძლებლობების გამოყენება კვლევისთვის საჭირო უახლესი და ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურის თარგმნისთვის.
2. სასურველია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მეტი საერთაშორისო მობილობის სტიმულირება ERASMUS+ პროგრამის ან სხვა გრანტებისა და მხარდაჭერის საშუალებით.
3. სასურველია კლასტერში ყველა მხატვრული და კვლევითი აქტივობის კოორდინაცია კონცეპტუალური და ინსტიტუციური ჩარჩოს მეშვეობით, რამაც კვლევით ამოცანებთან შესაბამისობაში მოყვანით შესაძლოა შედეგად გამოიღოს ინდივიდუალური საქმიანობის ფორმირება.
4. სასურველია თანამშრომლობის გაღრმავება საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორ ინსტიტუტებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან მხარდაჭერას და რესურსებს ახალი ერთობლივი არჩევითი კურსების დანერგვისთვის. უახლესი ტექნოლოგიების გამოცდილების მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა გაამდიდრებს სასწავლო გამოცდილებას და გააცნობს სტუდენტებს თავიანთი სფეროების უახლეს მიღწევებს.

2.3. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

ექსპერტების რჩევით, უნდა მოხდეს სწავლების მეთოდების დივერსიფიცირებული მიდგომა იმ საგნებში, რომლებიც მთელი პროგრამის განმავლობაში გრძელდება, და მოერგოს თითოეული კურსის სპეციფიკურ საჭიროებებს. ეს სტრატეგიული დივერსიფიკაცია აუცილებელია იმისათვის, რომ ეფექტურად წარმოჩნდეს მკაფიო და პროგრესული გადასვლა საბაზისო ცოდნისა და უნარებიდან მოწინავე ცოდნასა და უნარებზე.

ექსპერტების რჩევით, სწავლება- სწავლის ტრადიციულ მეთოდებთან ერთად, პროგრამამ უნდა გამოიყენოს ინოვაციური მიდგომები, როგორცაა შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი, ან ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მეთოდები. სამსახიობო/ რეჟისურის კურსებში შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი საშუალებას მისცემს სტუდენტებს აკონტროლონ თავიანთი სწავლა, ხელს შეუწყობს

აქტიურ ჩართულობას და მაქსიმალურად გაზრდის პრაქტიკულ გამოყენებასა და თანამშრომლობით სწავლაზე დახარჯულ დროს, ხოლო ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მეთოდების ინტეგრირებით სამსახიობო/ რეჟისურის სწავლებაში, პედაგოგებს შეუძლიათ მიიღონ ინოვაციები, მოერგონ ცვალებად სასწავლო გარემოს და მოამზადონ სტუდენტები თავიანთი პროფესიის მზარდი მოთხოვნებისთვის. ეს არის სამსახიობო და რეჟისორული ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების მრავალმხრივობასა და ეფექტურობასთან დაკავშირების უნიკალური შესაძლებლობა.

3.1. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

უნივერსიტეტმა უნდა იმუშაოს უფრო აქტიურად და უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, იყოს გახსნილი პარტნიორობისა და თანამშრომლობისთვის საერთაშორისო პარტნიორებთან, ხელი შეუწყოს სტუდენტთა მობილობას, რათა მისცეს მათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობის აქტივობებში და გაცვლით პროგრამებში.

4.3. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

მიზანშეწონილია აკადემიური პერსონალისთვის ინგლისური ენის სასწავლო კურსის ორგანიზება.

4.4. ქვე-სტანდარტი

პროგრამა 3: (ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი), ბაკალავრიატი:

სასურველია, საცეკვაო კლასებში სარემონტო სამუშაოები უმოკლეს ვადაში განხორციელდეს.

4.5. ქვე-სტანდარტი

კლასტერი:

სასურველია, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშაოს დაფინანსების მოზიდვის სტრატეგია და დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლის დივერსიფიკაციას დამატებითი რესურსების მოსაზიდად.

სასურველია, სასწავლო პროგრამების განხორციელების ხარჯების ოპტიმიზაცია, პროფესორის მიერ სწავლებაზე კურსებზე მეტი ტრანსლირებადი ლექციების ორგანიზება და მოწვეული ლექტორების დისტანციური ლექციების უზრუნველყოფა.

ექსპერტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ კავშირებს სხვადასხვა გარე წყაროებთან, როგორცაა საელჩოები და ეროვნული/საერთაშორისო ფონდები, რათა ისარგებლოთ დაფინანსების ინიციატივებით, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სახელმძღვანელოების, სამეცნიერო ნაშრომების და არამხატვრული მასალების თარგმნასა და გამოცემას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კურსებისთვის, რომლებსაც აკლიათ შესაბამისი დარგის თანამედროვე სახელმძღვანელოები.

ექსპერტები გირჩევთ, რომ მოიძიოთ დაფინანსება სხვადასხვა ეროვნული თუ საერთაშორისო ფონდებიდან, როგორცაა Horizon Europe (https://research-and-innovation.ec.europa.eu/funding/funding-opportunities/funding-programmes-and-open-calls/horizon-europe_en) ან რუსთაველის ფონდი

(<https://rustaveli.org.ge/>). ეს ფონდები გთავაზობენ გრანტებს და დაფინანსების შესაძლებლობებს, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციური საგანმანათლებლო ინიციატივების განხორციელებას.

5.1. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა გააკონტროლოს, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ მიიღო შეფასების შედეგები.

5.3. ქვე-სტანდარტი:

კლასტერი:

სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შექმნას მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზი კლასტერში განხილული ყველა პროგრამისთვის. ასევე, შედარებითი ანალიზი არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას მსგავსების, განსხვავებებისა და პროგრამის მომავალი განვითარების შესახებ.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)²

NA

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

იმ არგუმენტთან მიმართებით, რომ პროგრამების სახელწოდებები ფორმულირებული იყო არასწორად, ექსპერტთა ჯგუფს არ მოუფიქრებია პროგრამებისთვის ახალი სახელები, არამედ მხოლოდ იმუშავა იმ დოკუმენტებზე, რომლებიც მომზადებული და თარგმნილი იყო ან უსდ-ს ან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ექსპერტთა ჯგუფმა გულდასმით შეისწავლა როგორც ინგლისური, ასევე ქართული ვერსიები, გამოავლინა თარგმანის შეუსაბამობა, რამაც გამოიწვია სათაურების ცვლილებები. ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ პროგრამების სახელწოდებებთან დაკავშირებული შეუსაბამობები უკავშირდება თარგმანს.

კომენტარის სახით "თუმცა, ასეთი ამბიციური მიზნისთვის მნიშვნელოვანი ძალისხმევა უნდა გაკეთდეს ინგლისური ენის ცოდნის გასაძლიერებლად". ჩვენ ვიცით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება პროგრამების ინტერნაციონალიზაციისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, უსდ-ის ეს სურვილი და პრიორიტეტი ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა როგორც „ამბიციური მიზანი“. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი შეფასება სცილდება სტანდარტის კრიტერიუმებით დადგენილ მოთხოვნებს. ექსპერტთა პანელი ხაზს უსვამს არასწორი კომუნიკაციის კიდევ ერთ შემთხვევას, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა ენაში სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობით. ტერმინი "ამბიციური"

² პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისთვის/პროგრამებისთვის.

ინგლისურში არ ატარებს ნეგატიურ ტონს, მაშინ როდესაც ქართული ვერსია შეიძლება ატარებდეს. სამაგიეროდ, ის ხშირად გადმოსცემს სანაქებო ხარისხს, რომელიც ასახავს გრანდიოზულ გადაწყვეტილებას და მისწრაფებებს, რაც ასახულია „პროგრამის მასწავლებლებისა და სტუდენტების საერთაშორისო მხატვრულ სივრცეში ჩართვით“. ამრიგად, უმაღლესი სასწავლებლის კომენტარი, როგორც ჩანს, შეუსაბამოა.

რაც შეეხება არგუმენტს, პროგრამა 5 სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი, მაგისტრატურა)-ის მიზნები, რომლებიც აღწერილი იყო ანგარიშში არ ემთხვევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კონტენტს. (გვ. 27) ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო არგუმენტი და შეცვალა ტექსტი უსდ-ს რჩევის შესაბამისად.

რაც შეეხება არგუმენტს, რომ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება არ ეთანხმება ანგარიშში წარმოდგენილ გარემოებებს, რომ არცერთი ძირითად სილაბუსს არ აქვს ისეთი შინაარსი, რაც სრულად უზრუნველყოფს ასეთი უნარების გამომუშავებას და მიზნების მიღწევას“ (გვ. 27-28). ექსპერტთა ჯგუფმა გულდასმით გააანალიზა სილაბუსები და აღმოაჩინა, რომ ლიტერატურის ძირითადი ნაწილი არ არის განახლებული და არ შეესაბამება უახლეს ყველაზე მნიშვნელოვან კვლევებს (შინაარსობრივად, მეთოდოლოგიასა და რეფერენციალურობას), რასაც ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს როგორც საჭიროს თანამედროვე საშემსრულებლო პროგრამებისთვის, ამიტომ დასკვნა უცვლელი რჩება.

ქვეკომპონენტ 1.1. - ის არგუმენტთან მიმართებით "ექსპერტთა შეფასება არ პასუხობს შესაბამისი ქვეკომპონენტის შეფასების კრიტერიუმებს", ექსპერტთა ჯგუფი იღებს უსდ-ს ამ არგუმენტს და შესაბამისად, გადახედა შეფასებას.

პროგრამა 8, ქვესტანდარტ 1.1. -თან მიმართებით "სასურველია, დარგის ექსპერტებმა მკაფიოდ ჩამოაყალიბონ, კონკრეტულად რა ითვლება წარმატებულად, სამსახიობო, რეჟისურის, ქორეოგრაფიის, საგუნდო-დირიჟორის, თეატრისა და კინოს დრამატურგების სწავლების კარგი პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს წარმოდგენილი პროგრამების განვითარებას". ექსპერტთა ჯგუფი იღებს უსდ-ს თხოვნას და ამატებს შესაბამის დამატებით კომენტარს, რომ ეს შესაძლებელია გაკეთდეს მარტივად და ეფექტურად წარმატებული უსდ-ების შესაბამისი ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზით, რაც ნახსენები იყო თვითშეფასებაში როგორც საერთაშორისო ნიშნული.

უსდ-ს არგუმენტებთან დაკავშირებით, პროგრამა 8-ს რეკომენდაციებთან მიმართებით: თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა:

- რეკომენდებულია, უმაღლესი დონის სწავლის შედეგების უფრო ზუსტად და მკაფიოდ ჩამოაყალიბება;
- რეკომენდებულია, სამეცნიერო და მხატვრული კვლევის შედეგების ერთმანეთისგან გამიჯვნა და მათი ურთიერთდაკავშირების ნათლად დემონსტრირება.

ექსპერტთა ჯგუფი, განხილვის შემდეგ, მიიჩნევს რომ უსდ-ს არგუმენტები ჯერ კიდევ ძალიან განზოგადებული და მწირია. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოახერხა უფრო ზუსტი და კონკრეტული მტკიცებულებულების პოვნა ასეთი არგუმენტებისთვის სილაბუსებში. ამ

კონტექსტში, მხატვრული კვლევის განმარტება არ არის არასწორად ჩამოყალიბებული ან თარგმნილი, არამედ უნივერსიტეტმა უმაღლესი განათლების საფეხურზე უნდა მიღოს მხატვრული კვლევის სტანდარტები, რომლებიც აღწერილი და ნახსენებია ძირითად დოკუმენტებში და ლიტერატურაში, როგორც არის მეცნიერული კვლევები მაგალითად Frascati Manual: სახელმძღვანელო პრინციპები, OECD, პარიზი, 2015. და ევროპის კომისია; კვლევითი შეფასების სისტემის რეფორმისკენ, მოცულობითი ანგარიში, ბრიუსელი, 2021, და მხატვრული კვლევებისთვის მაგალითად: Hannula, M. (ed), Artistic Research Methodology; Narrative, Power and the Public, Peter Lang Publishing Inc., Oxford, 2014, Mateus-Berr, R. (ed) Teaching Artistic Research; Conversations Across Cultures, De Gruyter, Berlin, 2020., Vienna Declaration, 2020 (<https://societyforartisticresearch.org/wp-content/uploads/2020/10/Vienna-Declaration-on-Artistic-Research-Final.pdf>), and Frascati Manual: სიახლეები მხატვრულ კვლევაზე - (<https://aec-music.eu/news-article/frascati-manual-updates-on-artistic-research>), რომელიც განსაზღვრავს კვლევით სფეროებს. ასეთი დოკუმენტები, ისევე როგორც მათზე დაფუძნებული ლიტერატურა და პრაქტიკა, აშკარად განასხვავებს სხვადასხვა სახის მხატვრულ კვლევას კონკრეტული მხატვრული კვლევისგან უმაღლესი განათლების პროცესში. იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მეცნიერული და მხატვრული კვლევა არის საერთაშორისოდ სტანდარტიზირებული და განსხვავდება მეთოდოლოგიით, პროტოკოლით და შედეგებით, ეს განსხვავება და მათი ურთიერთმიმართება ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი პროგრამასა და სილაბუსებში. მეტიც, ასეთი სტანდარტები აუცილებელი პირობაა ERASMUS+ და HORIZON პროგრამებისთვის. დასკვნის სახით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს უსდ-სთვის გაცემულ რეკომენდაციებს და ტოვებს უცვლელად.

რაც შეეხება არგუმენტს, რომ „უსდ არ ეთანხმება კლასტერის 1.3 ქვეკომპონენტის შეფასებას "მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", მითუმეტეს რომ წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს საპირისპიროს, ქვესტანდარტის 1.3.-ის შეფასების კრიტერიუმებთან შესაბამისობასთან მიმართებით, გარდა შეხვედრებისა, რომლებიც ჩატარდა პირდაპირ უსდ-ში. ექსპერტთა ჯგუფი არ ცვლის რეკომენდაციას და მიზეზიც ნათელია. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის არცერთმა წევრმა ინტერვიუების დროს არ იცოდა პროგრამის დარგობრივი ნიშნულები. ზოგიერთი აკადემიური პერსონალი ვერ იგებდა პროგრამის სწავლის შედეგების იდეას. შესაბამისად, აუცილებელია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის და განსაკუთრებით პროგრამის ხელმძღვანელებისთვის, რომ მიიღონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან შესაბამისი და საჭირო ინფორმაცია სისტემატიურად.

პროგრამა 4, ქვესტანდარტ 1.4. თან მიმართებით: "ჩვენ სრულად ვეთანხმებით აღნიშნულ რეკომენდაციას, თუმცა გვჯერა, რომ ამ ტიპის ტექნიკური ან მცირე ხარვეზი, რომელიც არ ახდენს გავლენას საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსზე, წარმოადგენს არგუმენტს, რომ ქვეკომპონენტი 1.4. შეფასდეს როგორც "მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტთა პანელმა განიხილა უსდ-ს არგუმენტი და გადაწყვიტა აღნიშნული რეკომენდაციის რჩევის ნაწილში გადმოტანა. ამ კორექტირებამ თავისმხრივ გამოიწვია ცვლილება შესაბამისობის ნაწილშიც.

პროგრამა 5, ქვესტანდარტი 1.4.-ის არგუმენტებთან მიმართებით, სამაგისტრო ნაშრომში წყაროებისა და გვერდების რაოდენობასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რაოდენობა არ განაპირობებს ხარისხს. თუმცა, წარმოდგენილი სამაგისტრო თეზისების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს კვლევის მაღალი სტანდარტის შენარჩუნების აუცილებლობას. ამის მიღწევისთვის, ყველა სამაგისტრო პროგრამამ უნდა დააწესოს კონკრეტული ბარიერი წყაროების რაოდენობისთვის და, რაც მთავარია, მკაცრად გააკონტროლოს მათი სამეცნიერო სანდოობა. დამატებით, მნიშვნელოვანია ბიბლიოგრაფიის შედგენის დადგენილი სახელმძღვანელო პრინციპების დაცვა.

შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ცვლის რეკომენდაციას შემდეგნაირად: "უსდ-მ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამა ზედმიწევნით იცავდეს სამეცნიერო სანდოობის, შესაბამისობის, წყაროების გონივრული რაოდენობის სახელმძღვანელო პრინციპებს (არანაკლებ 10 სამეცნიერო-თეორიული ნაშრომი, სტატიების ჩათვლით) სამაგისტრო ნაშრომის თეორიული ნაწილისთვის, ასევე ბიბლიოგრაფიის მითითების წესებს, როგორც გათვალისწინებული მარეგულირებელ დოკუმენტში. დამატებით, მაგისტრატურის სტუდენტები უნდა წახალისდნენ, რომ გამოიყენონ ის კვლევითი ექსპერტიზა, რაც მათ პროგრამის კვლევითი მოდულის ფარგლებში შეიძინეს, განსაკუთრებით აკადემიური წერის კურსის ფარგლებში. "

რაც შეეხება იგივე არგუმენტს მე-7 პროგრამისთვის, იხილეთ პასუხი ზემოთ, პროგრამა 5-ისთვის.

რაც შეეხება იმავე არგუმენტს პროგრამას 5-თან დაკავშირებით, 2 სამაგისტრო თეზისი, რაც წარმოდგენილი იყო ანალიზისთვის მიყვებოდა იმ სტანდარტებს, რაც ექსპერტთა პანელის რეკომენდაციაში არის მოცემული, შესაბამისად, ექსპერტთა პანელმა გადაწყვიტა ამ კონკრეტული პროგრამისთვის ეს რეკომენდაცია მოხსნას.

რაც შეეხება არგუმენტს, რომ რეკომენდირებული წიგნი "სტანისლავსკი და პედაგოგიკა", სტეფან აკლინას რედაქციით, ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული და ეს სამჯერ არის გამეორებული უსდ-ს არგუმენტირებულ პოზიციაში, ექსპერტთა პანელი იღებს ამ არგუმენტს და შლის ამ შემოთავაზებას რეკომენდაციებიდან. თუმცა ექსპერტთა პანელს სურს დაამატოს, რომ თავად წიგნის შინაარსი უკვე გაზიარებულია საერთაშორისო აკადემიურ წრეებსა და თეატრალურ ასოციაციებში თითქმის ერთი წელია. ის უკვე შეფასებულია და რეკომენდირებულიც კი არის საგანმანათლებლო მიზნებისთვის თუმცა, უსდ დაჟინებით მოითხოვს საკუთარი შეფასების დამატებას გამოქვეყნებული მასალის წაკითხვასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, ექსპერტთა პანელი იღებს მათ პოზიციას და ყველა შესაბამისი ადგილიდან, რეკომენდაციებიდან ეს წიგნი არის ამოღებული.

რაც შეეხება რეკომენდაციას კლასტერისთვის, 1.5. ქვესტანდარტთან მიმართებით, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ვერ ასაბუთებენ ერთიდაიგივე მეთოდების გამოყენების საჭიროებას, იდენტური თანმიმდევრობით, 4 წლიანი აკადემიური კურსების მე-7 სემესტრის განმავლობაში. გასაგებია ის ფაქტი, რომ არ არსებობს მოლოდინი, რომ ყველა ხელმძღვანელი ზუსტად იგივე რაოდენობის მეთოდებს

გამოიყენებს, თუმცა იგივე მეთოდების განმეორებითი გამოყენება ქმნის მექანიკური რეპლიკაციის შთაბეჭდილებას. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია, რადგან სილაბუსებში იზრდება დავალებების კომპლექსურობა, შესაბამისი კურსებიდან დაწყებული უფრო კომპლექსურ კურსებამდე. შესაბამისად, სილაბუსები უნდა იყოს ნაჩვენები შესაბამისი განვითარებაც მეთოდების ნაწილში.

რაც შეეხება რეკომენდაციის მეორე პუნქტს 1 და 2 პროგრამის 1.5. ქვეკომპონენტთან მიმართებით, მეთოდების მექანიკური გამეორება სემესტრიდან სემესტრამდე და ბევრ სასწავლო კურსში დავალებების ზოგადი ფორმულირება გარკვეულ ბუნდოვანს ტოვებს მეთოდოლოგიის მართებულად გამოყენების საკითხთან მიმართებით. უსდ-მ გულდასმით უნდა შეამოწმოს სილაბუსებში მითითებული მეთოდების ნაწილი, რომ სათანადოდ ასახავდეს კურსების ფარგლებში გამოყენებულ ძირითად მეთოდებს და რომ სილაბუსის შინაარსობრივი ნაწილი შეესაბამება ძირითად მასალას.

რაც შეეხება 1-ლი და მე-2 პროგრამებში ტექსტის განახლების რეკომენდაციას, ექსპერტები არ ემხრობიან სახელმძღვანელოების ძირითადი წყაროების ამოღებას; თუმცა, ისინი რეკომენდაციას იძლევიან, რომ ბოლო 3-4 ათწლეულის განმავლობაში გამოცემული უახლესი სახელმძღვანელოები ინტეგრირებულ იქნას სილაბუსების უმრავლესობაში, კურსის შინაარსობრივი გაუმჯობესების მიზნით.

დრამის თეორიის შემთხვევაში, რომელიც მოიცავს კირკეგორის მოსაზრებებს თეატრზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, როგორც ჩანს, ნაკლებად ვალიდურია. ექსპერტები არ მოითხოვენ მეტად დეტალური და ყოვლისმომცველი ცოდნის მიწოდებას დარგის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ კურსის დასრულების შემდეგ, სახელწოდებით "დრამის თეორია", სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ ფართო და ზოგადი გაგება მე-20 და 21-ე საუკუნეების დრამის თეორიების ძირითადი ტენდენციების შესახებ.

პროგრამა 2 (ქვესტანდარტი 1.5.) -ში სახელმძღვანელოების განახლებასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით, ექსპერტები არ ემხრობიან სახელმძღვანელოების ძირითადი წყაროების ამოღებას; თუმცა, ისინი რეკომენდაციას იძლევიან, რომ ბოლო 3-4 ათწლეულის განმავლობაში გამოცემული უახლესი სახელმძღვანელოები ინტეგრირებულ იქნას სილაბუსების უმრავლესობაში, კურსის შინაარსობრივი გაუმჯობესების მიზნით.

British Theatre Collection არის "სხვადასხვა წყაროებიდან აუდიო-ვიზუალური მასალის სიმრავლის" მაგალითი და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს უცხოენოვანი მასალა, სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციისა და საზღვარგარეთ წასვლის პერსპექტივის გაზრდის მიზნით. აქ სავალდებულო დებულებაა სილაბუსებში აღინიშნოს სხვადასხვა აუდიო-ვიზუალური მასალის გამოყენების ფაქტი, ზუსტი მასალების დაზუსტების გარეშე, რაც თავისუფლად შეიძლება განსხვავდებოდეს სემინარების მიხედვით. "როგორც ინტერვიუებზე აღინიშნა, კურსის ფარგლებში გამოიყენება მსგავსი მასალა და ისინი უნდა აღინიშნოს სილაბუსებში.

არგუმენტი 1.5. ქვესტანდარტის შემთხვევაში, პროგრამა 3-თვის, ექსპერტები არ ემხრობიან სახელმძღვანელოების ძირითადი წყაროების ამოღებას; თუმცა, ისინი რეკომენდაციას იძლევიან, რომ ბოლო 5 ათწლეულის განმავლობაში გამოცემული უახლესი სახელმძღვანელოები ინტეგრირებულ იქნას კურიკულუმში. ეს გაამდიდრებს კურსის შინაარსს და გააცნობს სტუდენტებს სხვადასხვა კლასიკურ სასწავლო სისტემებსა და "ballet მეთოდებს". დამატებით, დაწესებულებას შეუძლია კიდევ უფრო გააძლიეროს მასტერკლასები და მასწავლებლებთან ერთად საბალეტო სპექტაკლებზე დასწრების პრაქტიკა უცხოენოვანი მასტერკლასების შემოღებით. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის პროცესს და გაზრდის სტუდენტთა პერსპექტივებს საზღვარგარეთ სწავლისა და დასაქმების მხრივ.

არგუმენტი პროგრამა 8 - თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურასთან მიმართებით, რეკომენდაცია 1.5. ქვესტანდართან დაკავშირებით:

"ჩვენ არ ვეთანხმებით ექსპერტების რეკომენდაციას კონკრეტული ავტორების დასახელებასთან დაკავშირებით, ინდივიდუალური სილაბუსის დაზუსტების გარეშე" ფაქტობრივად, უმჯობესი იქნებოდა, ეს რეკომენდაცია გაცემული ყოფილიყო რჩევის სახით". ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ ეს ვერ იქნებოდა რჩევა და არის რეკომენდაცია, რადგან ეს ავტორები არიან მსოფლიო თეატრალური მეცნიერებებისა და მხატვრული პრაქტიკის საყრდენები. რადგან ისინი არიან მსოფლიოში მიღებული და ბაზისი ნებისმიერი თეორიული და სამეცნიერო მიდგომისა თანამედრო თეატროლოგიის, დრამის, თეატრისა და საშემსრულებლო კვლევების, მათი მემკვიდრეობის ნაკლებობა პროგრამებსა და სილაბუსებში უარყოფითად აისახება სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე. განსაკუთრებით განათლების უმაღლესი საფეხურის სადოქტორო სწავლების შემთხვევაში, რეკომენდაციაში ნახსენები ავტორების ნაკლებობამ შესაძლოა არსებითად შეასუსტოს მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა და აქტუალობა ფართო კონტექსტში. შესაბამისად, მათი მემკვიდრეობა და გავლენა თანამედროვე დრამისა და თეატრის გაგებაზე უნდა დაინერგოს პროგრამებში; ხსენებული ავტორების ნებისმიერი კონკრეტული სათაურის ან თავის განაწილება მრავალ სხვადასხვა წიგნსა თუ პიესას შორის სხვადასხვა სილაბუსების მეშვეობით მთლიანად დამოკიდებულია თითოეული მასწავლებლის საგანმანათლებლო საჭიროებებზე და რომელიმე კონკრეტულ საკვლევ თემაზე. დასკვნის სახით, ექსპერტების ჯგუფი თანხმდება, რომ უსდ-თვის გაცემული რეკომენდაცია არ შეიცვლება.

არგუმენტი შეფასებასთან დაკავშირებით, რომ შეფასება "ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს" პროგრამა 8 -

თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა), დოქტორანტურა-ის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ ანალიზისა და კვლევის უახლესი მეთოდოლოგიების და განსაკუთრებით ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურის აშკარა ნაკლებობის საფუძველზე, პროგრამა კვლავ ნაწილობრივ თავსებადია და არსებობს მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ადგილი შეესაბამება მოთხოვნებს და საჭიროებს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ შეფასება რჩება უცვლელი.

- არგუმენტი კლასტერის ქვეკომპონენტის 2.1.-თან მიმართებით, რომ "მიზანშეწონილია გამოქვეყნდეს აბიტურიენტებისთვის აუდიენციის პროცესში გამოყენებული დავალების მაგალითი" ექსპერტთა ჯგუფი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ეს არ არის რეკომენდაცია, ეს არის რჩევა მთლიანი კლასტერისთვის და უსდ-ს აქვს თავისუფლება შეასრულებს თუ არა.
- პროგრამა 2 -ის ქვეკომპონენტი 2.1.-ის რეკომენდაციასთან დაკავშირებით " პროგრამაზე დაშვების პროცესის კიდევ უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის, რეკომენდებულია გამოქვეყნდეს პროგრამის შემოქმედებითი კონკურსის მოთხოვნები."

ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს, რომ ადვილზე ვიზიტის დროს წარმოდგენილი დოკუმენტები და არგუმენტირებული პოზიცია არ მოიცავს ინფორმაციას ამ კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით (თეატრის რეჟისორი, ბაკალავრიატი). რეკომენდაცია უცვლელი რჩება.

პროგრამა 4- ის ქვეკომპონენტი 2.1. თან მიმართებით, რეკომენდაცია: ცვლილებები შემოქმედებითი ტურის მოთხოვნებში უნდა განხორციელდეს 2024-25 წლებისთვის. შინაარსიდან შემდეგი კომპონენტი უნდა იქნას ამოღებული: გამოცანი ინტერვალები, აჩვენე ელემენტარული მუსიკის თეორიის ცოდნა." ექსპერტთა პანელი ადასტურებს, რომ 2023-2024 წლის დოკუმენტებში, რომელიც მოწოდებული იყო პანელისთვის, შეფასების პროცესში, ეს ცვლილება არ იქნა განხორციელებული. შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება.

პროგრამები 5, 6 და 7 თან და ქვეკომპონენტი 2.1. თან მიმართებით, რეკომენდაციები: "სავალდებულოა, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამაზე დაცული იყოს პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და ოფიციალური ტესტის საშუალებით მოხდეს დასაბუთება, რომ ყველა კანდიდატი აკმაყოფილებს ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნას". ექსპერტთა ჯგუფს სურს განაცხადოს:

ამჟამინდელ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა ჰკითხა სტუდენტებს თუ ჩააბარეს ინგლისური ენის კომპეტენციის ტესტი ან თუ წარმოადგინეს ენის დამადასტურებელი სერტიფიკატი ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობად. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა უპასუხედეს, რომ მათ არ ჩაუბარებიათ ტესტი და არ წარმოუდგენიათ ენის ცოდნის დამადასტურებელი მტკიცებულება. შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება.

რაც შეეხება არგუმენტს "უსდ კატეგორიულად არ ეთანხმება საშემსრულებო ხელოვნების პროგრამების შეფასებას ქვესტანდარტ 2.2. თან მიმართებით, მხოლოდ კვლევისა ან სამეცნიერო უნარების განვითარების კრიტერიუმებით და მაგალითად, სრულად უგულებელყოფს შემოქმედებით კომპონენტს". ექსპერტთა პანელი იზიარებს პოზიციას, რომ საუნივერსიტეტო დონეზე მხატვრული განათლების კვლევა, სამეცნიერო და თეორიული უნარ-ჩვევები მხატვრული უნარების განვითარების უმთავრესი წინაპირობა და განუყოფელი ნაწილია, განსაკუთრებით მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. ბაკალავრიატის დაწყებითი საფეხურის გარდა, გაუგებარია, როგორ იქნება შესაძლებელი მხატვრული და შემოქმედებითი კომპეტენციების მაღალი სტანდარტების მიღწევა

თეორიული საფუძვლის გარეშე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ შეფასება დარჩეს უცვლელი.

რაც შეეხება არგუმენტს კლასტერის რეკომენდაციასთან დაკავშირებით "დანერგეთ სწავლების მეთოდებისადმი დივერსიფიცირებული მიდგომა იმ საგნებში, რომელიც გრძელდება მთელი პროგრამის განმავლობაში, თითოეული კურსის საჭიროების შესაბამისად", უსდ-ს არგუმენტირებული პოზიცია ეხება რჩევას და არა ქვესტანდარტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციას. გადაწყვეტილება დანერგოს თუ არა ასეთი მეთოდები ექსპერტთა ანალიზის შესაბამისად, არის უსდ-ს უფლებამოსილება. ექსპერტთა ჯგუფი არაერთხელ უსვამს ხაზს, რომ „სტრატეგიული დივერსიფიკაცია აუცილებელია უნარებისა და ცოდნის ფუნდამენტური დონიდან უფრო მეტად განვითარებისთვის“

ქვესტანდარტი 2.3.-ის რეკომენდაციასთან დაკავშირებით: -"1. რეკომენდირებულია პროგრამაში უახლესი, თანამედროვე შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიების გამოყენება. " ეს იყო ტექნიკური შეცდომა დოკუმენტის შედგენისას.

ამ შეცდომამ გამოიწვია, რომ ეს რეკომენდაცია მთლიანი კლასტერისთვისაა, რამაც იმოქმედა შვიდივე პროგრამის შესაბამისობაზე. ტექნიკური საკითხი გამოსწორებულია და ახლა სხვა პროგრამების შესაბამისობის სტატუსი სათანადოდ მითითებულია. **თუმცა, თავდაპირველი რეკომენდაცია რჩება ვალიდურად პროგრამა 8 -ის შემთხვევაში.**

შეფასებაში ბუნდოვანებასა და ხარვეზების შესახებ (ქვეკომპონენტი 2.4.), ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა დოკუმენტის საფუძვლიანი განხილვა და დაადგინა პროგრამების სახელების არასწორი თარგმანი და ქართულ ვერსიაში არასწორად გამოყენებული ტერმინი „კრეატიული ნამუშევარი“. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინგლისურ ენაზე მომზადებული ანგარიში მოიცავს პროგრამის სათაურებს და ტერმინოლოგიას ისე, როგორც თვითშეფასებაშია მითითებული. მსგავსი გაუგებრობა თავიდან იქნება აცილებული თუ უსდ-ს წარმომადგენელი კიდევ ერთხელ შეამოწმებს ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშის შესაბამის სექციებს. დამატებით, დარღვეულ თანმიმდევრობასა და ნუმერაციასთან დაკავშირებული აღმოჩენილი ტექნიკური პრობლემები მოგვარებულია და გამოსწორებულია საბოლოო ანგარიშში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უსდ-ს მზაობა, რომ განიხილოს და გადახედოს ანგარიშში მითითებულ სილაბუსებს, დასაფასებელია. თუმცა, ჩვენ დავაფიქსირეთ კიდევ ერთი არასწორი თარგმანი კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც უმაღლესი სასწავლებელი არ ეთანხმებოდა ქვეკომპონენტ 2.4. ის რეკომენდაციას. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებაში, ჩვენ აღვნიშნეთ "სილაბუსებში არ არის ნახსენები, რამდენი თემა ფასდება გამოცდის დროს, ზეპირია თუ წერილობითი." ქულების განაწილება გულისხმობს, რომ გამოცდა მოიცავს მხოლოდ ერთ თეორიულ კითხვას, სცენარს, რომელიც ოპტიმალურად არ გვეჩვენება. სიცხადისა და თანმიმდევრულობის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია შუალედური და საბოლოო შეფასებების შემადგენლობა, ფორმატი და კრიტერიუმები დეტალურად იყოს აღწერილი“. დაზნეულობა გამოიწვია იმ საკითხმა, როცა სიტყვა "სცენარი" ითარგმნა როგორც "ხელნაწერი". რისი გადმოცემაც ექსპერტებმა განიზრახეს არის ის, რომ 20 ქულის განაწილება/დაყოფა შუალედურებისთვის (20 ქულის საერთო ქულებიდან) და 40 ქულის ფინალისთვის (40 ქულის საერთო ქულებიდან) ვარაუდობს,

რომ თითოეული გამოცდა ფასდება მხოლოდ ერთი თეორიული კითხვით. თუმცა, რადგან ამ კითხვის ტიპი და მასშტაბი არ არის დაკონკრეტებული, ექსპერტები ამ კონკრეტულ სიტუაციას, რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც „სცენარს“ (პოტენციური მოქმედებების ან მოვლენების აღწერა მომავალში), აფასებენ ოპტიმალურზე ნაკლებად.

- მე4 სტანდარტის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამა 8 "დოქტორანტურის დონეზე სათანადო კვლევის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამებისა და თეზისების ყველა ხელმძღვანელი ფლობდეს დოქტორის ხარისხს. " ექსპერტთა ჯგუფი არ ეხება აკადემიურ პოზიციაზე დასაქმებისა და სასწავლო აქტივობების ჩატარების სამართლებრივ ჩარჩოს. მეორე მხრივ, ექსპერტთა ჯგუფს ღრმად სჯერა, რომ პიროვნება, რომელიც ხელმძღვანელობს სადოქტორო პროგრამას ან სადოქტორო თეზიდებს უნდა ფლობდეს დოქტორის ხარისხს. რეკომენდაცია უცვლელი რჩება.
- ქვესტანდარტ 4.3-ის რეკომენდაციასთან დაკავშირებით "

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა წახალისოს თავისი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა, განსაკუთრებით მათი, ვინც ჩართულია სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში, რათა გაზარდოს არა მხოლოდ მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, არამედ გამოაქვეყნოს სტატიები ადგილობრივ და საერთაშორისო რეცენზირებად (რეფერირებად ან სამეცნიერო) ჟურნალებში." ექსპერტთა ჯგუფი შეგახსენებთ, რომ ქვესტანდარტი ფასდება როგორც კლასტერი მოწოდებული გაიდლაინების მიხედვით.

ექსპერტთა ჯგუფს სჯერა, რომ აუცილებელია პროგრამების სწავლებაში ჩართული პერსონალის (ბაკალავრიატი, მაგისტრატრა ან დოქტორანტურა, განსაკუთრებით ეს ბოლო ორი) მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში და გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალებში, რომ დარჩნენ ინფორმირებულნი ბოლო პერიოდში სფეროში განხორციელებული ცვლილებებთან მიმართებით და ასევე პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიზნით. შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება.

ქვესტანდარტი 4.5.-თან მიმართებით, უსდ არ ეთანხმება რეკომენდაციას: რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ იმუშაოს ცალკე ბიუჯეტებზე კლასტერში წარმოდგენილი თითოეული პროგრამისთვის. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სწავლის ხარჯები, სტუდენტების რაოდენობა, პროექტები, პედაგოგიური პერსონალი და სხვადასხვა მატერიალური ხარჯები განსხვავებულია თითოეული პროგრამისთვის და განსხვავდება პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

აქედან გამომდინარე, ცალკე დაგეგმვა არის ფინანსური რესურსების დაგეგმვის და გამჭვირვალე განაწილების წინაპირობა თითოეული პროგრამის რეალური საჭიროებების შესაბამისად და ეფექტური გზა დაბალანსებული ბიუჯეტის მისაღწევად და არაპროგნოზირებადი ხარჯების თავიდან ასაცილებლად. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ რეკომენდაცია დარჩეს უცვლელი.

ქვეკომპონენტ 5.1.-თან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი ტოვებს იგივე რეკომენდაციას, რადგან პროგრამის განმახორციელებელ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ მათ სურთ Turnitin ის შექმნა, მაგრამ უნვიერსიტეტს არ აქვს ბიუჯეტი. პერსონალი არ იყო კამყოფილი Plagiat.pl Sp z o.o.LLC -თან ურთიერთობით, რადგან კომპანია მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის თეზისებს ამოწმებდა. შესაბამისად, გადამწვეტია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი მისიიდან და მიზნიდან გამომდინარე, რომ გაიზარდოს კვლევისა და შემოქმედებითი აქტივობების ხარისხი, და გამოყენებულ იქნას უფრო ეფექტური მიდგომა პლაგიატის გამოსავლენად.

რაც შეეხება არგუმენტს, რომ "უსდ არ ეთანხმება კლასტერული შეფასების მექანიკურ გადატანას პროგრამების ინდივიდუალურ შეფასებად, მათი სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე", 2.2. და 2.3. ქვესტანდარტებისთვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინსტრუქცია იყო მხოლოდ კლასტერის შეფასება, ასე რომ, ანალიზი შედგება ყველა კლასტერის მიმოხილვისგან, როგორც ეს იყო მოთხოვნილი. ექსპერტთა ჯგუფი მკაცრად მიყვება ეროვნული ცენტრის ინსტრუქციებს და შეფასების სტანდარტების მოთხოვნებს. შესაბამისად, ეს შეფასებები რჩება უცვლელი.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

NA

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება³

³ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე,

2.

კლასტერული შეფასება ⁴

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	

შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁴ შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამები ზოგადად აკმაყოფილებენ შეფასების სტანდარტს. პროგრამები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს. მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და პროგრამების უმეტესობაში სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. სასწავლო პროგრამები ურთიერთდაკავშირებულია ლოგიკურად და კლასტერულად. კურიკულუმების უმეტესობა შექმნილია სწავლის დადგენილი შედეგების შესაბამისად, თანმიმდევრული შინაარსით. მიზნების მისაღწევად არჩეული სწავლის მეთოდები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და სათანადოდ სტრუქტურირებული. თვითშეფასების ანგარიშიდან და მასთან დაკავშირებული მასალებიდან, ასევე ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან, ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ პროგრამების ინტერნაციონალიზაცია კლასტერის ერთ-ერთი უმაღლესი პრიორიტეტია.

ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა ასევე დაადასტურა მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის და სტუდენტების ჩართულობის მაღალი დონე ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტი) პროგრამების განხილვაში, მონიტორინგსა და გაუმჯობესებაში.

თუმცა, ზოგიერთ პროგრამას ჯერ კიდევ არ გააჩნია მკაცრი სტრუქტურა და სილაბუსების ისეთი შინაარსი, რომელიც აუცილებელია თვითშეფასების ანგარიშში და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში მითითებული, ასევე გასაუბრების დროს, ხელმძღვანელობისა და მასწავლებლების მიერ ხაზგასმული მაღალი სტანდარტებისა და კრიტერიუმების სრულად დასაკმაყოფილებლად.

კლასტერში გაერთიანებული პროგრამები მოიცავს საშემსრულებლო ხელოვნების სფეროების ფართო სპექტრს; მსახიობობა, რეჟისურა, ქორეოგრაფია, ცეკვა, მუსიკა, მეტყველება, დრამატურგია და საშემსრულებლო ხელოვნების ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელ პროგრამებად არის სტრუქტურირებული, თითოეულ პროგრამასთან დაკავშირებული სპეციფიკური უნარ-ჩვევებითა და კომპეტენციებით, მთლიანობაში ისინი ემსახურება საერთო მიზნებსა და ამოცანებს.

ადგილზე ვიზიტის დროს მენეჯმენტთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ კლასტერი მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომის ბაზართან. არსებობს ფორმალური და არაფორმალური კავშირები თბილისსა და საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ დაწესებულებებთან. ასეთი ურთიერთობები ხელს უწყობს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, ასევე საშემსრულებლო ხელოვნების სფეროს განვითარებას დედაქალაქსა და ქვეყანაში. ისინი ასევე უზრუნველყოფენ მოწინავე ცოდნის გაცვლას საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში.

პროგრამების უმეტესობაში გაწერილია დარგობრივი სამიზნე ნიშნულები, რათა ხაზი გაუსვან საკუთარ ვალდებულებას, რომ ჩამოაყალიბონ სასწავლო გეგმები და სილაბუსები მაღალი სტანდარტების შესაბამისად. ზოგადად, კლასტერში შემავალი პროგრამების მიზნები და ამოცანები არის მიღწევადი, გაზომვადი, ობიექტური და კონკრეტული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

პროგრამის მასალები;

სილაბუსები;

უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;

ინტერვიუს შედეგები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური) ⁵

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1- მსახიობი (დრამის და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი) - ბაკალავრიატი

მსახიობის საბაკალავრო პროგრამა (დრამის და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი) ჩამოყალიბებულია შრომის ბაზრის საჭიროებების მიხედვით და შემდგომ ვითარდება აკადემიური საჭიროებების, სტუდენტების გამოხმაურებისა და კულტურული სფეროს ცვლილებების ურთიერთქმედებით. თვითშეფასების ანგარიშში საუბარია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების განვითარებასა და კვლევაზე, რაც განსაკუთრებით ორიენტირებულია მსახიობობაზე თეატრში, კინოსა და ტელევიზიაში, მიუზიკლში, თოჯინების თეატრსა და პანტომიმში. თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტების და ინტერვიუების თანახმად, პროგრამის მიზანია, შრომის ბაზარზე მოქმედ მსახიობებს მიაწოდოს ძირითადი პროფესიული უნარები სასცენო ხელოვნების სფეროში, თეატრის, თოჯინების თეატრის, პანტომიმისა და ცეკვის სპეციალობებზე ყურადღების გამახვილებით. თვითშეფასების ანგარიში ასევე ხაზს უსვამს ამბიციებს, მოამზადოს სტუდენტები შრომის საერთაშორისო ბაზრისთვის.

პროგრამის მიზნები მიმართულია საშემსრულებლო ხელოვნებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის საბაზისო ცოდნის მქონე სპეციალისტების მიმართ, რომელთაც ექნებათ კულტურული და შემოქმედებითი სექტორების სპეციფიკის საბაზისო გაგება, თეატრალურ ხელოვნებაში ძირითადი მხატვრული შემოქმედების უნარები და გამოუმუშავდებათ კულტურული და მხატვრული პროცესების

⁵ აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ მითითების ეს ფორმატი ყოველი მომდევნო კომპონენტის შეფასებისას).

ზოგადი გაგება ეროვნულ და პოტენციურად საერთაშორისო კულტურულ სივრცეში. კურიკულუმი შეიცავს შინაარსს, რომელიც აუცილებელია ამ მიზნების მისაღწევად.

საერთო ჯამში, მსახიობის საბაკალავრო პროგრამის მიზნები (დრამის და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი) ითვალისწინებს ზემოთ ჩამოთვლილი სწავლების ყველა სფეროს სპეციფიკას. საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენლობა უზრუნველყოფს უნარებს, კომპეტენციებს და ცოდნას ბაკალავრიატის საფეხურზე და სტუდენტებს აძლევს შემდგომი განვითარების შესაძლებლობას მაგისტრატურაში. პროგრამის მიზანია მოამზადოს ისეთი სტუდენტები, რომლებიც შეძლებენ პროფესიულ და კონკურენტულ შრომის ბაზრის გარემოში პრაქტიკული და შემოქმედებითი საქმიანობის შესრულებას.

მსახიობის საბაკალავრო პროგრამა (დრამის და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი) მოიცავს საშემსრულებლო ხელოვნების პრაქტიკულ უნარებს და მათთან დაკავშირებულ თეორიულ ცოდნას. კურსების შემადგენლობა სტუდენტებს საშუალებას აძლევს მიაღწიონ ბაკალავრის დონის ცოდნას სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა საგანში.

პროგრამა შეესაბამება შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ სტანდარტებს და სტრატეგიულ მიზნებს, ასევე ხელს უწყობს ხელოვნების სფეროების განვითარებას და უნივერსიტეტის კულტურულ მნიშვნელობას და ხილვადობას ფართო საზოგადოებაში.

პროგრამის მიზნები შეესაბამება მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების კლასტერის საერთო მიზნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის მასალები;
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 - თეატრის რეჟისორი - ბაკალავრიატი

როგორც თვითშეფასების ანგარიში ნათლად განსაზღვრავს, თეატრის რეჟისორის საბაკალავრო პროგრამის მიზნები და ამოცანებია:

- სრულად შეასრულოს სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და მიზანი და მოამზადოს თეატრისთვის მაღალკვალიფიციური რეჟისორი, რომელსაც ექნება როგორც პროფესიული ცოდნა, ასევე ზოგადი კომპეტენციები და შესაბამისი უნარ-ჩვევები.

- მიაწოდოს შრომის ბაზარს თეატრის რეჟისორები საშემსრულებლო ხელოვნების საფუძვლების ცოდნით და პროფესიული საბაზისო უნარებით, რომლებიც შეძლებენ პრაქტიკულ საქმიანობას და შემოქმედებით მუშაობას, როგორც თეატრის სცენაზე, ასევე ტელევიზიასა და რადიოში.

- ასწავლონ სხვადასხვა ჟანრისა და პერსონაჟების წარმოდგენები როგორც თეატრში, ასევე ტელე-რადიო სივრცეში და

- ჩამოაყალიბოს დამდგმელი რეჟისორის ინდივიდუალური და მხატვრული ხედვა ინდივიდუალურ და შემოქმედებით გუნდში მუშაობის პროფესიული ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის უნარით.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, თეატრის რეჟისორის საბაკალავრო პროგრამა ეხმიანება მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების კლასტერის ზოგად მიზნებს და პროგრამის საჭიროებების კონკრეტულ მიზნებს. ადგილზე ვიზიტის დროს, ასევე თვითშეფასების ანგარიშისა და მასთან დაკავშირებული მასალების მიხედვით, ჯგუფმა შეიტყო, რომ განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტი

და სტრატეგიული განვითარების მიმართულება ასახავს ინტერნაციონალიზაციის ასპექტებს. იგი ითვალისწინებს როგორც პროგრამის მასწავლებლების, ასევე სტუდენტების ჩართვას საერთაშორისო მხატვრულ სივრცეში.

თუმცა, ასეთი ამბიციური მიზნისთვის მნიშვნელოვანი ძალისხმევაა საჭირო ინგლისური ენის ცოდნის გასაძლიერებლად.

სასწავლო სფეროს მიზნები ნათლად უკავშირდება სწავლის სფეროს ყოველსადაც სინკრეტიკურ ხასიათს და პროგრამა ასახავს ასეთ მიზნებს, დარგის სირთულეში მიღწევადი შედეგების დემონსტრირებით.

პროგრამის მიზნები ასევე ასახავს სამომავლო შრომის ბაზრის განვითარებაში შესატან წვლილს და საზოგადოებაში მხატვრულ სფეროსა და კულტურაზე ზოგად გავლენას.

თეატრის რეჟისურის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის მიზანია უნივერსიტეტისა და სახელმწიფო მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისი სტანდარტების დაცვა განათლების დონეებს/ციკლებს შორის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა. მიზნები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მიზნებსა და სტრატეგიას.

„თეატრის რეჟისორის“ საბაკალავრო პროგრამის მიზნები უზრუნველყოფს, რომ მოამზადოს თანამედროვე თეატრის პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური დამდგმელ რეჟისორი, რომელიც პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული ცოდნის, როგორც პროფესიული, შემოქმედებითი, ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე, არამხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით, გარდა ამისა, „თეატრის რეჟისორის“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის საბაკალავრო კომპეტენციები იძლევა შესაძლებლობას, განაგრძოს სწავლა შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში.

სასწავლო სფეროს შესაბამისობა ინტერნაციონალიზაციის ასპექტების ასახვისთვის. ის ითვალისწინებს დოქტორანტების საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვას საერთაშორისოდ დადასტურებული სტანდარტების შესაბამისად მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე.

სწავლის სფეროს მიზნები, რომლებიც ხაზგასმულია ანგარიშში და აღინიშნა გასაუბრების დროს, ფოკუსირებულია არა მხოლოდ საშემსრულებლო ხელოვნებაში კომპეტენციების განვითარებაზე, არამედ საზოგადოების საჭიროებებზე, სადაც ეკონომიკური განვითარება უფრო და უფრო გამართლებულია კულტურისა და ხელოვნების, ასევე შემოქმედებითი ინდუსტრიის, განსაკუთრებული მნიშვნელობით.

ამ პროგრამის შინაარსი და შედეგები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული და ჩამოყალიბებულია რეალისტურად. პროგრამის მიზნები ასევე რელევანტური და მიღწევადია.

სწავლის განხორციელების მეთოდები შედგება თეორიული ლექციებისგან, სადაც სტუდენტებს წარედგინებათ თეორიული ასპექტები, ასევე რეპეტიციებზე პრაქტიკული მუშაობისგან და შემოქმედებითი პროცესისგან. ადგილზე ვიზიტის დროს, აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებებიდან, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ თეორიულ ლექციებსა და პრაქტიკულ სამუშაოებს ასევე ემატება ემპირიული მაგალითები, სხვადასხვა ვიზუალური მასალა და კლასგარეშე ღონისძიებები, როგორცაა სხვადასხვა მასტერკლასები, ვორქშოპები და სემინარები, რომლებსაც ატარებენ გამოჩენილი ქართველი და უცხოელი არტისტები.

მთლიანობაში, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საგანმანათლებლო საფეხურისა და პროგრამის სპეციფიკას, ისინი განსაზღვრავენ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც მიზნად ისახავს განვითარებას.

თეატრის რეჟისურის საბაკალავრო პროგრამის მიზანი ადეკვატურია ბაკალავრიატის დონისთვის. პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებს.

გარდა ამისა, „თეატრის რეჟისორის“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის საბაკალავრო კომპეტენციები აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას გააგრძელონ სწავლა და შემდგომ განავითარონ ცოდნა, უნარები და კომპეტენციები სამაგისტრო დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის მასალები;
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

აღწერა და ანალიზი- პროგრამა 3 -ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი, ბაკალავრიატი

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, საბაკალავრო პროგრამის „ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის“ მიზანია, უპირველეს ყოვლისა, ასწავლოს სტუდენტებს ქორეოგრაფიის პროფესიის ძირითადი ელემენტები, მიაწოდოს საცეკვაო კრეატიული პროდუქტის შესაქმნელად საჭირო საბაზისო ცოდნა და აღზარდოს თანამედროვე დამდგმელი ქორეოგრაფი როგორც ადგილობრივი, ისე უცხოურ ხელოვნების სივრცისთვის.

თუმცა, ზემოთ ხსენებულ ბოლო მიზანს მინიმუმ ორი მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დასჭირდება - ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება, ასევე უახლესი და თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების გაუმჯობესება და სასწავლო მასალებში საერთაშორისო ლიტერატურის გაუმჯობესება. პროგრამა დაფუძნებულია თვითშეფასების ანგარიშში მითითებულ საყრდენებზე, როგორც მთავარ მიზნებზე:

- ასწავლოს სტუდენტებს დამდგმელი ქორეოგრაფიის პროფესიის ძირითადი ელემენტები,
- შრომის ბაზრის მომარაგება ინდუსტრიაზე ორიენტირებული / პროფესიონალი და ზოგადად კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური დამდგმელი ქორეოგრაფით,
- იმის უზრუნველყოფა, რომ კურსდამთავრებულებმა იციან: ქორეოგრაფიული ხელოვნების პირობითობა და შესაბამისი ლექსიკური მახასიათებლების მქონე სხვადასხვა ჟანრის საცეკვაო მოძრაობების შესრულების სპეციფიკა და
- განუვითაროს სტუდენტებს ქორეოგრაფიული შემოქმედებითი უნარები მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკული რეალიზაციის საფუძველზე.

ვინაიდან, ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის საბაკალავრო პროგრამის საგანმანათლებლო პროცესის პრიორიტეტი ორიენტირებულია მჭიდრო სინერგიაზე შრომის ბაზრის პროფესიული მოთხოვნების განვითარებასთან, რათა მოამზადოს კონკურენტუნარიანი პროფესიონალები ქორეოგრაფიისა და ცეკვის სფეროში, მისი ძირითადი მიმართულება კულტურული მემკვიდრეობის, თანამედროვე ინტერპრეტაციებისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის მიმართულებით იხრება. ამრიგად, პროგრამა ეფუძნება მთელ კულტურულ და შემოქმედებით ეკოსისტემას, ასეთი მიზნების მისაღწევად. ინტერვიუების დროს ნახსენები ინტერნაციონალიზაციის განზომილებამ ხელი უნდა შეუწყოს კურსდამთავრებულთა ბრწყინვალეობისა და კონკურენტუნარიანობის წახალისებას არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო დონეზე.

ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა აკადემიური და მოწვეული პერსონალისგან შეიტყო, რომ სასწავლო გეგმის სტრუქტურა სტუდენტებს აძლევს თეორიულ და პრაქტიკაზე დაფუძნებულ ცოდნას, ასევე უნარებსა და კომპეტენციებს როგორც შემდგომი აკადემიური განათლების, ასევე პროფესიული ცხოვრებისათვის და აძლევს შესაძლებლობას უპასუხონ შრომის ბაზრის საჭიროებებსა და მოთხოვნებს. სასწავლო დარგის შესაბამისობა საზოგადოების და ეკონომიკური განვითარების საჭიროებებთან გამართლებულია კულტურისა და

ხელოვნების, ასევე შემოქმედებითი ინდუსტრიების განსაკუთრებული მნიშვნელობით, რომელიც ხაზგასმული იყო გასაუბრებისას, ასევე თვითშეფასების ანგარიშში.

პროგრამის ყველა მიზანი მკაფიოდ არის განსაზღვრული სწავლის სფეროს, დონისა და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. მიზნები რეალისტური და მიღწევადია და განსაზღვრავს ცოდნის ზუსტ და კონკრეტულ კომპლექტს. პროგრამის აღწერილობით ნაწილში დასახული ამოცანები ასევე აღიარებს სასწავლო პროგრამის წვლილის მნიშვნელობას ზოგადად საცეკვაო ხელოვნების განვითარებაში და გავლენას ცეკვასა და უფრო ფართო კულტურულ სფეროზე, ქვეყნის შიგნით.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების განვითარება და ამავე დარგების კვლევა. პროგრამა აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მისიაში ჩამოყალიბებულ მიზნებს, მათ შორის, ტრადიციული ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებას, როგორც პრიორიტეტს ხელოვნების დარგთა შორის, და ამ სფეროში უმაღლესი აკადემიური განათლების უზრუნველყოფას, პერფორმანსის/შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე ძირითადი აქცენტით.

სასწავლო სფეროს მიზნები ნათლად უკავშირდება უნივერსიტეტის სტრატეგიულ დოკუმენტს და ემსახურება ტრადიციული ქართული ხელოვნების განვითარებას და პოპულარიზაციას, ხოლო საბაკალავრო პროგრამა ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი შეესაბამება მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების კლასტერის ზოგად სასწავლო მიზნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის მასალები;
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 - ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი, საბაკალავრო პროგრამა

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, სტუდენტებს ასწავლოს ქართული მრავალხმიანობის, ხალხური მრავალხმიანობის ან ფოლკლორული საგუნდო შესრულების თავისებურებები. ინფორმაციის სხვადასხვა წყაროები (თვითშეფასების ანგარიში, ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები სტუდენტებთან, მასწავლებლებთან და დამსაქმებლებთან) მიუთითებს, რომ ხელოვნების სასწავლო სფეროს მიზნები ვითარდება სასწავლო პრიორიტეტების, კულტურული პოლიტიკის, შრომის ბაზრისა და კულტურისა და ხელოვნების სექტორის ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

პროგრამის ამოცანები ნათლად არის განსაზღვრული და ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, სწავლის საფეხურსა და საგანმანათლებლო პროგრამას. სასწავლო პროგრამა იძლევა საბაზისო ცოდნას ტრადიციული მუსიკალური გუნდის ხელმძღვანელობის, საკონცერტო ნომრების შექმნისა და შემოქმედებითი პროცესის დაგეგმვის უნარს პროფესიულ დონეზე. ასეთი მიზნები რეალისტური და მიღწევადია და განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ზუსტ და კონკრეტულ ნაკრებს.

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტებიდან და კონკრეტულად მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების კლასტერიდან გამომდინარე, დარგის მთავარი მიზანია, ხალხური და სასულიერო მუსიკის სფეროში მდგრადი და თანმიმდევრული განათლების უზრუნველყოფა და დარგში კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადება მომთხოვნი შრომის ბაზრისთვის შემოქმედებითი ინდუსტრიის სექტორში, რომელიც ეროვნული ეკონომიკის ნაწილია. შემოქმედებითი პროფესიონალების განათლება სპეციალიზირებულია ქართულ ხალხურ და საეკლესიო საგუნდო შესრულებაში.

პროგრამის აღწერილობით დასახული მიზნები ასახავს პროგრამის წვლილს ქართული ტრადიციული მუსიკის ხილვადობის განვითარებაში და სასწავლო პროგრამის გავლენას ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაზე.

პროგრამის მიზანია ხელოვნების განვითარება და შეესაბამება სსიპ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზნები ნათლად ჩამოყალიბებულია:

- შრომის ბაზრის უზრუნველყოფა საქართველოს ფოლკლორული და საეკლესიო გუნდის დირიჟორის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით (ქორმაისტერი/რეგენტი),
- მიაწოდოს სტუდენტებს საბაზისო ცოდნა დირიჟორის პროფესიის ძირითადი ელემენტების, ქართული მუსიკალური დიალექტების, სამგლოვიარო და ხალხური სიმღერების ძირითადი რეპერტუარის, დირიჟორობისა და ტრადიციულ სამუსიკო გუნდთან მუშაობის შესახებ;
- პროფესიული უნარების განვითარება და პროფესიული ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

განსაზღვრული მიზნები ასახავს პროგრამის ძირითად საკითხებს, ხალხური და საეკლესიო მუსიკის შესწავლას, როგორც ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს (ქართული ფოლკლორი, საგალობელი ხელოვნების ნიმუშები) და მათ პოპულარიზაციას ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე, სწავლის სფეროსა და განათლების საფეხურის თავისებურებებზე ყურადღების გამახვილებით. უნარები, კომპეტენციები და ცოდნა მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და მიზნები ხელმისაწვდომი.

სასწავლო სფეროს შესაბამისობა საზოგადოებისა და შრომის ბაზრის საჭიროებებთან გამართლებულია ეროვნული მემკვიდრეობის განსაკუთრებული მნიშვნელობით კულტურისა და ხელოვნების სფეროში, რაც ხაზგასმულია ისეთი პროგრამის შემუშავების მცდელობაში, რომელშიც კულტურული მემკვიდრეობა სხვადასხვა პერსპექტივიდან არის განხილული, პრაქტიკულ და თეორიულ დონეზე სწავლის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის მასალები;
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 - სადადგმო ხელოვნების (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), მაგისტრატურა

სამაგისტრო პროგრამა სადადგმო ხელოვნება(თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), შედგება ორი მოდულისგან: 1. თეატრის რეჟისურა და 2. ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი. პროგრამის მიზანია, მოამზადოს პროფესიონალი რეჟისორები, რომლებიც აღჭურვილნი არიან როგორც თეორიული, ისე ანალიტიკური ცოდნით და პრაქტიკული მხატვრული უნარებითა და

კომპეტენციებით. პროგრამის მიზანია ქორეოგრაფიული ხელოვნების, პროფესიული ტექნიკისა და მეთოდების ცოდნის მქონე სპეციალისტები; ტარდება საკითხთან მიმართებით ლიტერატურის ანალიზი (მაგისტრატურაში აკადემიურ დონეზე); კრიტიკული აზროვნება; ორგანული ურთიერთდამოკიდებულების მკაფიო ცოდნა და ქორეოგრაფიული წარმოდგენის/ცეკვის ყველა კომპონენტის (დრამატურგია, ნახატი, ლექსიკა, ექსპრესიული საშუალებები, მხატვრული და მუსიკალური გაფორმება და ა. შ), ქორეოგრაფიული წარმოდგენის/ნომრის ყველა კომპონენტის დამორჩილებისა და ერთი საერთო მიზნის ან განზრახვისადმი დაქვემდებარების უნარი და სცენური სახეებით აზროვნებისა და გამოხატვის უნარი.

თვითშეფასების ანგარიში ხაზს უსვამს, რომ სასწავლო გეგმის ასეთი სტრუქტურა სტუდენტებს აძლევს თეორიულ და პრაქტიკაზე დაფუძნებულ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს პროფესიული ცხოვრებისათვის და აძლევს შესაძლებლობას შეუერთდნენ შრომის ბაზარს.

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ სასწავლო პროგრამა აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ასევე თეატრის, ქორეოგრაფიისა და პედაგოგიკის მიმდინარე ტენდენციებს. თვითშეფასების ანგარიში ასევე ხაზს უსვამს პროგრამის მიზნებს - მიაწოდოს შრომის ბაზარს სხვადასხვა ფორმის პრაქტიკოსი, ორიენტირებულია რა დასაქმების ბაზრის მზარდ მოთხოვნებზე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთაშორისო დონეზე. ინტერნაციონალიზაცია, რა თქმა უნდა, მიეკუთვნება პროგრამის მიზნების ერთ-ერთ ძლიერ მხარეს. ეს შეინიშნება მიზნების ფორმულირების სხვადასხვა ნაწილში. სილაბუსები ასევე ფოკუსირებულია ევროპულ დრამასა და თეატრზე.

თუმცა, ასეთი ინტერნაციონალიზაციისთვის, საჭიროა მეტი ძალისხმევის გამოჩენა, ინგლისური ენის ცოდნის ამაღლების კუთხით. ამავე მიზნის მისაღწევად, ასევე აუცილებელია უახლესი ევროპული თეორიებისა და პრაქტიკების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

პროგრამის მიზნები შეესაბამება როგორც უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ხაზს უსვამს წვლილს საზოგადოების ინტელექტუალურ, ეთიკურ, კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და მის სტრატეგიულ გეგმას. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები დაბალანსებულად აისახება პროგრამის სწავლის შედეგებში.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამა ორიენტირებულია საშემსრულებლო და შემოქმედებითი ხელოვნების საერთო მიზნების მიღწევაზე: მაგისტრატურის დონის კვალიფიციური კადრების მომზადება პრაქტიკული პროფესიული საქმიანობისთვის და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის თეატრისა და ქორეოგრაფიული ხელოვნების სფეროში, შესაბამისი შემოქმედებითი კვლევის კომპეტენციების ათვისებით. ეს მიზნები, რომლებიც უფრო დეტალურად არის აღწერილი შესაბამის მასალებში (პროგრამა, დანართები, სასწავლო გეგმა, სილაბუსები) რეალისტური და მიღწევადია მაგისტრატურის პროგრამისთვის გამოყოფილი 4 სემესტრის განმავლობაში. სასწავლო გეგმა შედგება კურსებისაგან, რომლებიც მიმართულია დასახული მიზნებისკენ და ადასტურებს ლოგიკურ კავშირს კურსებსა და პროგრამის მიზნებს შორის, ხაზს უსვამს შედეგებს, როგორცაა თეორიისა და პრაქტიკის გამოყენების ან სპექტაკლის ან ლიტერატურული ტექსტის ანალიზის უნარი. დამატებით მასალებში, პროგრამაში, გეგმასა და სილაბუსებში მითითებულია ძალიან მაღალი მიზნები, როგორცაა საშემსრულებლო ხელოვნების თითოეული ფორმისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის, მეთოდებისა და მიღწევების ღრმა შესწავლა და ანალიზი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის მაღალი შედეგები, როგორცაა ხელოვნების დარგის შესაბამისი ღრმა და სისტემატური ცოდნა, რაც საშუალებას იძლევა განავითაროს ახალი, ორიგინალური იდეები, პრობლემის გადაჭრის უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით და აღწეროს ხელოვნების შესაბამისი დარგების ეროვნული და მსოფლიო მიღწევები და მათი განვითარების ტენდენციები.

თუმცა, არცერთი მთავარი სილაბუსი არ ასახავს ისეთ შინაარსს, რომელსაც შეუძლია სრულად უზრუნველყოს ასეთი უნარები და მიაღწიოს ასეთ მიზნებს. შინაარსი ზოგადად მოიცავს თეატრის ისტორიულ განვითარებას უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის ბოლომდე. სავალდებულო და დამატებით ლიტერატურაში რამდენიმე თემა და ზოგიერთი წყარო XX საუკუნის პირველ ნახევარს მოიცავს. პროგრამას აკლია მე-20 საუკუნის დასასრულისა და 21-ე საუკუნის დასაწყისის სრული პერიოდი. სილაბუსებში ასევე არ არის ახსნილი კვლევის მეთოდოლოგიები, მოხსენიებულია სხვადასხვა ტიპის ანალიზი და არა კვლევა. პროგრამა ზუსტად ასახელებს სწავლა-სწავლების მეთოდების სხვადასხვა კლასიფიკაციიდან გამოყენებულ ზოგიერთ ყველაზე გავრცელებულ ვარიანტს, სხვადასხვა მიდგომის ჩამონათვალთ, კვლევის მეთოდოლოგიის განმარტებების გარეშე. ზემოთ აღნიშნული ელემენტების გარეშე მიზნების, ამოცანების და სწავლის შედეგების სრულად მიღწევა შეუძლებელია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის მასალები;
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 მეტყველების კულტურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) მაგისტრატურა

სამაგისტრო პროგრამა მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) უკავშირდება უნივერსიტეტის მისიას სასწავლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მასწავლებლები სასცენო მეტყველების, მეტყველების კულტურისა და საორკესტრო ხელოვნების სფეროში და სტუდენტებს მიაწოდოს ცოდნა შემოქმედებითი პედაგოგიკის მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ. პროგრამა ორიენტირებულია სასცენო მეტყველების კულტურის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების სისტემატური დარგობრივი ცოდნის მიწოდებაზე. ინფორმაციის სხვადასხვა წყარო (თვითშეფასების ანგარიში, შესაბამისი მასალები და ადგილზე ვიზიტი) მიუთითებს იმაზე, რომ სასცენო მეტყველების კულტურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სასწავლო პროგრამა შემუშავებულია სასწავლო პრიორიტეტების, აკადემიური პერსონალის ინიციატივების, შრომის ბაზრის მოთხოვნების, სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. მიზნები დაკავშირებულია უნივერსიტეტის სტრატეგიულ მისიასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგად დადასტურდა სტუდენტების ჩართულობა პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, რაც ასახავს პროგრამის მიზნებში ინტერნაციონალიზაციის ასპექტების წარმოდგენის რეალურობას, რაც ასევე ასახავს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში კურსდამთავრებულთა მიერ წვლილის შეტანას. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ პროგრამის მიზანია პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური მეტყველებისა და ხელოვნების სპეციალისტის მომზადება და ახალი უნარების გამომუშავება, რომლის საფუძველზეც ისინი შეძლებენ, კონკურენტულ გარემოში, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვას. თვითშეფასების ანგარიშში ჩამოთვლილ პრიორიტეტულ მიზნებს შორის ასევე არის შრომისა და დასაქმების ბაზრისთვის პრაქტიკოსი და კვალიფიციური მკვლევარის მიწოდება, ასევე შემოქმედებითი პედაგოგიკის მნიშვნელოვანი ასპექტების ცოდნის მქონე მასწავლებლების მომზადება პროფესიული და ზოგადი კომპეტენციებით, დასაქმების ბაზრის მზარდ მოთხოვნებზე ორიენტირებით.

გარდა ამისა, ბუნდოვანია სხვადასხვა კომპონენტებზე ქულების განაწილება, რაც ართულებს იმის განსაზღვრას, თუ მთლიანი შეფასების სქემიდან რა ნაწილს შეესაბამება გარკვეული დავალებები, როგორცაა წერილობითი ნაშრომები (რეფერატები). პერსონალთან გასაუბრებამ ცხადი გახადა აღნიშნული გაურკვევლობების უმეტესობა და ექსპერტებმა შეფასების რამდენიმე საინტერესო ფორმაც აღმოაჩინეს, რომლებიც არ არის ნახსენები სილაბუსებში. და მაინც, ბუნებრივია, ექსპერტებმა ვერ შეძლეს პრობლემური შეფასების სისტემის მქონე ყველა სილაბუსის ავტორთან შეხვედრა და არსებობს შიში, რომ სილაბუსებში, ამ ეტაპზე, არსებული შეფასების სისტემა დამაბნეველი იქნება პროგრამის სტუდენტებისთვის.

ასეთი დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად და შეფასების პროცესის გასაძლიერებლად, აუცილებელია პერსონალმა და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა ერთობლივად განიხილოს სილაბუსები. მათ, თითოეულ კურსს, მკაფიოდ და საბოლოო სახით, ერთად უნდა მოარგონ შეფასების კომპონენტები, ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები. ეს პროაქტიული მიდგომა აღმოფხვრის

ნებისმიერ მომავალ გაუგებრობას და უზრუნველყოფს შეფასების უფრო თანმიმდევრულ და ეფექტურ პროცესს (დაწვრილებით იხილეთ ნაწილი 1.5).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სილაბუსების სექციას „კურსის/მოდულის წინაპირობები“. სამწუხაროდ, ბევრი ლექტორი ამ ნაწილს ავსებს არასავალდებულო, სასურველი უნარებითა და ცოდნით, ვიდრე სავალდებულო წინაპირობებით, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს დაესწრონ კურსს. ამ საკითხების ეფექტურად გადასაჭრელად სასარგებლო იქნება სილაბუსის შემუშავებასთან დაკავშირებული სასწავლო სესიების სერიის ორგანიზება.

გარდა ინგლისურისა, სხვა უცხო ენებს, როგორებიცაა ფრანგული, გერმანული ან იტალიური. აქვს თანაბარი მნიშვნელობა საბაკალავრო პროგრამების უცხო ენის კურსისთვის, რადგან ისინი შეესაბამება კონკრეტულ დასაფარ თემებს და პროგრამის საერთაშორისო კავშირებს. ამის ფონზე, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უმაღლესმა სასწავლებელმა, სწავლის გამოცდილების გასამდიდრებლად, უნდა იფიქროს უცხოენოვანი შეთავაზებების გამრავალფეროვნებაზე.

მიუხედავად არსებული პროგრამების სიმდიდრისა, ექსპერტები რეკომენდაციას უწევენ რამდენიმე არჩევითი კურსის დაემატებას, რომლებიც სტუდენტებს უახლეს ტექნოლოგიებსა და შესაბამისი სფეროს მეთოდოლოგიასთან დაკავშირებს. მიუხედავად იმისა, რომ გასაგებია, რომ უნივერსიტეტს ამ არჩევითი კურსების შეტანისთვის (იხ. 1.4. ინდივიდუალური პროგრამებისთვის) შეიძლება გარკვეული ფინანსური გამოწვევები შეექმნას, არსებობს პრაქტიკულად განხორციელებადი გამოსავალი.

ერთი მიდგომაა დაფინანსების მოძიება სხვადასხვა ეროვნული თუ საერთაშორისო ფონდებიდან, როგორიცაა ჰორიზონტი ევროპა (Horizon Europe) (https://research-and-innovation.ec.europa.eu/funding/funding-opportunities/funding-programmes-and-open-calls/horizon-europe_en) ან რუსთაველის ფონდი (<https://rustaveli.org.ge/>). ეს ფონდები გვთავაზობენ გრანტებს და დაფინანსების შესაძლებლობებს, რასაც შეუძლია ინოვაციური საგანმანათლებლო ინიციატივების განხორციელების ხელშეწყობა.

გარდა ამისა, საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორ დაწესებულებებთან თანამშრომლობამ შეიძლება უზრუნველყოს ღირებული მხარდაჭერა და რესურსები ახალი არჩევითი კურსების დანერგვისთვის. ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, რომლებსაც აქვთ უახლესი ტექნოლოგიების გამოცდილება, შეუძლია გაამდიდროს სასწავლო გამოცდილება და სტუდენტებს დარგის უახლესი მიღწევები გააცნოს.

ექსპერტები კატეგორიულად გვთავაზობენ მეტი რაოდენობის სამეცნიერო სტატიისა და უახლესი პუბლიკაციების ქართულ/ინგლისურ ენაზე ინტეგრირებას თეორიული კურსების სილაბუსებში, განსაკუთრებით მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე. ამ მოწინავე საგანმანათლებლო საფეხურების სტუდენტებს სჭირდებათ, თვალყური ადევნონ თავიანთ სფეროებში არსებულ უახლეს მიღწევებს. ამის გასაადვილებლად, უნივერსიტეტის პერსონალმა უნდა ითანამშრომლოს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობასთან „კენტავრი“ რათა შექმნან ყოვლისმომცველი კრებულები, რომლებიც მოიცავს შესაბამისი დარგის ძირითად ნაშრომებს.

აღწერა და ანალიზი - მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი; მუსიკალური თეატრის მსახიობი; თოჯინების თეატრის მსახიობი; პანტომიმის თეატრის მსახიობი) - საბაკალავრო პროგრამა

„მსახიობის“ საბაკალავრო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. სასწავლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად და ითვალისწინებს სწავლების 8 სემესტრს – 240 კრედიტს (სემესტრულად - 30 კრედიტს). ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს.

სასწავლო წელი შედგება 40 კვირისგან, 30 კვირა ეძღვნება სწავლებას, ხოლო 10 კვირა გამოყოფილია გამოცდებისთვის. სტუდენტების ყოველდღიური დატვირთვა განისაზღვრება 8 საათით. ამ პროგრამის ყოველდღიური დატვირთვა შეიძლება გადაჭარბებული ჩანდეს სხვა ტიპის საგანმანათლებლო

პროგრამებისთვის. თუმცა, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ამ საათების ნახევარი ეთმობა პრაქტიკას. სტუდენტები სწავლობენ პრაქტიკულ დავალებებში აქტიური ჩართულობით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათი პროფესიული უნარების დახვეწას.

ანალოგიურად, გამოცდები შეიძლება რთული ჩანდეს სასწავლო გეგმაში 2-3 კრედიტიანი საგნების მნიშვნელოვანი რაოდენობის გამო. თუმცა, გამოცდების ნახევარი არ საჭიროებს ფართო თეორიულ მომზადებას; ამის ნაცვლად, სტუდენტები ფასდებიან ლექციებისა და სემინარების დროს შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძველზე. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტების მხრიდან საკუთარი შესაძლებლობების ეფექტურად წარმოჩენას, რაც სამუშაო დატვირთვის და გამოცდისთვის მომზადებას უფრო ადვილად მართავს და ღირებულს ხდის.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს თეორიული და პრაქტიკულ-შემოქმედებითი სასწავლო კურსების ოთხ ძირითად კომპონენტს:

ა) პროფესიულ-შემოქმედებითი ბლოკი - ეს მოდული წარმოადგენს პროგრამის ბირთვის და ფოკუსირებულია არჩეული სამსახიობო სპეციალიზაციისთვის საჭირო სპეციალიზებულ უნარებზე (მაგ., დრამის და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი).

ბ) დამხმარე/პროფილური სასწავლო კურსები - ეს პრაქტიკულ-შემოქმედებითი კურსები ხაზს უსვამს სტუდენტების ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარების განვითარებას და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში იძლევა ცოდნას, მათ შორის თეატრში, კინოში, მუსიკასა და ლიტერატურაში.

გ) ზოგადად უნივერსიტეტო სასწავლო კურსები - ეს კურსები საერთოა ოთხივე სპეციალიზაციისთვის და კონცენტრირებულია სტუდენტების წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარების, ინფორმაციის მოძიების უნარისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწორად გამოყენებაზე. სასწავლო პროგრამა ასევე მოიცავს უცხო ენის კომპონენტს (12 კრედიტი), რათა შესაძლებელი გახდეს საერთაშორისო გარემოში ეფექტური კომუნიკაცია. ბოლო კომპონენტს აქვს გაუმჯობესების მნიშვნელოვანი შესაძლებლობა. (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვესტანდარტი 1.5.)

დ) თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - ეს კურსები სტუდენტებს სთავაზობს შესაძლებლობას გააფართოვონ თავიანთი თვალსაწიერი, განავითარონ კრიტიკული აზროვნების უნარი და მიიღონ დამატებითი ცოდნა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც ხელს უწყობს საკუთარი სასწავლო გეგმის ფორმირებაში აქტიურ ჩართულობას.

თანაფარდობა	დრამის და კინოს მსახიობი	მუსიკალური თეატრის მსახიობი	პანტომიმის თეატრის მსახიობი	თოჯინების თეატრის მსახიობი
ძირითადი, მოდული	138	138	126	132
უნივერსიტეტი	27	27	27	27
დამხმარე	60	57	57	63
არჩევითი კურსი	15	18	30	18

პროგრამა დიდ აქცენტს სტუდენტების შესრულების უნარების განვითარებაზე აკეთებს. პროფესიულ-შემოქმედებითი ბლოკი, საკვალიფიკაციო პროექტით (სპექტაკლი) 15 კრედიტი, შეადგენს საგანმანათლებლო პროგრამის 50-60-მდე პროცენტს. სწავლების მიდგომა ორიენტირებულია პრაქტიკულ სამუშაო შეხვედრებზე, ჯგუფურ სავარჯიშოებზე, სტუდიურ მუშაობაზე და ინდივიდუალურ ინსტრუქტაჟზე მხატვრული ნიჭის ხელშეწყობის მიზნით.

უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა სპექტაკლების საჯარო ჩვენების კარგი გამოცდილება, რაც გავლენას ახდენს საზოგადოებრივ კულტურულ ცხოვრებაზე და აუმჯობესებს უნივერსიტეტის ცნობადობას. პროგრამა მორგებულია სტუდენტების მომზადებაზე ოთხი განსხვავებული პროფესიული მიმართულებით: დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი და პანტომიმის თეატრის მსახიობი. თითოეული სპეციალობა მოიცავს კონკრეტულ ასპექტს, მაგრამ ყველა იზიარებს ერთიან მიდგომას სამსახიობო ხელოვნების სწავლების, საერთო მიზნებისა და საერთო შედეგების მიმართ.

პროფესიულ-შემოქმედებით ბლოკში სწავლების თანმიმდევრობა ლოგიკურად არის სტრუქტურირებული. მეთოდოლოგია სათავეს იღებს ქართული და კლასიკური თეატრალური სკოლების მდიდარი ტრადიციებიდან, ხაზს უსვამს ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჩამოყალიბებას კარგად განვითარებულ გარემოში მიზანმიმართული სასცენო მოქმედებების მისაღწევად. თუმცა, ექსპერტების აზრით, ძირითად კურსებში აუცილებელია 21-ე საუკუნის თეატრალური კვლევების უახლესი სასწავლო მასალებისა და მეთოდოლოგიების ჩართვა. გარდა ამისა, საჭიროა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი არჩევითი კურსების სპექტრის გაფართოება (დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვესტანდარტი 1.5.).

პროგრამაზე სწავლის განმავლობაში, სტუდენტებისგან მოელიან ხელშესახები შედეგების მიღწევას სხვადასხვა ეტაპზე, როგორებიცაა ეტიუდები, დრამატული ნაწყვეტები და საკურსო პროექტები. დამოუკიდებელი მუშაობისა და როლური თამაშის უნარებზე აქცენტი ასევე გადამწყვეტია მათი, როგორც მსახიობების ზრდისთვის. სწავლის შედეგების გასაზომად პროგრამა საჭიროებს შეფასების ეფექტურ და გამჭვირვალე სისტემას, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შორს არის იდეალურისგან მთელ რიგ სილაბუსში (დაწვრილებით იხ. 1.5 ქვესტანდარტი).

"მსახიობის" საბაკალავრო პროგრამა შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებმა მიიღონ ყოვლისმომცველი განათლება სამსახიობო ხელოვნების მხატვრულ განვითარებაზე და ასევე შესთავაზოს ხელოვნების სხვადასხვა დარგში აუცილებელი ცოდნა. სასწავლო გეგმა მიზნად ისახავს მოამზადოს პროფესიონალები, რომლებსაც შეუძლიათ გამოირჩეოდნენ სამსახიობო ხელოვნების მრავალფეროვან სფეროებში. დარგის გამოჩენილ წარმომადგენლებთან მუშაობისას სტუდენტები ჩაერთვებიან იდეების მუდმივ გაცვლაში, ისწავლიან პრაქტიკული გამოცდილებიდან და მუდმივად დახვეწენ თავიანთ პროფესიულ უნარებს.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის პრაქტიკული ასპექტი ძლიერია, თეორიული პერსპექტივიდან შეიძლება გარკვეული გაუმჯობესება. მიუხედავად იმისა, რომ დასაფასებელია, რომ უნივერსიტეტი ინარჩუნებს ქართული დრამატული სკოლის უნიკალურ ტრადიციებს, აუცილებელია თეორიულ კურსებში უახლესი სკოლების, თეორიებისა და მიდგომების ინტეგრირება. მიუხედავად იმისა, რომ სტანისლავსკის, ჩეხოვისა და გროტოვსკის მსგავსი ოსტატების კლასიკური მეთოდოლოგიები გადამწყვეტია, ისეთი არსებითი თეორიული კურსი, როგორიცაა დრამის თეორია, არ უნდა დასრულდეს კირკეგორის შეხედულებებით თეატრზე. ამის ნაცვლად, ის უნდა მოიცავდეს მე-20 და 21-ე საუკუნეების ძირითად თეორიებს, რათა უზრუნველყოს თანამედროვე თეატრალური პრაქტიკის სრულყოფილად გაგება.

იმის გამო, რომ განათლების კონცეფცია მძლავრად არის ასახული სტანისლავსკიში, ძალიან სასარგებლო იქნებოდა ლიტერატურაში სტეფან აკილინას მიერ რედაქტირებული საკითხავის „სტანისლავსკი და პედაგოგიკა“ დამატება, რომელიც გამოქვეყნდება Routledge-ის მიერ 2024 წელს. ჯონ ჯილეტის, ჰილარი ჰალბას, ჯულია ლისტენგარტენის, კრისტოფერ ნისის, ბელა მერლინის, დევიდ შირლის, ელიენ ჰანსლერის და მარიო ფრენდოს ანალიტიკური ნარკვევები სტანისლავსკის დიდ მემკვიდრეობაზე გვიჩვენებს თანამედროვე პერსპექტივას და მისი მეთოდის უახლეს მიდგომას, პედაგოგის მიერ შინაარსის შეფასების შემდგომ.

სასწავლო პროგრამა შესაძლებელია კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ახალი არჩევითი კურსების შემოღებით, რომლებიც დამწყებ მსახიობებს დღევანდელი სწრაფად განვითარებადი თეატრის ინდუსტრიის გამოწვევებისა და შესაძლებლობებისთვის ამზადებს. აქ არის რამდენიმე შემოთავაზებული კურსი:

1. თანამედროვე შესრულების სტილები: პროგრამა სარგებელს მიიღებს კურსით, რომელიც შეისწავლის თანამედროვე და ექსპერიმენტული შესრულების სტილებს, როგორებიცაა იმერსიული თეატრი, ადგილის შესაბამისი სპექტაკლები, ფიზიკური თეატრი, "სიტყვასიტყვითი" თეატრი და ინტერაქტიული გამოცდილება.

2. 21-ე საუკუნის თეატრის თეორია, რომელიც ხაზს უსვამს შემდეგ თემებს: პოსტდრამატული შემოზრუნება თეატრში; გლობალური პერსპექტივები თეატრალურ-კულტურულ მრავალფეროვნებაში და მისი გავლენა თანამედროვე თეატრის თეორიაზე; ტექნოლოგიების ინტეგრირება თანამედროვე სპექტაკლებში; ეკოთეატრი და მისი კავშირი გარემოსდაცვით საკითხებთან; ფემინისტური თეატრის თეორია და მისი ევოლუცია; გენდერული შესრულება და ტრადიციული გენდერული როლების დეკონსტრუქცია; პოლიტიკური თეატრის შემთხვევების შესწავლა და მისი გავლენა სოციალურ ცვლილებებზე; გამოყენებითი თეატრი სოციალური ცვლილებებისა და გაძლიერებისათვის; მესიერების და ტრავმის წარმოდგენა თეატრში; ციფრული წარმოდგენისა და კიბერთეატრის გაჩენა; იდენტობის პოლიტიკა თანამედროვე თეატრში და ასე შემდეგ.

3. მოქმედება ვირტუალური რეალობისთვის (VR) და გაძლიერებული რეალობისთვის (AR): ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მსახიობებს შეიძლება დასჭირდეთ ვირტუალური და გაძლიერებული რეალობის სპექტაკლებში მუშაობა. მათთვის ღირებული იქნება არსებულ იმერსიულ გარემოში მოქმედების ტექნიკისა და გამოწვევების სწავლება.

4. მსახიობის მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა: თანამედროვე კონტექსტში აუცილებელია მსახიობის მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის საკითხების განხილვა. დიდი ბრიტანეთის ეროვნული თეატრის მასალების გამოყენებით <https://www.dramaonlinelibrary.com/national-theatre-collection>, უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია შეიმუშაოს კურსი, ხელი შეუწყოს კულტურულ მგრძობელობას, წარმოაჩინოს მრავალფეროვანი პერსონაჟები და დაამსხვრიოს სტერეოტიპები. კურსი შეიძლება ჩატარდეს ინგლისურ ენაზეც, რაც გააუმჯობესებს სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველა პროგრამისთვის.

აღწერა და ანალიზი - თეატრის რეჟისორი - საბაკალავრო პროგრამა

„თეატრის რეჟისორი“ არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ეფუძნება შემოქმედებითი სახელოსნოს პრინციპს. პროგრამა მიჰყვება უნივერსიტეტში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიას. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, „პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS- კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად და ითვალისწინებს სწავლების 8 სემესტრს – 240 კრედიტს (სემესტრში– 30 კრედიტი), 1 კრედიტი - 25 საათი; ერთი სასწავლო წელი მოიცავს 40 კვირას (აქედან 30 სასწავლო– 10 სასესიო), დღეში 8-საათიანი დატვირთვით. თითოეული სემესტრის ხანგრძლიობაა 20 (15 სასწავლო-სააუდიტორიო და 5 სასესიო (მათ შორის - 4 კვირა ძირითადი, ხოლო 1 კვირა დამატებითი გამოცდებისთვის) სტუდენტის კვირეული დატვირთვა: 40 საათი, აქედან საკონტაქტო დატვირთვა

კვირაში: 16-25 საათამდე (სასწავლო - შემოქმედებითი პროცესისა და სახელოვნებო უმაღლესი განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით).“

თეატრის რეჟისურა არის ხელოვნების დარგი, რომელიც მოიცავს საშემსრულებლო ხელოვნების შემოქმედებით პროცესს, რომელიც მოიცავს ხელოვანთა ჯგუფს, როგორებიცაა კომპოზიტორები, ქორეოგრაფები, მსახიობები და სხვა. თეატრის რეჟისორის როლი არის ამ შემოქმედებითი პროცესის ჩაფიქრება, ჩამოყალიბება და მართვა, რათა გააცოცხლოს თეატრალური წარმოდგენა. რეჟისურის ეს კარიერა მჭიდროდ ერწყმის სხვადასხვა მხატვრულ სფეროებს, მათ შორის ლიტერატურას, მუსიკას, ვოკალურ ხელოვნებას, ფერწერას, ქორეოგრაფიასა და მსახიობობას, რაც ხელს უწყობს მის ინტერდისციპლინურ ბუნებას. მისასალმებელია, რომ პროგრამა სთავაზობს კურსებს, რომლებიც მოიცავს ყველა ამ ელემენტს.

თეატრალური რეჟისორების საგანმანათლებლო მოგზაურობა დაბალანსებულ მიდგომას მოითხოვს. ერთის მხრივ, სტუდენტები უნდა ჩაუღრმავდნენ თეორიულ ცოდნას, გამოიკვლიონ თეატრალური ხელოვნების ისტორიული, სოციოლოგიური, ესთეტიკური და ანალიტიკური კონტექსტი. მეორე მხრივ, უნდა შეიძინონ პრაქტიკული უნარები, რომლებიც აუცილებელია ამ სფეროში წარმატებისთვის. თეატრის საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების ინდივიდუალური შემოქმედებითი ხედვისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, მისცეს შესაძლებლობა განვიტარონ დამახასიათებელი მხატვრული ხმა. ეს, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა მომზადდნენ კონკურენტუნარიანი პროფესიონალები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო თეატრალურ სცენებზე. სწავლის შედეგების გასაზომად პროგრამა საჭიროებს შეფასების ეფექტურ და გამჭვირვალე სისტემას, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შორს არის იდეალურისგან მთელ რიგ სილაბუსებში (დაწვრილებით იხ. 1.5 ქვესტანდარტი).

"თეატრის რეჟისორის" საბაკალავრო აკადემიური პროგრამა შექმნილია როგორც დინამიური და პრაქტიკული - შემოქმედებითი სემინარი. პროგრამაზე დაშვება დამოკიდებულია ინდივიდუალური შემოქმედებითი შესრულების უნარებზე, რაც ხაზს უსვამს თანდაყოლილი მხატვრული პოტენციალის მქონე სტუდენტების შერჩევის მნიშვნელობას. პროგრამის განმავლობაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება იმ უნარების გამომუშავებასა და დახვეწაზე, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების პროფესიული კომპეტენციის მაღალ დონეს. ამავდროულად, კულტურული მრავალფეროვნებისა და ტექნოლოგიური პროგრესის ჩვენს ეპოქაში, პროგრამა სარგებელს მიიღებს არჩევითი კურსების დამატებით / უკვე არსებულ კურსებში იმ ელემენტების ჩართვით, რომლებიც ხელს უწყობენ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოტენციალს და სტუდენტების ცოდნას 21-ე საუკუნის თეატრის უახლესი ტექნოლოგიების შესახებ.

სპეციალობის მთავარი მოდული „პრაქტიკული ხელოვნება“ მოიცავს პროფესიული, სავალდებულო პრაქტიკული კურსების სერიას, რომელიც თანდათან აერთიანებს და ავითარებს საჭირო ცოდნასა და უნარებს პროგრამის საბოლოო შედეგების მისაღწევად. თეატრის რეჟისურის დარგში, სასწავლო კურსები ლოგიკურად არის დაწყებული და ვითარდება შინაარსობრივად. კერძოდ, სარეჟისორო ხელოვნების მოდულში, პირველი ორი სემესტრის განმავლობაში, სტუდენტები ეცნობიან რეჟისურის, მსახიობობის, მეტყველების და სასცენო მოძრაობის ძირითად პრინციპებს. მესამე სემესტრიდან უერთდება დრამის საფუძვლები, რასაც მოჰყვება სპექტაკლების მუსიკალური გაფორმების კურსები და რეჟისორის მუშაობა მხატვრებთან, რომელიც ამზადებს სტუდენტებს კურსის შემოქმედებითი პროექტისთვის. მეშვიდე და მერვე სემესტრი მოიცავს საკვალიფიკაციო შემოქმედებით პროექტს, შემოქმედებით ჯგუფთან (მხატვარი, კომპოზიტორი, ქორეოგრაფი, მსახიობი და ა.შ.) თანამშრომლობით. ამ ეტაპზე, სტუდენტი პასუხისმგებლობას იღებს შემოქმედებითი მუშაობის პროცესზე, კრიტიკული გადაწყვეტილებების მიღებით, მომზადებიდან პოსტწარმოებამდე.

დამხმარე სასწავლო კურსების ბლოკის კურსები სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა არა მხოლოდ მსოფლიო თეატრის, არამედ ქართული სახვითი ხელოვნების, მსოფლიო და ქართული ხელოვნების, კინოს, ასევე ლიტერატურისა და მუსიკალური ხელოვნების ისტორიული განვითარების ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ. გარდა ამისა, ეს კურსები მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა პროექტის მენეჯმენტი, კოსტუმების ისტორია, დრამის სტრუქტურა და თეორია, სცენის ტექნოლოგია და კასტინგი. თუმცა, ამ კურსებიდან ზოგიერთს გაუმჯობესება სჭირდება. (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვესტანდარტი 1.5.)

ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსები ფოკუსირებულია წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე, ინფორმაციის მოძიების უნარების გაძლიერებაზე. უცხო ენის კომპონენტი (12 კრედიტი) კონცენტრირებულია უცხო ენის ცოდნაზე, რათა უზრუნველყოს სტუდენტების მხრიდან მეორე ენის დამხმარე ინსტრუმენტად გამოყენება. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ამ კურსში შეტანილი გარკვეული ცვლილებები საშუალებას მისცემს სტუდენტებს გააძლიერონ უცხო ენაზე საერთაშორისო კომუნიკაცია, მათი სპეციალობის სპეციფიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვესტანდარტი 1.5.). მთლიანობაში, პროგრამამ მის ძირითად და დამხმარე კურსებში მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოს ინგლისურენოვანი წყაროებისა და მასალების გამოყენებაზე. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სწავლა/სწავლების პროცესის ინტერნაციონალიზაციას, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს შეიძინონ მოწინავე ცოდნა და უნარები.

არჩევითი კურსები მიზნად ისახავს სტუდენტების მსოფლმხედველობის გაფართოებას, ღირებულების ფორმირების სტიმულირებას, აბსტრაქტული, ანალიტიკური და ლოგიკურ აზროვნების განვითარებას და კარგად სტრუქტურირებული არგუმენტების ჩამოყალიბების უნარს. გარდა ამისა, ეს კურსები სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიონ დამატებითი ცოდნა, რომელიც შეესაბამება მათ ინდივიდუალურ ინტერესებს. ადგილზე ჩატარებულმა გასაუბრებებმა სტუდენტებთან და ლექტორებთან ცხადყო, რომ სტუდენტებს საკმარისი ინფორმაცია მიეწოდებათ არჩევითი კურსების შესახებ, რაც მათ საშუალებას აძლევს მიიღონ კარგად ინფორმირებული გადაწყვეტილებები. დასაფასებელია, რომ მათზე ზეწოლას არ ახდენენ არჩევანის გაკეთების პროცესში. არჩევით კურსებში არჩევანის გაკეთების თავისუფლება სტუდენტებს საშუალებას აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათი სასწავლო გეგმის საბოლოო ჩამოყალიბებაში.

საერთაშორისოდ დადასტურებული სტანდარტების შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შესაძენად საჭიროა მეტი უახლესი ლიტერატურისა და თემების მიწოდება. აღნიშნული ემთხვევა დარგისა და საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებული უახლესი სამეცნიერო ცოდნის გაზიარებისა და გავრცელების პასუხისმგებლობის მიზანს.

მიუხედავად პროგრამის კურსების მრავალფეროვნებისა, ექსპერტებს მიაჩნიათ, იმისათვის რომ რეჟისურის საბაკალავრო პროგრამა გახდეს უფრო თანამედროვე და ყოვლისმომცველი, უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია დაამატოს არჩევითი კურსები, რომლებიც ასახავს სამემსრულებლო ხელოვნებისა და განვითარებადი ტექნოლოგიების მიმდინარე ტენდენციებს.

აქ არის რამდენიმე შეთავაზება:

1. მულტიკულტურული და გლობალური თეატრის რეჟისორობა: სტუდენტებს შეეძლება სხვადასხვა კულტურიდან შეისწავლონ თეატრის ტრადიციები, გამოიკვლიონ გამოწვევები და რეჟისურის კულტურათმორისო უპირატესობები. აღნიშნულ კურსს შეუძლია გამოიყენოს მრავალმხრივი კოლექციები დიდი ბრიტანეთის ნაციონალური თეატრიდან

[https://www.dramaonlinelibrary.com/national-theatre-](https://www.dramaonlinelibrary.com/national-theatre-collection?fbclid=IwAR38DOv2vAU9KWVYrN5gtAroNoWA1QH_QAmVl8xq-iUkMSGbpVA47XB7sCw)

collection?fbclid=IwAR38DOv2vAU9KWVYrN5gtAroNoWA1QH_QAmVl8xq-iUkMSGbpVA47XB7sCw and Alexander Street's (part of Clarivate) package "Theatre and Drama Premium"

[https://alexanderstreet.com/products/theatre-and-drama-premium?fbclid=IwAR3a0KyZh-c_I-](https://alexanderstreet.com/products/theatre-and-drama-premium?fbclid=IwAR3a0KyZh-c_I-SiNjYaxdch0PPeBq1bFdtvcXXmtVH3pMrqT71jt3SV_Zk)

SiNjYaxdch0PPeBq1bFdtvcXXmtVH3pMrqT71jt3SV_Zk, ეს კურსი შეიძლება წარიმართოს ინგლისურ

ენაზე, რაც დაეხმარება სტუდენტების დარგობრივი ტერმინების გამოყენებაში და გაზრდის პროგრამის ინტერნაციონალიზაციის დონეს.

2. შექსპირი თანამედროვე ბრიტანულ თეატრში: კურსი შეიძლება წარიმართოს ინგლისურ ენაზე, დიდი ბრიტანეთის ეროვნული თეატრის მასალებზე დაყრდნობით.

[https://www.dramaonlinelibrary.com/national-theatre-](https://www.dramaonlinelibrary.com/national-theatre-collection?fbclid=IwAR38DOv2vAU9KWVYrN5gtAroNoWA1QH_QAmVl8xq-)

[collection?fbclid=IwAR38DOv2vAU9KWVYrN5gtAroNoWA1QH_QAmVl8xq-](https://www.dramaonlinelibrary.com/national-theatre-collection?fbclid=IwAR38DOv2vAU9KWVYrN5gtAroNoWA1QH_QAmVl8xq-)
ის ჩაულრმავდება ბრიტანული თეატრალური კომპანიების ინოვაციურ და თანამედროვე მიდგომებს უილიამ შექსპირის პიესების დეკონსტრუქციისა და წარმოდგენისას. სტუდენტები შეისწავლიან რევოლუციურ ნაწარმოებებს, რომლებიც უარყოფენ ტრადიციულ ინტერპრეტაციებს, ტექსტს თანამედროვე გრძნობების ასახვას არგებენ და მარადიულ ნამუშევრებს ახალ შეხედულებებთან მოიყვანენ შესაბამისობაში. მჭიდრო ანალიზის, დისკუსიებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით, მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას შექსპირის თეატრალური წარმოდგენის განვითარების შესახებ თანამედროვე ბრიტანულ თეატრში. კურსის შინაარსი შეიძლება ეფუძნებოდეს შემდეგ თემებს: ბრიტანული თეატრის განვითარების მიმოხილვა და მისი ურთიერთობა შექსპირთან (ძირითადი ისტორიული პროდუქციის ანალიზი, რომელმაც გავლენა მოახდინა თანამედროვე ინტერპრეტაციებზე და შექსპირის პიესების დეკონსტრუქციის კონცეფციის შესავალზე თანამედროვე გარემოში); მაკბეტი: გენდერი და ძალაუფლება (გენდერული დინამიკისა და ძალაუფლების სტრუქტურების შესწავლა მაკბეტის ტრადიციულ და თანამედროვე სპექტაკლებში; „მაკბეტის“ სპექტაკლების ანალიზი, რომლებიც ხელახლა ასახავს ლედი მაკბეტისა და ჯადოქრების როლებს; სპექტაკლში გენდერულად ბრმა კასტინგის გავლენის გამოკვლევა); ჰამლეტი: სიგიჟე და ფსიქიკური ჯანმრთელობა (ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების გამოსახულებების შესწავლა "ჰამლეტის" თანამედროვე სპექტაკლებში; ჰამლეტის სიგიჟის სხვადასხვა ინტერპრეტაციების ანალიზი და მისი გავლენა სხვა პერსონაჟებზე; დისკუსია ოფელიას პერსონაჟისა და მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ); რომეო და ჯულიეტა : ლგბტქ+ წარმომადგენლობა (ლგბტქ+ თემებისა და პერსონაჟების გამოკვლევა „რომეო და ჯულიეტას“ თანამედროვე ადაპტაციებში - შემთხვევის შესწავლისთვის ეროვნული თეატრის „რომეო და ჯულიეტა“ ჯესი ბაკლისთან, ჯომ ო'კონორთან, ტამსინ გრეითან, ფისაიო აკინადთან, ადრიან ლესტერთან, ლუჩიან მსამატისთან და დებორა ფინდლისთან ერთად; ლგბტქ+ წარმომადგენლობის მნიშვნელობის შესწავლა შექსპირისეულ თეატრში); ოტელო: რასა და იდენტობა (რასის და ეთნიკურობის დეკონსტრუქცია „ოტელოს“ თანამედროვე სპექტაკლებში; სცენაზე რასებსშორისი ურთიერთობების განსახიერების განხილვა); ქარიშხალი: კოლონიალიზმი და პოსტკოლონიალური პერსპექტივები („ქარიშხლის“ კოლონიური და პოსტკოლონიური საკითხავების შესწავლა ბრიტანულ თეატრში; იმის შესწავლა, თუ როგორ ხდება სპექტაკლის კუნძულის გარემოს ხელახალი წარმოდგენა თანამედროვე სპექტაკლებში; კალიბანის პერსონაჟის ანალიზი და მისი გავლენა პოსტკოლონიურ კონტექსტში); ზაფხულის ღამის სიზმარი: ჯადოსნური რეალიზმი და ფანტაზია (ჯადოსნური რეალიზმისა და ფანტაზიის ელემენტების გამოკვლევა "ზაფხულის ღამის სიზმრის" თანამედროვე ადაპტაციებში; ეროვნული თეატრის თანამედროვე სპექტაკლებში გამოყენებული წარმოსახვითი დადგმებისა და სპეცეფექტების ანალიზი); მეფე ლირი: სიბერე და ოჯახის დინამიკა ("მეფე ლირის" თანამედროვე სპექტაკლებში დაბერებისა და ოჯახური ურთიერთობების დეკონსტრუქცია; ხანდაზმული მსახიობების არჩევის ანალიზი და ლირის დაუცველობის ასახვის შესწავლა; საიმონ რასელ ბილის დემენციით დაავადებული მეფე ლირის და სერ იან მაკკელენის მეფის შემთხვევის შესწავლა <https://www.youtube.com/watch?v=01119gkVwCs>); მეთორმეტე ღამე: კომედია და გენდერული ცვალებადობა (გენდერული ცვალებადობისა და სექსუალური იდენტობის შესწავლა "მეთორმეტე ღამის" თანამედროვე სპექტაკლებში; სპექტაკლში საპირისპირო სქესის ტანსაცმლის ჩაცმულობისა და გენდერული ცვლილების როლების ანალიზი; მსჯელობა, თუ როგორ შეიძლება იუმორისა და კომედიის ხელახალი ინტერპრეტაცია თანამედროვე აუდიტორიისთვის).

თანამედროვე ბრიტანული თეატრალური სპექტაკლების მაგალითები შეიძლება მოიცავდეს ცნობილი კომპანიების სპექტაკლებს, როგორებიცაა სამეფო შექსპირის კომპანია (RSC), ეროვნული თეატრი, გლობუსის თეატრი და სხვა გავლენიანი რეგიონული თეატრები. ეს მაგალითები, მთელი კურსის განმავლობაში, განხილული იქნება შემთხვევის შესწავლისთვის დისკუსიებისა და ანალიზის დროს,

რაც დაეხმარება სტუდენტებს ღრმად გაიაზრონ, თუ როგორ მისდევს გაერთიანებული სამეფოს თანამედროვე თეატრი შექსპირის ნამუშევრებს.

აღწერა და ანალიზი - ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი - საბაკალავრო პროგრამა

ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) რეგულაციების შესაბამისად. იგი უნივერსიტეტის დონეზე მიჰყვება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიას.

პროგრამა მოიცავს 8 სემესტრს, ჯამში 240 კრედიტი, სადაც ერთი კრედიტი შეესაბამება სწავლის 25 საათს. ყოველი სასწავლო წელი მოიცავს 40 კვირას, 30 კვირა სწავლისთვის და 10 კვირა სესიებისთვის. ყოველი დღის დატვირთვა შეადგენს 8 საათს. კიდევ ერთხელ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ინტენსიური დატვირთვა არ ჩანს გადაჭარბებული: ამ საათების დაახლოებით ნახევარი ეთმობა პრაქტიკულ აქტივობებს, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს ისარგებლონ „სწავლა კეთებით“ მიდგომით, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს მათ სწავლის გამოცდილებას. ყოველი სემესტრის ხანგრძლივობაა 20 კვირა, დაყოფილია 15 სასწავლო კვირად და პრაქტიკულ სესიებად და 5 საგამოცდო კვირად (მათ შორის 4 კვირა ძირითადი გამოცდებისთვის და 1 კვირა დამატებითი გამოცდებისთვის). სტუდენტის ყოველკვირეული დატვირთვა შეადგენს 40 საათს, შემოქმედებითი პროცესისა და ხელოვნების უმაღლესი განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით, საშუალოდ კვირაში 33 საათამდე საკონტაქტო საათს.

პროგრამა სტრუქტურირებულია ოთხ ძირითად მიმართულებად და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. სავალდებულო კურსებს – ძირითად/საბაზო კურსებს: ეს კურსები უზრუნველყოფს აუცილებელ ცოდნასა და უნარებს და მოიცავს თითოეულ სემესტრს.
2. დამხმარე კურსები ეს კურსები სთავაზობს მხარდაჭერას და დამატებით ცოდნას სტუდენტების სწავლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად.
3. არჩევითი კურსები სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, არჩევითი კურსებიდან მათი ინტერესებისა და კარიერული მისწრაფებების მიხედვით აირჩიონ კურსი.
4. საუნივერსიტეტო კურსები (30 კრედიტი): სასწავლო გეგმა საგულდაგულოდ არის შემუშავებული, რომ უზრუნველყოს ძირითადი კურსების საწყის სემესტრებში გავლა. პირველი და მეორე სემესტრი ორიენტირებულია შესავალ კურსებზე, უნარების განვითარებაზე, ლოგიკური აზროვნებისა და ტექსტის ინტერპრეტაციის ჩვევებზე. ამ ეტაპზე სტუდენტები შეისწავლიან ზოგადსაუნივერსიტეტო კურსებს.

ეს კურსები, სხვა ზოგად საგნებთან ერთად, მოიცავს უცხო ენის კომპონენტს (12 კრედიტი), რომელიც კონცენტრირებულია უცხო ენების ცოდნაზე, რათა უზრუნველყოს სტუდენტების მხრიდან მეორე ენის დამხმარე ინსტრუმენტად გამოყენება. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ამ კურსში შეტანილი გარკვეული ცვლილებები საშუალებას მისცემს სტუდენტებს გააძლიერონ უცხო ენაზე საერთაშორისო კომუნიკაცია, მათი სპეციალობის სპეციფიკური ტერმინოლოგიის გამოყენებით. (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვესტანდარტი 1.5.)

აღსანიშნავია, რომ კლასტერში შემავალი სხვა პროგრამების მსგავსად, "ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" პროგრამა ამაყობს დარგის გამოჩენილი წარმომადგენლების შემადგენლობით ფაკულტეტზე. ეს კომპონენტი, საკლასო ოთახში რეალური გამოცდილების გადმოტანით, უდავოდ ამაღლებს ყველა შეთავაზებული პროგრამის ხარისხსა და ღირებულებას. როგორც ექსპერტებმა ადგილზე ვიზიტის დროს შეიტყვეს, ბაზრის კვლევისა და სტუდენტების ყოვლისმომცველი უკუკავშირის შედეგად, პროგრამა გაუმჯობესდა თანამედროვე და მიმზიდველი კურსებით, რაც მოიცავს "თანამედროვე ცეკვასა" და "ინკლუზიურ ცეკვას". ამ დისციპლინების ჩართვით, პროგრამა არა მხოლოდ აქტუალური რჩება, არამედ მოიცავს მრავალფეროვნებასა და ინკლუზიურობას საცეკვაო განათლებაში. სტუდენტებს ახლა აქვთ შესაძლებლობა გამოიკვლიონ და დაეუფლონ ტექნიკების უფრო

ფართო სპექტრს, რაც უზრუნველყოფს მათ უკეთ მომზადებას, რომ მოერგონ ცეკვის ინდუსტრიის დინამიურ და მუდმივად განვითარებად ლანდშაფტს.

ზოგადად, პროგრამა ხაზს უსვამს პრაქტიკულ მომზადებას, რაც აუცილებელია ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის პროგრამისთვის.

თუმცა, უნდა არსებობდეს ბალანსი პრაქტიკულ და თეორიულ კურსებს შორის. სტუდენტებს სჭირდებათ ძლიერი თეორიული საფუძველი, რათა შეავსონ თავიანთი პრაქტიკული უნარები და განვითარონ ხელოვნების ფორმის უფრო ღრმა გაგება.

პროგრამის ერთ-ერთი თვალსაჩინო სიძლიერე არის მისი განცხადება საქართველოში პირდაპირი ანალოგების არქონის შესახებ. ეს აჩვენებს, რომ უნივერსიტეტი გთავაზობს უნიკალურ და სპეციალიზებულ პროგრამას, რომელსაც შეუძლია მიიზიდოს დამწყები ქორეოგრაფები, რომლებიც ეძებენ კონკრეტულ განათლებას ქართულ ცეკვაში.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, ქორეოგრაფიული ხელოვნების სფეროში თანამედროვე მიღწევებისა და შემოქმედებითი პრაქტიკის საუკეთესო მოდელების გათვალისწინებით; ამიტომ პროფესიონალი დამდგმელი ქორეოგრაფის აღზრდის სასწავლო მეთოდოლოგია თავისი სტრუქტურით არის თეორიულ-მეთოდური და პრაქტიკულ-შემოქმედებითი სწავლების ერთობლივი პროცესი.“

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის კურსები მრავალმხრივი და კარგად დაგეგმილია, ექსპერტები რეკომენდაციას უწევენ, დაემატოს რამდენიმე არჩევითი კურსი, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს პროგრამისთვის: ზოგიერთი მათგანი შეიძლება ჩატარდეს ინგლისურ ენაზე, რაც გააძლიერებს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ასპექტს:

1. მათ უნდა შეიტანონ მეტი თეორია თანამედროვე ეთნიკური ცეკვის საგანში, სახელწოდებით „სახასიათო ცეკვა“, რომელიც კურსის სრული ხანგრძლივობის განმავლობაში, ძირითადად პრაქტიკულ ელემენტებზეა ორიენტირებული. თეორიის გაძლიერებულ ნაწილს შეუძლია სტუდენტებს მიაწოდოს საბაზისო ცოდნა თანამედროვე ეთნიკური ცეკვის თეორიის შესახებ, ისტორიული, კულტურული და სოციალური ასპექტების შესწავლით, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ხელოვნების ეს ცოცხალი ფორმა. ლექციების, დისკუსიების, კითხვის და პრაქტიკული ჩვენებების საშუალებით სტუდენტებს განუვითარდებათ თანამედროვე ეთნიკური ცეკვის მდიდარი გობელენის ყოველმხრივი შეფასების უნარი; გააცნობიერებენ თანამედროვე ეთნიკური ცეკვის ისტორიულ და კულტურული ფესვებს და მის ევოლუციას თანამედროვე ფორმებში; შეისწავლიან მის როლს კულტურული იდენტობების, ტრადიციებისა და ნარატივების გამოხატვაში და გააანალიზებენ გლობალიზაციისა და მულტიკულტურალიზმის გავლენას თანამედროვე ეთნიკურ ცეკვაზე; შეისწავლიან მუსიკის, კოსტიუმების და რეკვიზიტების მნიშვნელობას თანამედროვე ეთნიკური ცეკვების წარმოდგენებში; შეისწავლიან თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენას ეთნიკური ცეკვის ტრადიციების გავრცელებასა და შენარჩუნებაზე; კრიტიკულად განიხილავენ კულტურული მისაკუთრებისა და ავთენტურობის საკითხებს თანამედროვე ეთნიკური ცეკვის პრაქტიკაში.

2. ერთი ქართული ხალხური ცეკვის ისტორიული გამოსახვა (ლექტორის არჩევანი). ასეთი კურსი სტუდენტებს საშუალებას მისცემს თვალყური ადევნონ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობის ერთი გამორჩეული ნიმუშის განვითარებას, გამოიკვლიონ მისი კულტურული ღირებულება, განვითარება და მხატვრული გამოსახვა დროთა განმავლობაში. სიღრმისეული ანალიზის საშუალებით სტუდენტები სრულყოფილად გაიაზრებენ არჩეული ცეკვის წარმოშობას, რეგიონულ ვარიაციებს, ქორეოგრაფიულ ელემენტებს, მუსიკის აკომპანიმენტს და მის სხვადასხვა კონტექსტში ასახვას, მათ შორის ტრადიციული შესრულებისა და თანამედროვე ადაპტაციების შესახებ.

3. ცეკვის თეორია XX-XXI საუკუნეებში: ამ კურსს შეუძლია უზრუნველყოს მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების ცეკვის სამყაროში არსებული თეორიული და კონცეპტუალური განვითარების ყოვლისმომცველი შესწავლა. ისტორიული ანალიზის, კრიტიკული კითხვისა და თანამედროვე შემთხვევის შესწავლის კომბინაციით, სტუდენტები მიიღებენ ცოდნას ცეკვის თეორიების, ქორეოგრაფიული პრაქტიკის, კულტურული გავლენისა და ტექნოლოგიური მიღწევების განვითარების

შესახებ, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ცეკვის ლანდშაფტი თანამედროვე ეპოქაში. კურსში განხილული თემები შეიძლება იყოს შემდეგი: ძირითადი თეორიული ჩარჩოებისა და პარადიგმების მიმოხილვა ცეკვაში; თანამედროვე ეპოქაში ცეკვის ფორმირების ისტორიული ფონი და კონტექსტუალური ფაქტორები; ცეკვა და სოციალური ცვლილებები; პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მოძრაობების გავლენა საცეკვაო პრაქტიკაზე; თანამედროვე ცეკვის პიონერები და ინოვატორები; ისეთი გავლენიანი ფიგურების შესწავლა, როგორებიცაა აიადორა დუნკანი, მართა გრეჰემი და მერს კანინგემი - მათი ქორეოგრაფიული მიდგომებისა და მხატვრული ფილოსოფიების ანალიზი; კლასიკური ბალეტის განვითარება და ნეოკლასიკური და თანამედროვე ბალეტის სტილის გაჩენა; ტრადიციული ბალეტის ნარატივებისა და თემების რეინტერპრეტაციები; ტექნოლოგიური მიღწევების გავლენა ქორეოგრაფიასა და შესრულებაზე: ციფრული მედიის ინტეგრაცია, მოძრაობის გადაღება და ვირტუალური რეალობა საცეკვაო სპექტაკლებში; ცეკვის სტილისა და ტექნიკის გაცვლა კულტურებსა და საზღვრებს შორის; ჰიბრიდული ცეკვის ფორმების განვითარება და საცეკვაო კომპანიების გლობალიზაცია; ცეკვის შერწყმა თეატრთან, კინოსთან და ადგილისთვის დამახასიათებელ შესრულებასთან; პოსტმოდერნული და თანამედროვე საცეკვაო მოძრაობების შესწავლა; ცეკვის იმპროვიზაციის, ადგილისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ცეკვისა და ცეკვის თეატრის ანალიზი; ცეკვის კრიტიკა და მოწონება; სქესის, რასის და კულტურული იდენტობის შესწავლა საცეკვაო სპექტაკლებში; მარგინალიზებული ხმებისა და თემების წარმოდგენა ცეკვაში; სპეკულაციური დისკუსიები ცეკვის პოტენციურ მიმართულებებზე მომავალი ათწლეულების განმავლობაში.

4. ქართული ცეკვის გამოხატულება კინო/თეატრში: ამ კურსს შეუძლია შეისწავლოს ქართული ცეკვის ასახვა და გამოხატულება კინოსა და თეატრში, იმის გაანალიზება, თუ როგორ იქნა აღბეჭდილი და ინტერპრეტირებული ეს ცოცხალი და კულტურულად მნიშვნელოვანი ხელოვნების ფორმა ეკრანსა და სცენაზე. სტუდენტები შეისწავლიან სხვადასხვა ფილმებს, თეატრალურ სპექტაკლებს და საცეკვაო შესრულებებს, რათა მიიღონ ცოდნა მხატვრული არჩევანის, კულტურული კონტექსტის და თხრობის ტექნიკის შესახებ, რომლებიც გამოიყენება ქართული ცეკვის არსის გადმოსაცემად ამ ვიზუალურ საშუალებაში/მასალაში. კურსი სტუდენტებს გააცნობს ქართული ცეკვის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ისტორიასა და მნიშვნელობას; კინემატოგრაფიული და თეატრალური თხრობის საშუალებით ცეკვის წარმოდგენის ხერხებისა და გამოწვევების ანალიზს; შეისწავლის, თუ როგორ არგებენ და ინტერპრეტაციას უკეთებენ კინორეჟისორები და თეატრის რეჟისორები ტრადიციული ცეკვის ფორმებს თანამედროვე აუდიტორიისთვის; გამოიკვლევს ქართული ცეკვის წარმოდგენის კულტურულ და სოციალურ გავლენას ამ ვიზუალურ საშუალებაში; შეისწავლის მუსიკის, კოსტიუმების და დეკორაციის როლს ქართული ცეკვის ასახვის გასაუმჯობესებლად; წახალისებს სტუდენტებს კრიტიკულად გაანალიზონ და ახსნან ქართული ცეკვის წარმოდგენა კინოსა და თეატრში.

აღწერა და ანალიზი - ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი - საბაკალავრო პროგრამა

საბაკალავრო პროგრამა - ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიით, ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 8 აკადემიურ სემესტრს - 240 კრედიტს, 1 კრედიტი - 25 საათი.

- სასწავლო წელი მოიცავს 40 კვირას (30 სასწავლო და 10 სასესიო), დღეში 8 საათს.

პროგრამა არის ლოგიკურად სტრუქტურირებული, სტუდენტზე ორიენტირებული და სწავლის შედეგები პროგრამის მიზნების ადეკვატურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს საგანმანათლებლო თეორიული და პრაქტიკულ-შემოქმედებითი კურსების ოთხ კომპონენტს:

ა) პროფესიულ-შემოქმედებითი ბლოკი - სპეციალობის მთავარი პროფესიული მოდული - მუსიკალური ხელოვნება - 121 კრედიტი (მათ შორის 15 კრედიტი ბაკალავრიატის საკვალიფიკაციო პროექტისთვის).

ბ) დამხმარე პროფესიული სასწავლო კურსები - 72 კრედიტი

გ) ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსები - 27 კრედიტი

დ) თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი

სწავლების მეთოდოლოგია აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ-შემოქმედებით მიდგომებს. სასწავლო გეგმის პროფესიულ-შემოქმედებითი სასწავლო კურსების ჯგუფი მუსიკალური ხელოვნების მოდულია და მისი კომპონენტები ისწავლება დონეების შესაბამისად და ერთმანეთთან მიმართებით. სასწავლო კურსები ლოგიკურად თანმიმდევრული და შინაარსობრივია, რაც უზრუნველყოფს ყოველი მომდევნო კურსის დაშვების წინაპირობების თანმიმდევრულობასა და ლოგიკურობას. ხელოვნების განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლება მიმდინარეობს ჯგუფურად, სტუდიაში და ინდივიდუალურად. თითოეულ კურსს აქვს თავისი კონკრეტული ამოცანა, რომელიც მიზნად ისახავს საჭირო პროფესიულ-შემოქმედებითი უნარების თანდათანობით დაუფლებას. სასწავლო გეგმის კონკრეტული დარგის დისციპლინების დიდი ნაწილი პრაქტიკულ კურსებს გულისხმობს. ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი) ეფუძნება პრაქტიკულ მუშაობას და შესაბამისად, სწავლების დიდი ნაწილი პრაქტიკას უნდა დაეთმოს. აქედან გამომდინარე, სილაბუსები სწორედ ამ პრინციპით არის შემუშავებული. სწავლის შედეგების მისაღწევად, დამხმარე პროფესიული სასწავლო კურსების ბლოკში დაჯგუფებული კურსები სტუდენტს საშუალებას აძლევს მიიღოს ცოდნა ქართული ხალხური და მსოფლიო კლასიკური და საეკლესიო მუსიკის ისტორიული განვითარების ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ, რათა შეიძინოს მომავალი პრაქტიკული აქტივობებისთვის საჭირო სპეციფიკური თეორიული ცოდნა. ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსები ორიენტირებულია წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიებასა და გადაცემისათვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწორად გამოყენების უნარზე; მათ შორის, უცხო ენა (12 კრედიტი), რომელიც ორიენტირებულია უცხო ენის მეშვეობით საერთაშორისო კომუნიკაციის ხელშეწყობაზე, სპეციალობისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის გამოყენებით. გააძლიეროს ინტერნაციონალიზაცია;

არჩევითი კურსები შექმნილია სტუდენტების პერსპექტივების გასაფართოებლად; პიროვნული ფასეულობების განვითარების სტიმულირების, აბსტრაქტული, ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების წახალისებისა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს შეიძინოს საკუთარი ინტერესების შესაფერისი ცოდნა. გარდა ამისა, თავისუფალი არჩევითი კურსები სტუდენტს საშუალებას აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასწავლო გეგმის საბოლოო შემუშავებაში.

წარმოდგენილი დოკუმენტები და ჩატარებული გასაუბრებები ხაზს უსვამს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიურ მონაწილეობას პროგრამის შემუშავებაში. ერთობლივი მუშაობის შედეგად გამოიკვეთა მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც შემდეგ აისახა პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურაში. კერძოდ, დაემატა ახალი კურსები: გუნდი 1 - 7, ქართული ცეკვა - რიტმული ნიმუშები და კომპიუტერული ნოტაცია, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა პროგრამის გასაძლიერებლად და სტუდენტს აღჭურავს დარგის თანამედროვე მიღწევების ცოდნითა და ინფორმაციით, რომ გახდეს კონკურენტუნარიანი პერსონალი.

პროგრამის მიმდინარე განვითარების გასაუმჯობესებლად, რეკომენდებულია დამხმარე თეორიულ დისციპლინებს დაემატოს მრავალხმიანობის კურსი, ხოლო მუსიკალური ანბანი, მუსიკის ელემენტარული თეორია და ქართული ჰარმონიის პრაქტიკული კურსები საბაზისო პროფესიული კურსების ბლოკიდან დამხმარე კურსების ბლოკში გადავიდეს, ხოლო საეკლესიო კითხვისა და საეკლესიო ლიტურგიის პრაქტიკული კურსები დამხმარე კურსების ბლოკიდან მთავარში გადავიდეს. გარდა ამისა, მიზანშეწონილია საგუნდო სწავლება პირველ სემესტრში დაიწყოს.

გამოვლენილი ტექნიკური შეცდომები მითითებულია სწრაფი შესწორებისთვის. კონკრეტულად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერთგვაროვნების უზრუნველყოფას თითოეული კურსის სტატუსისა და მისი დაშვების წინაპირობების მითითებისას, შესაბამისი კურსის სათაურებთან შესაბამისობაში. მაგალითად, სოლფეჯიო 3-ის წინაპირობებში უნდა იყოს მითითებული - სოლფეჯიო 2, ნაცვლად სოლფეჯიო 1-2-ისა; ჰარმონიის პრაქტიკული კურსის შემთხვევაში საკმარისია რამდენიმე დამხმარე კურსის ნაცვლად, მიეთითოს სოლფეჯიო 3, რადგან დანარჩენი უკვე სოლფეჯიო 3-ზე დაშვების წინაპირობაა.

აღნიშნულია, რომ ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორიის რუკაზე არ არის მითითებული დაშვების წინაპირობები.

მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსი აღნიშნავს ძირითადი რეპერტუარის/ლიტურგიის საფუძვლიანი ცოდნის აუცილებლობას, ის არ შეიძლება იყოს დაშვების წინაპირობა.

აღწერა და ანალიზი - საშემსრულებლო-სადადგმო ხელოვნება(თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამა დაფუძნებულია ორ ძირითად მიმართულებაზე: თეატრის რეჟისურა და ქართული ცეკვის ქორეოგრაფია. ეს მიმართულებები აერთიანებს შესრულების მხატვრულ და პრაქტიკულ ასპექტებს და მოიცავს დისციპლინის ყოვლისმომცველ გაგებას.

საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) შექმნილია საქართველოს კანონმდებლობისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად, პროგრამა გვთავაზობს ამომწურავ სასწავლო გეგმას.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 4 სემესტრს, 120 კრედიტს, თითოეული კრედიტი წარმოადგენს სწავლის 25 საათს. სასწავლო წელი მოიცავს 40 კვირას, 30 სასწავლო კვირას და 10 კვირას გამოცდებისთვის. თითოეული სემესტრი შედგება 15 სასწავლო კვირისა და 5 კვირიანი საგამოცდო სესიისგან, რომელიც დაყოფილია 4 ძირითად კვირად და 1 დამატებით კვირად. ყოველკვირეული საკონტაქტო საათები სტუდენტებისთვის, როგორც წესი, საშუალოდ 12-დან 15 საათამდე მერყეობს.

კრედიტებს შორის 40 გამოიყოფა კვლევის უნარების განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის, ხოლო დანარჩენი 80 კრედიტი ეძღვნება სხვადასხვა სასწავლო დისციპლინას. სამაგისტრო პროგრამის კრედიტების განაწილება მოიცავს:

40 კრედიტს სპეციალობის მოდულის სავალდებულო კურსებისთვის

45 კრედიტს ზოგადსაუნივერსიტეტო კურსებისა და სხვა აქტივობებისთვის

20 კრედიტს საკვალიფიკაციო ნაშრომისთვის

15 კრედიტს არჩევითი კურსებისთვის

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით:

„კვლევის კომპონენტი - 40 კრედიტი აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები, აბსტრაქტი უცხოენოვანი ინდუსტრიის ლიტერატურაზე, საკურსო ნაშრომი/შემოქმედებითი პროექტი, კონფერენციის ანგარიში/ჟურნალის პუბლიკაციის მომზადება, სამაგისტრო ნაშრომი. პროგრამის კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას, საკურსო ნაშრომის მომზადებას, სპეციალურ და სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობის ჩვევის გაღრმავებას, რაც მთლიანობაში გამიზნულია მაგისტრანტის კვლევითი უნარის განვითარებაზე.

პრაქტიკული/შემოქმედებითი კომპონენტი: 35 კრედიტი- საჩვენებელი ლექცია - პრეზენტაცია, საკურსო ნაშრომი/შემოქმედებითი პროექტი, სამაგისტრო ნაშრომი (ხელმძღვანელობს პროგრამის /

სამაგისტრო ჯგუფის ხელმძღვანელი ან მათთან შეთანხმებით, სხვა პროფესორი, ასოც. პროფესორი, ასისტ. პროფესორი, სამეც. პერსონალი)“.

პროგრამა დგას რამდენიმე გამოწვევის წინაშე, რომლებიც იმსახურებს ექსპერტების ყურადღებას. ერთი თვალსაჩინო საკითხი ეხება ზოგ კურსში დაფიქსირებულ შეფასების სისტემების ხარვეზებს, რომლებიც ხასიათდება ან დაკარგული კომპონენტებით ან ბუნდოვანი კრიტერიუმებით. კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას, გულისხმობს სემინარის აქტივობების მკაფიო იდენტიფიკაციის აუცილებლობას იმ სილაბუსებში, რომლებიც ძირითადად სალექციო თემებს უსვამს ხაზს. გარდა ამისა, გაუმართავი წინაპირობები უნდა მოიხსნას რამდენიმე სილაბუსიდან, რათა თავიდან იქნას აცილებული სტუდენტების დაბნევა (დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ქვესტანდარტი 1.5). ამ გამოწვევების მოგვარება უდავოდ მნიშვნელოვანი იქნება პროგრამის ხარისხისა და ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

პროგრამა სტუდენტებს აღჭურავს თეორიული ანალიზისა და კვლევის უნარით. ის მათ პრაქტიკული რეჟისორობისა და ქორეოგრაფიისთვის ამზადებს, რაც უზრუნველყოფს მათ ადაპტირებას ახალ წარმოება-შემოქმედებით ფორმებთან, სწრაფად ცვალებად მხატვრულ ლანდშაფტში. პროგრამა ინარჩუნებს კარგ ბალანსს თეორიასა და პრაქტიკას შორის; ორივე მოდულის კურსები ყოვლისმომცველი და მრავალმხრივია.

მეტად თანამედროვე თემები და უახლესი ლიტერატურა გაამდიერებს პროგრამის მიზნებს უზრუნველყოს ინტერდისციპლინური კვლევები, რომლებიც ორიენტირებულია კვლევასა და შემოქმედებით მიდგომაზე, რომელიც გთავაზობს აუდიოვიზუალური და სამემსრულებლო ხელოვნების გაფართოებულ თეორიულ ცოდნას ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და გვაწვდის აუდიოვიზუალური და სამემსრულებლო ხელოვნების სფეროების და მათი ურთიერთქმედების შესახებ სიღრმისეულ ინფორმაციას.

პროგრამის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეიძლება მე-20 საუკუნის მეორე ნაწილის ფუნდამენტური და კანონიკური ავტორების შეტანით, როგორებიც არიან ჟან დივინიო, რიჩარდ შეხნერი, პატრის პავისი, ერიკა ფიშერ-ლიხტე, ჰანს-ტიეს ლემანი, მარვინ კარლსონი ან მანფრედ პვისტერი. ყოველივე აღნიშნულიდან ბიბლიოთეკაში, და არა სილაბუსებში, მხოლოდ ერთი ავტორია, პატრის პავისი და მისი რუსულად თარგმნილი „თეატრის ლექსიკონი“.

თანამედროვე სარეჟისორო, სამსახიობო და ანალიტიკური ცოდნის გასავითარებლად, მეტად სასარგებლო იქნებოდა სპექტაკლების ვიდეო მასალების დამატება, რომლებიც დაიდგა ბოლო რამდენიმე ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორების მიერ, როგორებიცაა რობერტ უილსონი, ტადეუშ კანტორი, არიანე მნუშკინი, იან ლოუერსი, ანა ზოგარტი, თომას ოსტერმაიერი, პიპო დელბონო, ივო ვან ჰოვე, რომეო კასტლუჩი, მილო რაუ ან ჯგუფი რიმინი პროტოკოლი. ვიდეოების უმეტესობა ხელმისაწვდომია სხვადასხვა ონლაინ პლატფორმაზე.

დრამისა და დრამატურგიის გაგება, თანამედროვე თეატრალურ გარემოში, შეიძლება მნიშვნელოვნად გამდიდრდეს სხვადასხვა მიდგომებით თანამედროვე პოსტდრამატული და/ან დრამატურგიული ნაწარმოების შექმნაში მონაწილეობით, რომელიც წარმოდგენილია ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორების მიერ, როგორებიცაა ჰაინერ მიულერი, სარა კეინი, მარკ რავენჰილი, ბოტო შტრაუსი, ელფრიდ იელინეკი, როლანდ შიმელჰენიგი, იასმინა რეზა, ბერნარ-მარი კოლტესი ან მოჰამედ ელ ხატიბი. ყველა ნახსენებიდან, მხოლოდ იასმინა რეზა სადოქტორო პროგრამის ერთ სილაბუსში.

იმის გამო, რომ განათლების კონცეფცია მძლავრად არის ასახული სტანისლავსკიში, ძალზე გამოსადეგი იქნებოდა ლიტერატურაში სტეფან აკილინას მიერ რედაქტირებული საკითხავის „სტანისლავსკი და პედაგოგია“ შეტანა, რომელიც გამოქვეყნდება Routledge 2024-ში. ჯონ ჯილეტის, ჰილარი ჰალბას, ჯულია ლისტენგარტენის, კრისტოფერ ნისის, ბელა მერლინის, დევიდ შირლის, ელიენ ჰანსლერის და მარიო ფრენდოს ანალიტიკური ნარკვევები სტანისლავსკის დიდ მემკვიდრეობაზე გვიჩვენებს

თანამედროვე პერსპექტივას და მისი მეთოდის უახლეს მიდგომას, იმ შემთხვევაში თუკი პედაგოგთა პერსონალი განხილვისას მას საჭიროდ მიიჩნევს.

ექსპერტებს ასევე სურთ შემოგთავაზონ რამდენიმე არჩევითი კურსი, რომლებიც სასარგებლო იქნება პროგრამისთვის:

1) ციფრული მედია საშემსრულებლო ხელოვნებაში: ციფრული მედიის ჩართვა საშემსრულებლო ხელოვნებაში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ეს კურსი რეჟისორებსა და ქორეოგრაფებს გააცნობს ტექნოლოგიების გამოყენებას საკუთარ შემოქმედებაში, როგორებიცაა პროექცია, მულტიმედია და ინტერაქტიული ელემენტები.

2) მეწარმეობა ხელოვნების სფეროში და დაფინანსება:

სტუდენტებს მათი კარიერის პრაქტიკული ასპექტებისთვის ამზადებს. ამ კურსს შეუძლია გააცნოს მეწარმეობა ხელოვნების სფეროში, ფონდების მოზიდვის სტრატეგიები და გრანტების წერა, რათა დაეხმაროს მათ თავიანთი მხატვრული ძალისხმევის შენარჩუნებაში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრების დროს ხაზი გაესვა გრანტის/პროექტის წერის უნარ-ჩვევების მნიშვნელობას, ამიტომ აღნიშნული კურსი შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს პროგრამისთვის.

3) კულტურის კვლევები საშემსრულებლო ხელოვნებაში:

სტუდენტების მიერ მათი მუშაობის კულტურული კონტექსტის გაგების გასამდიდრებლად, აღნიშნულ კურსს შეუძლია შეისწავლოს საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია და მისი გავლენა სხვადასხვა კულტურაზე. ეს შეიძლება მოიცავდეს დიდი გავლენის მქონე სპექტაკლების შემთხვევის შესწავლას და იმის გამოკვლევას თუ როგორ აყალიბებს კულტურა მხატვრულ გამომსახველობას.

პროგრამის გაძლიერებული ინტერნაციონალიზაციისთვის, მიზანშეწონილი იქნება ინგლისურენოვანი არჩევითი კურსის დამატება:

1) კრიტიკული თეორიები რეჟისურაში: XX-XXI საუკუნეების პერსპექტივები: ამ კურსს შეუძლია სტუდენტებს მიაწოდოს ცოდნა პოსტკოლონიალური, პოსტსტრუქტურალისტური, გენდერული, ეგზისტენციალისტური, ფემინისტური, ეკოკრიტიკის და პოსტჰუმანური პერსპექტივების შესახებ და საშუალება მისცეს თავად გამოიკვლიონ, თუ როგორ შეუძლიათ რეჟისორებს ამ ჩარჩოების თავიანთი მხატვრული არჩევანის ინფორმირებისთვის გამოიყენება. ყურადღებით კითხვის, შემთხვევის შესწავლის, პრაქტიკული სავარჯიშოებისა და დისკუსიების მეშვეობით, მონაწილეები განივითარებენ ფართო ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია თანამედროვე კრიტიკულ თეორიებს გაამდიდროს და დაუპირისპირდეს თეატრის რეჟისურის პრაქტიკას. აღნიშნული კურსის თემები შეიძლება იყოს: პოსტკოლონიური თეორიების შესწავლა და მათი გამოყენება რეჟისურაში; პოსტსტრუქტურალისტური თეორიებისა (მაგ., დერიდა, ფუკო, ბარტი) და მათი გავლენის შესწავლა რეჟისორობაზე; გენდერული თეორიისა და მისი შესაბამისობის შემოწმება სარეჟისორო პროცესთან; იმ რეჟისორების შემთხვევების შესწავლა, რომლებიც სცენაზე ტრადიციულ გენდერულ ნორმებს აპროტესტებენ (ნაციონალური თეატრისა და გლობუსის შექსპირისეული სპექტაკლები ამ კურსისთვის კარგი სასწავლო მასალა იქნება); ეგზისტენციალური ცნებების ანალიზი და მათი გამოვლინება თეატრალურ ნაწარმოებებში; რეჟისორის როლის გაგება არსებობის, არჩევანისა და თავისუფლების თემების შესწავლაში; გენდერული თეორიის გამოკვლევა და მისი შესაბამისობა სარეჟისორო პროცესთან (სალი კუქსონის ჯეინ ეირის შემთხვევის შესწავლა ეროვნულ თეატრში); ფემინისტურ რეჟისურაში წარმომადგენლობის, გაძლიერების და ინკლუზიურობის კვლევა; ეკოკრიტიკული პერსპექტივებისა და მათი შემოქმედების გააზრება სარეჟისოროზე; პოსტ-ჰუმანური თეორიების შესწავლა და მათი ურთიერთობა საშემსრულებლო ორგანოზე; ანალიზი იმისა, თუ როგორ შეუძლიათ რეჟისორებს გამოიკვლიონ ტექნოლოგია და ტრანსჰუმანიზმი თეატრში.

2) კარლოს საურას ფილმები ცეკვაზე: ცეკვის, კულტურისა და კინემატოგრაფიული ხელოვნების შესწავლა: კურსს შეუძლია ფოკუსირდეს ესპანელი კინორეჟისორის კარლოს საურას ცეკვის ინოვაციურ ფილმებზე. საურას ნამუშევრების ობიექტივის საშუალებით სტუდენტები შეისწავლიან ცეკვის, კულტურისა და კინემატოგრაფიული ხელოვნების ჩახლართულ კავშირს. ტრადიციული ფლამენკოდან თანამედროვე ბალეტამდე, საურას ფილმები გვთავაზობს ცეკვის ფორმების უნიკალურ შესწავლას, მოძრაობის, მუსიკისა და ემოციების არსის აღბეჭდვას. ეს კურსი შეისწავლის ცეკვის

კულტურულ მნიშვნელობას, კინემატოგრაფიული თხრობის ხელოვნებასა და საურას ინოვაციური მიდგომის გავლენას ეკრანზე ცეკვის წარმოდგენისას.

კურსი სავარაუდოდ შემდეგ თემებს მოიცავს: 1) კარლოს საურას წარსულის, ფილმოგრაფიისა და მხატვრული გავლენის მიმოხილვა; საურას ნარატიულ თხრობაში ცეკვის როლის გააზრება; 2) ფლამენკოს ტრილოგია: "სისხლიანი ქორწილი", "კარმენი" და "ელ ამორ ბრუჯო"; ფლამენკოს ცეკვისა და მისი კულტურული მნიშვნელობის ანალიზი ესპანურ ტრადიციაში; იმის გამოკვლევა, თუ როგორ ასახავს საურა ეკრანზე ფლამენკოს ვნებასა და ინტენსივობას; 3) "ტანგო": არგენტინული ტანგოს და მისი ევოლუციის შესწავლა; ტანგოს ისტორიული და კულტურული კონტექსტი არგენტინულ საზოგადოებაში; საურას ტანგოს ცეკვისა და მუსიკის გრძნობადობისა და სირთულის ასახვა; 4) „სევდიანი ხალხური სიმღერა“: პორტუგალიის სულიერი ცეკვა და მუსიკა; სევდიანი ხალხური მუსიკის შესწავლა და მისი სწრაფვისა და მელანქოლიის გამოხატულება; იმის ანალიზი, თუ როგორ ურევს საურა სევდიანი ხალხური სიმღერების წარმოდგენებს მოთხრობასთან; 5) „ფლამენკო, ფლამენკო“: ფლამენკოს მრავალფეროვნების ზეიმი; საურას პატივისცემის შესწავლა მრავალმხრივობისა და ფლამენკოს ცეკვისა და მუსიკის განვითარებისადმი; იმპროვიზაციისა და სპონტანურობის როლი ფლამენკოს სპექტაკლებში; 6) "იბერია": ცეკვისა და ესპანური კლასიკური მუსიკის შერწყმა; ესპანური კლასიკური მუსიკის ინტეგრაცია საცეკვაო სპექტაკლებთან; ტრადიციული ესპანური ცეკვის ფორმების გავლენის ანალიზი ფილმში 7) „სევილიანები“: ხალხური ცეკვა და ანდალუსიის სული; სევილიანელების კულტურული ფესვებისა და სადღესასწაულო ბუნების გაგება; 8) ანტონიო გედესის ფენომენი კარლოს საურას ფილმებში; რეჟისორისა და ქორეოგრაფის/მოცეკვავის ძლიერი თანამშრომლობის მაგალითი; 9) ფოლკლორისა და კულტურული იდენტობის გავლენა საურას შემოქმედებაზე 10) კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება საურას ფილმების საშუალებით.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პროგრამის კულმინაციას, მოიცავს ყველა იმ ცოდნასა და უნარს, რომელიც სტუდენტმა შეიძინა. სამაგისტრო ნაშრომის კონტექსტში, თეატრსა ან საშემსრულებლო ხელოვნებაში, თეორიული ნაწილი, როგორც წესი, უნდა შედგებოდეს აკადემიური და თეორიული ჩარჩოგან, რომელიც საფუძველს უყრის რეჟისორის მხატვრულ არჩევანსა და შემოქმედებით პროცესს. ეს ნაწილი იკვლევს რეჟისორის მუშაობის კონცეპტუალურ და მეცნიერულ ასპექტებს, რაც ქმნის პროცესში მიღებული მხატვრული გადაწყვეტილებების გაგების საფუძველს.

რეჟისორის ინტერპრეტაციამ უნდა აჩვენოს რეჟისორის მიერ თეატრისა და სასცენო ხელოვნების შესაბამისი თეორიების, მეთოდოლოგიებისა და კონცეფციების ცოდნა, რამაც გავლენა მოახდინა დადგმაზე, სცენარის ინტერპრეტაციაზე, კასტინგის გადაწყვეტილებებზე და შექმნის სხვა შემოქმედებით ასპექტებზე. დაწესებულების მიერ მოწოდებული მაგისტრატურის ორი ნამუშევრის ანალიზის შემდეგ (პიესის ექსპლიკაცია: ა) "ტრამვაი სახელად სურვილი", ბ) "ალუბლის ტორტი") ექსპერტებმა იპოვეს როგორც ღირსებები, ასევე გასაუმჯობესებელი მხარეები:

1. ორივე თეზისი მოკლებულია თეორიული პერსპექტივების, თეატრალური თეორიების ან მხატვრული მოძრაობების მიმოხილვას, რამაც გავლენა მოახდინა რეჟისორის შემოქმედებაზე.

2. ავტორის ბიოგრაფიიდან ნორმატიული ფაქტების (ტრამვაი) ან ძირითადად, პირადი შეხედულებების (ალუბალი) მიწოდების ნაცვლად, ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილმა უნდა შესთავაზოს შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის სიღრმისეული ანალიზი და (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სხვა რეჟისორების წინა ნამუშევრები, რომლებმაც ჩამოაყალიბა რეჟისორის მიდგომა.

3. რეჟისორის მხატვრული ზრახვების, ამოცანებისა და შექმნის მიზნების გადმოცემა ორივე შემთხვევაში სწორია და ეპოქის, სიუჟეტის/სპექტაკლის სტრუქტურის, თემების, იდეებისა და პერსონაჟების ანალიზი ძალზე აქტუალურია, მაგრამ სასურველია, თუ ნაშრომებს შესთავაზებენ რეპეტიციების დროს გამოყენებული მეთოდების, ტექნიკის და ძირითადი მხატვრული არჩევანის მიღმა გადაწყვეტილების მიღების პროცესის უფრო ღრმა შესწავლას.

4. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სამაგისტრო ნაშრომი უნდა მოიცავდეს საგულდაგულოდ ციტირებული აკადემიური წყაროების მოცულობით სიას. ეს აჩვენებს რეჟისორის აქტიურ ჩართულობას თეატრისა და საშემსრულებლო ხელოვნების სფეროში, შესაბამისი ლიტერატურითა და თეორიებით. ციტირებული დოკუმენტების ერთობლიობა, ორივე შემთხვევაში, მოიცავს მაქსიმუმ 8 წყაროს, რაც შესაძლოა არასაკმარისი ჩანდეს სამაგისტრო კვლევის სიღრმისათვის. რეკომენდებულია ციტირებული წყაროების მინიმალური ზღვრის დადგენა, კონკრეტულად, დაახლოებით 20 წყარო, რომელიც მოიცავს სამეცნიერო სტატიებს. გარდა ამისა, მაგისტრანტები უნდა წახალისონ, გამოიყენონ მათ მიერ შეძენილი კვლევის მრავალი უნარი, უფრო კონკრეტულად, მათი პროგრამის ძლიერი კვლევითი მოდულის, განსაკუთრებით კი აკადემიური წერის კურსის დახმარებით.

აღწერა და ანალიზი - მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი); - სამაგისტრო პროგრამა

მეტყველების კულტურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) პროგრამა პრაქტიკულ სწავლებასთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თეორიულ-ანალიტიკურ კვლევას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს განავითარონ საშემსრულებლო ხელოვნების ყოვლისმომცველი გაგება. პროგრამა გადამწყვეტია უმაღლესი სახელოვნებო განათლებისთვის, რადგან ის უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ სწავლებას შემოქმედებით პედაგოგიაში, რაც საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს ასწავლონ შესაბამის სფეროში. სასწავლო პროგრამა აერთიანებს მეტყველების კულტურას და სასცენო მეტყველებას, რაც ცალკეულ მიმართულებებზე ორიენტირებულ პროგრამებთან შედარებით მკაფიო უპირატესობას სთავაზობს.

პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს, რომელსაც ავსებს მასტერკლასები, რომლებსაც ატარებენ თეატრისა და ხელოვნების პროფესიონალები. სტუდენტები ასევე ეცნობიან თეატრალური სწავლებისა და შემოქმედებითი მუშაობის სხვადასხვა ეტაპებს საქართველოს თეატრებში. პრაქტიკული უნარების შეძენას სრულყოფს შესაბამისი თეორიული კურსები და სწავლება-შემოქმედებით და ანალიტიკურ კვლევებში ჩართულობა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პროგრამა პრაქტიკულ სწავლებასთან ერთად ხაზს უსვამს თეორიულ-ანალიტიკურ კვლევას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს განავითარონ საშემსრულებლო ხელოვნების სრულყოფილად გაგების უნარი.

სასწავლო პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემაზე (ECTS) დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს სტუდენტებისთვის ამომწურავ და ორგანიზებულ სასწავლო გამოცდილებას. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, „სამაგისტრო პროგრამა მოიცავს ოთხ სემესტრს, ჯამში 120 კრედიტს, 1 კრედიტი - 25 საათი;

- ერთი სასწავლო წელი მოიცავს 40 კვირას (აქედან 30 სასწავლო – 10 – სასესიო);
- თითოეული სემესტრის ხანგრძლივობაა 15 სასწავლო, 5 სასესიო კვირა (4 ძირითადი, 1 დამატებითი);
- საკონტაქტო დატვირთვა კვირაში: 12-15 საათი (საშუალოდ).

სწავლის პირველ წელს სტუდენტები სწავლობენ მეტყველების თეორიასა და პრაქტიკას, იკვლევენ ორატორული ხელოვნების თანამედროვე ტენდენციებს და დარგის ისტორიულ განვითარებას. სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები ასევე სწავლობენ სასცენო მეტყველებას და ეცნობიან ამ სფეროში არსებულ კვლევის მეთოდებს. პროგრამის ორივე წლის განმავლობაში სტუდენტები ჩაერთვებიან საუნივერსიტეტო დისციპლინებსა და არჩევით კურსებში, რაც მათ საშუალებას აძლევს გაიღრმავონ ცოდნა ხელოვნებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მიმართულებებში. არჩევითი კურსები განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვისაც არ აქვს მხატვრული გამოცდილება, რადგან შეუძლიათ მიიღონ საჭირო განათლება და გაამდიდრონ თავიანთი ცოდნა.

სასწავლო გეგმა ფოკუსირებულია სწორი მეტყველების ფორმირების, ლინგვისტური საფუძვლების და ლოგოპედია-დეფექტოლოგიის განვითარებაზე. მოსწავლეები სწავლობენ მეტყველების ხარვეზების იდენტიფიცირებას, დარღვევების გამოსწორებას და მეტყველების ტექნიკური და შემოქმედებით უნარების გაუმჯობესებას.

პროგრამის წარმატების უზრუნველსაყოფად საჭიროა რამდენიმე გამოწვევის დაკმაყოფილება. ძირითადი საზრუნავი, კლასტერის სხვა პროგრამებშიც, არის სხვადასხვა კურსებში წარმოდგენილი შეფასების ხარვეზები. ეს საკითხები მონიშნულია ან დაკარგულ კომპონენტად ან ბუნდოვან კრიტერიუმად, რამაც შეიძლება სტუდენტების დაბნეულობა გამოიწვიოს. შეფასების სისტემის საფუძვლიანი განხილვა და გადახედვა აუცილებელია გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად.

კიდევ ერთი სფერო, რომელიც გაუმჯობესებას საჭიროებს, არის რამდენიმე სილაბუსში სასემინარო აქტივობების მკაფიო იდენტიფიცირება. სემინარები მკაფიოდ უნდა გამოირჩეოდეს სალექციო თემებისაგან და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ინტერაქციულ დისკუსიებს, ჯგუფურ მუშაობას ან მის პრაქტიკულ გამოყენებას. მკაფიოდ განსაზღვრული განსხვავების ჩვენებით, სტუდენტებს შეეძლებათ უკეთ მოემზადონ და ჩაერთონ ამ მნიშვნელოვან სასწავლო შესაძლებლობებში. პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრებებმა აჩვენა, რომ ლექტორები ატარებენ მრავალმხრივ და ფართო სასემინარო აქტივობებს, რომლებიც სათანადოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული სილაბუსში. უფრო მეტიც, როგორც ადგილზე ჩატარებულმა გასაუბრებებმა აჩვენა, ლექტორები თავიანთ ლექციებში იყენებენ ინფორმაციის სხვადასხვა საშუალების ბმულებს და ვიდეო ფრაგმენტებს და ეს ასპექტი უკეთ უნდა იყოს ხაზგასმული შესაბამისი კურსების სილაბუსებში.

გარდა ამისა, რამდენიმე სილაბუსი ზარალდება გაუმართავი დაშვების წინაპირობებით, რაც პოტენციურად იწვევს სტუდენტებს შორის დაბნეულობას. ამ გამოწვევების ეფექტურად გადაჭრის მიზნით, აუცილებელია ფაკულტეტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივი ძალისხმევა. დისკუსიების გამართვა, უკუკავშირის შეგროვება და პერიოდული მიმოხილვების ჩატარება გაამარტივებს საჭირო ცვლილებების შეტანას და გაუმჯობესებას.

პროგრამას შეუძლია სარგებელი მიიღოს შემდეგი არჩევითი კურსების დამატებით:

1) ციფრული კომუნიკაცია და მედიაწიგნიერება: ეს კურსი ფოკუსირებული იქნება სტუდენტებისთვის ეფექტური ციფრული კომუნიკაციის უნარების სწავლებაზე, მათ შორის სოციალური მედიის ეტიკეტის, ციფრული სიუჟეტების და მედიის ანალიზის ჩათვლით. იგი სტუდენტებს აღჭურავს ციფრულ ლანდშაფტზე ნავიგაციის უნარით და პასუხისმგებლობით გამოიყენონ თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები.

2) კულტურათაშორისი კომუნიკაცია: მზარდად გლობალიზებულ სამყაროში კულტურათაშორისი კომუნიკაცია აუცილებელია. ეს კურსი დაეხმარება სტუდენტებს განავითარონ კულტურათაშორისი გაგების უნარი და კომუნიკაციის კომპეტენცია, მოამზადებს მათ სხვადასხვა გარემოში ეფექტური მუშაობისთვის.

3) შექსპირის მონოლოგების შედარებითი ანალიზი ბრიტანულ და ქართულ სცენაზე: (ეროვნული თეატრის დიდი ბრიტანეთის კოლექციების ინგლისური ვიდეო მასალების ფართო გამოყენებით)

ამ კურსს შეუძლია შესთავაზოს შექსპირის მონოლოგების შესრულებისა და ინტერპრეტაციის სიღრმისეული შესწავლა როგორც ბრიტანულ, ასევე ქართულ სცენაზე. შედარებითი ანალიზის საშუალებით სტუდენტები შეისწავლიან, თუ როგორ უახლოვდებიან მსახიობები, რეჟისორები და თეატრალური კომპანიები ბრიტანეთში და საქართველოში შესრულების მანერას, ინტერპრეტაციას და შექსპირის მონოლოგების ენობრივ ნიუანსებს. სხვადასხვა სპექტაკლების ყურადღებით შესწავლით, სტუდენტები მიიღებენ ცოდნას მეტყველების გამოსახვის განვითარებაზე და მისი პერსონაჟების განვითარებაზე, ემოციურ სიღრმეზე და აუდიტორიის ჩართულობაზე გავლენას. კურსი ხელს შეუწყობს შექსპირის წარმოდგენის მდიდარი ტრადიციების შეფასებას როგორც ბრიტანულ, ასევე ქართულ სცენაზე.

მოსწავლეები გააანალიზებენ და შეადარებენ მეტყველების გამოსახვის ტექნიკას შექსპირის მონოლოგების ბრიტანულ და ქართულ ინტერპრეტაციებში; შეისწავლიან ისტორიულ და კულტურულ კონტექსტს, რომელმაც ჩამოაყალიბა მეტყველების ფორმები და მანერა შექსპირის ბრიტანულ შესრულებაში; შეაფასებენ სხვადასხვა თაობის ცნობილი მსახიობების გავლენას მეტყველების გამოსახვაზე ბრიტანულ/ქართულ თეატრალურ ტრადიციებში; განავითაბენ კრიტიკულ შეხედულებებს ენის როლისა და ლინგვისტური არჩევანის შესახებ პერსონაჟების განსახიერებისა და ემოციურ გამოხატვაში; ჩაერთვებიან პრაქტიკულ სავარჯიშოებში საკუთარი მეტყველების გამოსახვისა და შექსპირის მონოლოგების გადმოცემის გასაუმჯობესებლად.

მონოლოგების მაგალითები ანალიზისთვის:

"ყოფნა-არყოფნა" უილიამ შექსპირის "ჰამლეტიდან"

"ახლა ჩვენი უკმაყოფილების ზამთარია" "რიჩარდ III"-დან

"ხვალე ხვალს მოსდევს" "მაკბეტიდან"

"გამშორდი, წყეულო ლაქავ! გამშორდი-მეთქი!" "მაკბეტიდან"

"გთხოვთ, ბატონო, გაუფრთხილდეთ ეჭვიანობას" "ოტელოდან"

"მთელი მსოფლიო სცენაა“ პიესიდან „როგორც გენებოთ“

"მე ებრაელი ვარ. განა ებრაელს თვალები არ აქვს?" "ვენეციელი ვაჭრიდან"

სამაგისტრო ნაშრომი ემსახურება პროგრამის კულმინაციას, რომელიც მოიცავს სტუდენტის მიერ მიღწეული ცოდნისა და უნარების სრულ მასშტაბს. პროგრამის კონტექსტში შესაფასებლად წარმოდგენილი იყო ორი სამაგისტრო ნაშრომი: "სიტყვა მასმედიაში" და "სიტყვის ძალა საჯარო მეტყველებისას." აღსანიშნავია, რომ ექსპერტებმა შენიშნეს, რომ ორივე სათაური გარკვეულწილად ზოგადია, რაც პოტენციურად წარმოადგენს გამოწვევას განისაზღვროს კონკრეტული საკვლევი პრობლემები. მიზანშეწონილია, რომ მომავალში, სამაგისტრო ნაშრომების სათაურები დავიწროვდეს უფრო ზუსტ საკვლევ საკითხებზე.

წარმოდგენილი კვლევითი პროექტების ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება - განსხვავება, რომელიც ასევე აშკარაა მათ შეფასებებში. ერთ-ერთ ნაშრომს არ გააჩნია რაიმე შესამჩნევი ნაკლი და მართებულად ასახავს პროგრამის ძლიერი კვლევითი კომპონენტის მეშვეობით შეძენილ ცოდნას. ნაშრომში წარმოდგენილია უნაკლო სტრუქტურა, ამომწურავი შესავალი, რომელიც მოიცავს ყველა ძირითად ელემენტს, მიზნიდველი კვლევის შინაარსი, რომელიც გადმოცემულია მტკიცე აკადემიური სტილით და ფორმალური მოთხოვნების დაცვით. ექსპერტებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა მეორე თავი: „ქართული ორატორული ხელოვნება“. ბიბლიოგრაფია მოიცავს 38 ციტირებულ ტექსტს, რომელიც მოიცავს დარგში ცნობილი უცხოელი და ქართველი მოღვაწეების ნაშრომებს. ამ ნაშრომის შთამბეჭდავი მახასიათებელი მისი დამატებითი მასალების განყოფილებაა, რომელიც მოიცავს 40 გვერდს და აერთიანებს გასაუბრებებს, რომლებიც არსებითად ეხმარება კვლევას.

ამის საპირისპიროდ, მეორე ნაშრომი ავლენს მთელ რიგ ნაკლოვანებებს. ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი (26 გვერდიდან თითქმის 10 გვერდი) ეთმობა გასაუბრებებს, რაც საფუძვლიანი ანალიზისთვის შეზღუდულ ადგილს ტოვებს. გარდა ამისა, შესავალს აკლია ის არსებითი კომპონენტები, რომლებიც მნიშვნელოვნად იყო ხაზგასმული პროგრამის ფარგლებში შესწავლილი აკადემიური წერის კურსში. ბიბლიოგრაფია მოიცავს მხოლოდ 9 წყაროს, რაოდენობას, რომელიც შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს შესაბამისობის კრიტერიუმებს. აქედან გამომდინარე, იმის უზრუნველსაყოფად, რომ თუნდაც ზომიერი ან დაბალი რეიტინგის მქონე ნაშრომმა მიაღწიოს საჭირო სტანდარტს, ექსპერტები იმეორებენ სხვა სამაგისტრო პროგრამებისთვის გაცემულ რეკომენდაციებს: სამაგისტრო ნაშრომი უნდა მოიცავდეს საგულდაგულოდ ციტირებული აკადემიური წყაროების მოცულობით სიას. რეკომენდებულია ციტირებული წყაროების მინიმალური ზღვრის დადგენა, კონკრეტულად, დაახლოებით 20 წყარო, რომელიც მოიცავს სამეცნიერო სტატიებს. გარდა ამისა, მაგისტრანტები უნდა წაახალისონ, გამოიყენონ

მათ მიერ შეძენილი კვლევის მრავალი უნარი, უფრო კონკრეტულად, მათი პროგრამის ძლიერი კვლევითი მოდულის, განსაკუთრებით კი აკადემიური წერის კურსის დახმარებით.

აღწერა და ანალიზი - თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის იდეა გულისხმობს თეატრისა და კინოს დრამატურგის შერწყმას, რაც ცალკეულ მიმართულებებზე ორიენტირებულ პროგრამებთან შედარებით მკაფიო უპირატესობას სთავაზობს. საბაკალავრო აკადემიური სწავლების დროს მიღებული საბაზისო განათლების შემდეგ, მეორე, სამაგისტრო საფეხური მიზნად ისახავს შეძენილი ცოდნისა და პირადი ინტერესების გაღრმავებას და გაფართოებას და ზუსტი და შესაბამისი გზების გამოვლენას, განსაკუთრებით თეატრისა და კინოხელოვნების სფეროებში.

სამაგისტრო პროგრამა მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს ინდივიდუალურ მუშაობაზე, სადაც სტუდენტები, კონსულტანტის ხელმძღვანელობით, მონაწილეობენ შემოქმედებით სემინარში. პროგრამის ეს საგანმანათლებლო კომპონენტი მაგისტრანტებს აღჭურავს საჭირო მეთოდოლოგიური მომზადებითა და სპეციალიზებული ინსტრუმენტებით, რათა ჩაატარონ მაღალი დონის კვლევები ხელოვნების დარგში და ამავდროულად, შექმნან შემოქმედებითი შედეგისთვის ხელსაყრელი გარემო. უფრო მეტიც, სამაგისტრო პროგრამა შექმნილია სტუდენტებისთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებისთვის, რაც აუცილებელია შემდგომი აკადემიური და კვლევითი მცდელობების გასაგრძელებლად სადოქტორო პროგრამაში და თანამედროვე სამუშაო ბაზარზე წარმატების მისაღწევად.

პროგრამის ფარგლებში სწავლება უმაღლესი განათლების ყველა აკადემიურ კატეგორიაში წარმართება: ლექციების, სემინარების, პრაქტიკული, ჯგუფური და ინდივიდუალური სწავლების სახით, საკურსო ნაშრომების წარდგენით და გამოსაშვები, საკვალიფიკაციო-სამაგისტრო ნაშრომით.

სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელობა მდგომარეობს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებთან შერწყმის უნარში. ამ შერწყმას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რადგან თეატრისა და კინოს დრამატურგის როლი მოითხოვს ანალიტიკურ აზროვნებას განვითარებული მოვლენების აღსაქმელად და ძირეული სოციალურ-პოლიტიკური დინამიკის გასაგებად. საზოგადოების განწყობისა და მის წინაშე მდგარი გამოწვევების გაგება გადამწყვეტია იმისთვის, რომ დრამატურგი ღრმად ჩასწვდეს კონკრეტულ საკითხებს და საფუძვლიანად გააანალიზოს.

დრამატურგის პროგრამის გაგება თანამედროვე თეატრალურ გარემოში შეიძლება მნიშვნელოვნად გამდიდრდეს სხვადასხვა მიდგომებით თანამედროვე პოსტდრამატული და/ან დრამატურგიული ნაწარმოების შექმნაში მონაწილეობით, რომელიც წარმოდგენილია ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორების მიერ, როგორებიცაა ჰაინერ მიულერი, სარა კეინი, მარკ რავენჰილი, ბოტო შტრაუსი, ელფრიდ იელინეკი, როლანდ შიმელპფენიგი, იასმინა რეზა, ბერნარ-მარი კოლტესი ან მოჰამედ ელ ხატიბი. ყველა ნახსენებიდან, მხოლოდ იასმინა რეზაა სადოქტორო პროგრამის ერთ სილაბუსში.

პროგრამის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეიძლება მე-20 საუკუნის მეორე ნაწილის ფუნდამენტური და კანონიკური ავტორების შეტანით, როგორებიც არიან ჟან დივინიო, რიჩარდ შეხნერი, პატრის პავისი, ერიკა ფიშერ-ლიხტე, ჰანს-ტიეს ლემანი, მარვინ კარლსონი ან მანფრედ პფისტერი. ყოველივე აღნიშნულიდან ბიბლიოთეკაში, და არა სილაბუსებში, მხოლოდ ერთი ავტორი, პატრის პავისი და მისი რუსულად თარგმნილი „თეატრის ლექსიკონია“.

თანამედროვე დრამისა და თეატრის ანალიტიკური ცოდნის გასავითარებლად, უფრო სასარგებლო იქნებოდა სპექტაკლების ვიდეო მასალების დამატება, რომლებიც დაიდგა ბოლო რამდენიმე ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორების მიერ, როგორებიცაა რობერტ უილსონი, ტადეუშ კანტორი, არიანე მნუშკინი, იან ლოუერსი, ანა ზოგარტი, თომას ოსტერმაიერი, პიპო დელბონო, ივო ვან ჰოვე, რომეო კასტლუჩი, მილო რაუ ან ჯგუფი რიმინი პროტოკოლი. ვიდეოების უმეტესობა ხელმისაწვდომია სხვადასხვა ონლაინ პლატფორმაზე.

იმის გამო, რომ განათლების კონცეფცია მძლავრად არის ასახული სტანისლავსკიში, იმ შემთხვევაში თუკი პედაგოგთა პერსონალი განხილვისას მას საჭიროდ მიიჩნევს, ძალზე გამოსადეგი იქნება ლიტერატურაში სტეფან აკილინას მიერ რედაქტირებული საკითხავის „სტანისლავსკი და პედაგოგია“ შეტანა, რომელიც გამოქვეყნდება Routledge 2024-ში. ჯონ ჯილეტის, ჰილარი ჰალბას, ჯულია ლისტენგარტენის, კრისტოფერ ნისის, ბელა მერლინის, დევიდ შირლის, ელიენ ჰანსლერის და მარიო ფრენდოს ანალიტიკური ნარკვევები სტანისლავსკის დიდ მემკვიდრეობაზე გვიჩვენებს თანამედროვე პერსპექტივას და მისი მეთოდის უახლეს მიდგომას.

პროგრამის ნაკლოვანებები მსგავსია კლასტერში შემავალი ყველა სხვა პროგრამების გამოწვევებთან: რამდენიმე კურსში წარმოდგენილია შეფასების ხარვეზიანი სისტემა, რომელიც დაკარგულ კომპონენტად ან ბუნდოვან კრიტერიუმად არის მონიშნული, რამაც შეიძლება სტუდენტების დაბნეულობა გამოიწვიოს; რამდენიმე სილაბუსში, სასემინარო აქტივობები მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს სალექციო თემებისგან და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ინტერაქციულ დისკუსიებს, ჯგუფურ მუშაობას ან მის პრაქტიკულ გამოყენებას; გაუმართავი დაშვების წინაპირობები. ეს პრობლემები არ არის გამოვლენილი ყველა სილაბუსში, მაგრამ ისინი საკმაოდ ხშირია სისტემურ ხარვეზად იდენტიფიცირებისთვის (დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ 1.5).

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის დასრულების შემდეგ, „მაგისტრს ექნება შესაძლებლობა იმუშაოს ექსპერტ-ანალიტიკოსად საჯარო და კერძო სექტორში, სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებში თუ სააგენტოებში; თეატრის ლიტერატურული ნაწილის ხელმძღვანელად; გაწიოს სარედაქციო და საგამომცემლო სამუშაო, დასაქმდეს დამოუკიდებელ სცენარისტად კინოს, ტელევიზიისა და აუდიო-ვიზუალური რეკლამის სფეროში. როგორც კინოსტუდიების, ტელეარხების და სარეკლამო სააგენტოების რედაქტორი, ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევები; მონაწილეობა მიიღოს თეატრის მხატვრული და რეპერტუარული პოლიტიკის განსაზღვრასა და დაგეგმვაში; აწარმოოს მოლაპარაკებები და დააორგანიზოს შემოქმედებითი ჯგუფების ჩამოყალიბება; იმუშაოს ხელოვნების მენეჯმენტის, თეატრალური და აუდიო-ვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარების მიმართულებით.“

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის კურსები მრავალმხრივია და სტუდენტებს ყველა საჭირო ცოდნითა და უნარებით აღჭურავს, პროგრამის ინტერნაციონალიზაციისა და უახლეს, თანამედროვე ტექნოლოგიებთან კავშირისთვის, შეიძლება დაემატოს ინგლისურენოვან წყაროებსა და მასალებზე დაფუძნებული რამდენიმე არჩევითი კურსი.

1) დრამატურგიის დაუფლება: XX-XXI საუკუნეების ბრიტანელი დრამატურგების შეხედულებები: აღნიშნული ყოვლისმომცველი კურსი შეისწავლის დრამატურგის ხელოვნებას, შთაგონებას მიიღებს XX-XXI საუკუნეების გამოჩენილი ბრიტანელი დრამატურგების სიბრძნიდან და გამოცდილებიდან. ვიდეო ინტერვიუების, მათი ნამუშევრების ანალიზის, სტატიებისა და პრაქტიკული წერიტი სავარჯიშოების დახმარებით, სტუდენტები მიიღებენ ღირებულ ცოდნას სცენისთვის წერის ხელობის შესახებ. ეს კურსი ახალბედა დრამატურგებს, ბრიტანული თეატრის მდიდარი ისტორიისა და ევოლუციის შესწავლის კვალდაკვალ, აღჭურავს ცოდნითა და უნარებით, რომლებიც საჭიროა დამაჯერებელი ისტორიების, დასამახსოვრებელი პერსონაჟებისა და საინტერესო დიალოგების შესაქმნელად.

კურსი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ თემებს: 1) დრამატურგიისა და ბრიტანული თეატრის ისტორიის შესავალი (დრამატურგიის, როგორც ხელოვნების ფორმის მიმოხილვა და მისი მნიშვნელობა ბრიტანულ თეატრში; ბრიტანული თეატრის ისტორიაში საკვანძო პერიოდებისა და ეტაპების შესწავლა) 2) ჰაროლდ პინტერი: დუმილისა და ქვეტექსტის ძალა (პინტერის ოსტატურად გამოყენებული პაუზებისა და ქვეტექსტის ანალიზი პიესებში; სავარჯიშოების წერა, რომელიც ორიენტირებულია სცენებში დუმილისა და ქვეტექსტის ჩართვაზე) 3) კერილ ჩერჩილი: ექსპერიმენტი და სტრუქტურა (ჩერჩილის ინოვაციური მიდგომის გააზრება სტრუქტურისა და ფორმის მიმართ; ექსპერიმენტი არაწრფივი ნარატივებითა და ალტერნატიული მოთხრობების ტექნიკით) 4) ტომ სტოპარდი: ინტელექტუალური სტიმულაცია და მახვილგონიერება (სტოპარდის ინტელექტუალური სიღრმისა და იუმორის შერწყმის შესწავლა მის პიესებში; მახვილგონივრული და დამაფიქრებელი დიალოგის განვითარება წერით სავარჯიშოებში) 5) სარა კეინი: ემოციური ინტენსივობა და რეალიზმი: კეინის დაუმუშავებელი ემოციების და მკვეთრი რეალიზმის შესწავლა მის ნამუშევრებში (წერითი სავარჯიშოები, რომლებიც ორიენტირებულია ინტენსიური ემოციების აღბეჭდვაზე და რეალისტური პერსონაჟების გამოსახვაზე) 6) ალან აიკბორნი: მრავალმხრივი პერსპექტივები და კომედია (აიკბორნის მრავალმხრივი პერსპექტივისა და კომედიური სიტუაციების განსახიერების ანალიზი; იუმორისტული და მრავალგანზომილებიანი პერსონაჟების შექმნა დრამატურგიაში) 7) საიმონ სტივენსი: მწუხარებისა და დაკარგვის თემები "ზღვის კედელში" (სტივენსის მიერ მწუხარებისა და ემოციების ასახვის შესწავლა "ზღვის კედელში"; სავარჯიშოების წერა, რომელიც ორიენტირებულია ემოციების და მოწყვლადობის აღბეჭდვაზე) 8) "ჰანსარდი" - საიმონ ვუდსის პოლიტიკური დრამა (გაანალიზეთ პოლიტიკური იდეოლოგიებისა და პირადი ცხოვრების გადაკვეთა სპექტაკლში და განიხილეთ, თუ როგორ აყალიბებენ ისინი პერსონაჟების გადაწყვეტილებებსა და ურთიერთობებს) 9) სალი კუქსონის „ჯეინ ეირი“ – ტექსტების, განსაკუთრებით კანონიკური ლიტერატურის სცენისთვის მორგების გამოწვევები და ა.შ.

2) დრამატურგია, სცენოგრაფია და ტექნოლოგიები 21-ე საუკუნეში: ეს კურსი შეისწავლის დრამატურგიის, სცენოგრაფიისა და ტექნოლოგიური მიღწევების გადაკვეთას თანამედროვე თეატრში 21-ე საუკუნეში. მონაწილეები გამოიძიებენ, თუ როგორ გარდაქმნა ტექნოლოგიამ შემოქმედებითი პროცესი, სცენარის შემუშავებიდან ინოვაციური სცენოგრაფიის დიზაინამდე. შემთხვევის შესწავლის, პრაქტიკული პროექტებისა და დისკუსიების მეშვეობით, სტუდენტები მიიღებენ იმის სრულყოფილ გაგებას, თუ როგორ ჩამოაყალიბა და გააუმჯობესა ტექნოლოგიამ თეატრალური თხრობა თანამედროვე დროში.

კურსის პოტენციური თემებია: 21-ე საუკუნის თეატრის შესავალი: 1) თეატრის ევოლუცია 21-ე საუკუნეში, აქცენტით ტექნოლოგიურ მიღწევებზე და მათ გავლენაზე დრამატურგიასა და სცენოგრაფიაზე; 2) ციფრული დრამატურგიის ინსტრუმენტები: სხვადასხვა ციფრული ხელსაწყოები და პროგრამული უზრუნველყოფა, რომლებსაც დრამატურგები იყენებენ სცენარის შემუშავებისთვის, თანამშრომლობისა და ნარატიული სტრუქტურების ექსპერიმენტებისთვის. კომპიუტერული პროგრამების მაგალითებია: Celtx, Scrivener, Final Draft; 3) იმერსიული და ინტერაქტიული სცენოგრაფია და დრამატურგია: იმერსიული და ინტერაქტიული სცენოგრაფიის დიზაინის მაგალითები, როგორებიცაა პროექციის რუქა, ვირტუალური რეალობა და გაძლიერებული რეალობა აუდიტორიის ახალი და საინტერესო გზებით ჩართვის მიზნით; 4) მულტიმედიის ინტეგრაცია: თეატრალურ სპექტაკლებში მულტიმედიური ელემენტების, როგორებიცაა ვიდეოპროექციები, პირდაპირი ჩვენებების და ანიმაციების ჩართვა და მათი ურთიერთქმედება მოქმედ მსახიობებთან და თხრობასთან; 5) ვირტუალური დეკორაციის დიზაინი: ვირტუალური დეკორაციის დიზაინის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, როგორცაა Vectorworks ან SketchUp, დეტალური და ვიზუალურად განსაცვიფრებელი გარემოს შესაქმნელად, რომელიც აძლიერებს სპექტაკლის თემებსა და განწყობას; 6) განათების ინოვაციები: განათების უახლესი ტექნოლოგიები, მათ შორის LED მოწყობილობები და ინტელექტუალური განათების სისტემები და მათი როლი გარემოს ფორმირებასა და ვიზუალური სიუჟეტის თხრობაში; 7) ხმა და სივრცითი აუდიო: სივრცითი აუდიოსა და 3D ხმის ტექნოლოგიის ინტეგრაცია ხმის პეიზაჟების შესაქმნელად, რაც აძლიერებს პიესის ემოციურ გავლენას; 8) Wearable Tech

და Performer Interaction: ტარებადი ტექნოლოგიის მაგალითები და როგორ შეიძლება მისი გამოყენება შემსრულებლის სცენოგრაფიასა და აუდიტორიასთან ურთიერთქმედების გასაუმჯობესებლად; 9) შემთხვევის შესწავლა და მხატვრის ყურადღების მიქცევა: პიესებისა და თეატრალური კომპანიების წარმატებული მაგალითები, რომლებმაც ტექნოლოგია ეფექტურად გამოიყენეს დრამატურგიასა და სცენოგრაფიაში. ყურადღების ცენტრში მყოფი მხატვრები, როგორცაა რობერტ ლეპეჯი და მისი Ex Machina, მულტიმედიაში საპროდიუსერო კომპანია; 10) ეთიკური საკითხები: თეატრში ტექნოლოგიების გამოყენების ეთიკური შედეგები, მათ შორის მონაცემთა კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საკითხები, აუდიტორიის თანხმობა და ბალანსი ტექნოლოგიასა და ადამიანის შესრულებას შორის.

სამაგისტრო ნაშრომი ემსახურება პროგრამის კულმინაციას, რომელიც მოიცავს სტუდენტის მიერ მიღწეული ცოდნისა და უნარების სრულ მასშტაბს. პროგრამის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი იყო ორი სამაგისტრო ნაშრომი, ორივე შეფასების უმაღლესი რანგის ფარგლებში. ნაშრომები მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ/შემოქმედებით კომპონენტებს. ექსპერტებს არ აქვთ კრიტიკული კომენტარები პრაქტიკულ/შემოქმედებით კომპონენტზე, თუმცა ნამუშევრების თეორიული ნაწილის ანალიზმა გამოავლინა რამდენიმე გასაუმჯობესებელი მხარე. შემოქმედებითი ხელოვნების სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტში ასახული სტანდარტების შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის თეორიული ნაწილის შეფასების კრიტერიუმები მოიცავს ტექნიკურ პარამეტრებს, შინაარსის ანალიზს (მათ შორის ციტირებული ტექსტების შესაბამისობასა და რაოდენობას) და პრეზენტაციის უნარებს. აღსანიშნავია, რომ პრეზენტაციის საბოლოო კომპონენტი ექსპერტებს არ შეუძლიათ შეაფასონ, რადგან ეს არის დაცვის ზეპირი ეტაპის ნაწილი. თუმცა, პირველი ორი კომპონენტი ავლენს გაუმჯობესების პოტენციალს.

თეორიული მონაკვეთის შესავალი ნაწილი უნდა იცავდეს პროგრამის აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების კურსით დადგენილ სახელმძღვანელო პრინციპებს. აუცილებელია მკაფიოდ განისაზღვროს კვლევის მიზანი და თემა, მისი სტრუქტურული ჩარჩო, მიმოხილული წყაროები (აკადემიური წიგნები, სტატიები) და კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდები.

იდეალურ შემთხვევაში, თეორიული ნაწილი უნდა მოიცავდეს შედარებითი ანალიზის ელემენტებს. მაგისტრატურის სტუდენტებს ურჩევენ გაანალიზონ ნაწარმოებები (სპექტაკლები, სცენარები), რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ შემოქმედებით ნაწარმოებთან. ასევე უნდა მოხდეს სხვა ნამუშევრებთან შედარება, რომლებიც მსგავს თემებსა თუ იდეას ეხება. ეს ემსახურება მათი ნამუშევრების გამორჩეული თვისებების ხაზგასმას და მათ უნიკალურ წვლილს დარგში.

თეორიულ ნაწილში ნეიტრალური და აკადემიური ენისა და სტილის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესია. ეს წესი ვრცელდება ავტორის ინდივიდუალური შემოქმედებითი პროცესების აღწერაზეც. ნაწერი უნდა დარჩეს ფორმალური და თავიდან აირიდოს პერსონალური ან ზედმეტად უშუალო ენა, რადგან ეს არ არის შემოქმედებითი წერის ნაწილი.

ორივე ნაშრომში მნიშვნელოვანი წუხილი ეხება ციტირებულ ტექსტებს. ერთი ნაშრომი, ბიბლიოგრაფიაში მხოლოდ სამ ნაშრომს მოიცავს, ხოლო მეორეს საერთოდ არ აქვს გამოყენებული წიგნის წყაროები; ეყრდნობა 13 ინტერნეტ მასალას. ამ წყაროებიდან ზოგიერთი არაკადემიური ხასიათისაა, მათ შორის პირადი ბლოგები; ფართო მკითხველისთვის განკუთვნილი პოპულარული სტატიები; მიუწვდომელი ვებსაიტები და მოკლე ტექსტი, რომელსაც რეალური სახელის ნაცვლად მითითებული აქვს ფსევდონიმი.

დასასრულს, ექსპერტები იმეორებენ იმ რეკომენდაციებს, რომლებიც ვრცელდება სხვა სამაგისტრო პროგრამებზეც: სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს საგულდაგულოდ ციტირებული აკადემიური წყაროების მოცულობით სიას. რეკომენდებულია ციტირებული წყაროების მინიმალური ზღვრის დადგენა, კონკრეტულად, დაახლოებით 20 წყარო, რომელიც მოიცავს სამეცნიერო სტატიებს. გარდა

ამისა, მაგისტრანტები უნდა წახალისონ, გამოიყენონ მათ მიერ შეძენილი კვლევის მრავალი უნარი, უფრო კონკრეტულად, მათი პროგრამის ძლიერი კვლევითი მოდულის, განსაკუთრებით კი აკადემიური წერის კურსის დახმარებით.

აღწერა და ანალიზი - თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) - სადოქტორო პროგრამა

პროგრამა „თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა)-დოქტორანტურა“ ორიენტირებულია დრამატული ხელოვნების, კერძოდ კი რეჟისურის და თეატრალური პედაგოგიკის დარგში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე.

პროგრამის მიზნები ნათელი და კონკრეტულია, მიზნად ისახავს ცოდნის გაღრმავებას თანამედროვე თეატრალურ ხელოვნებაში, დამოუკიდებელი შემოქმედების, რეჟისორობისა და მკვლევრობის უნარ-ჩვევების განვითარებასა და კურსდამთავრებულების უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური მუშაობისთვის მომზადებას. ეს მიზნები შეესაბამება დრამის რეჟისურისა და პედაგოგიკის სფეროს, რაც ფოკუსირებულია როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ ასპექტებზე.

პროგრამა დაყოფილია სამ კომპონენტად: სწავლება, სამეცნიერო კვლევა და პრაქტიკა/შემოქმედება. სწავლების კომპონენტი მოიცავს კონკრეტული მიზნებისთვის განკუთვნილ სემინარებს, აკადემიურ წერას, პედაგოგიურ პრაქტიკას და არჩევით კურსებს. სამეცნიერო კვლევის კომპონენტი მოიცავს საკვლევ თემაზე მუშაობას, წლიური ნაშრომების წარდგენას და სამეცნიერო ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ კვლევის ჩატარებას. პრაქტიკული/შემოქმედებითი კომპონენტი ორიენტირებულია პიესის ან სპექტაკლის შექმნაზე, რომელსაც საკვლევ თემაში შეაქვს წვლილი. აკადემიური შინაარსი მოიცავს დრამის რეჟისურის და პედაგოგიკის სხვადასხვა ასპექტებს, მათ შორის თეორიულ ცოდნას, კვლევის მეთოდოლოგიას და პრაქტიკულ უნარებს.

პროგრამით გათვალისწინებული კვლევის საკითხები მოიცავს თემების ფართო სპექტრს, რომლებიც დაკავშირებულია თეატრალურ ხელოვნებასთან, სპექტაკლის კულტურასთან და თეატრალურ პედაგოგიკასთან. არჩევითი კურსების შეთავაზება სტუდენტებს საშუალებას აძლევს სასწავლო პროცესი საკუთარ და კვლევით ინტერესებს მორგონ.

ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებებიდან ექსპერტთა ჯგუფს ეცნობა, რომ სხვადასხვა ნამუშევრების ანალიზი არის სასწავლო პროცესში ყველაზე ხშირად გამოყენებული პროცედურა. ასეთი პროცედურა, რა თქმა უნდა, ადეკვატურია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებისთვის, მაგრამ სადოქტორო საფეხურისთვის, დოქტორანტურის კვლევის დონეზე უნდა ამაღლდეს.

6 სემესტრიანი პროგრამის ხანგრძლივობა, კვლევის დასრულებისთვის დამატებითი დროის არჩევანით, გონივრულია დოქტორის ხარისხის მისაღებად. პროგრამის კრედიტების განაწილება ასევე საკმარისია საჭირო აკადემიური შინაარსისა და კვლევითი სამუშაოების დასაფარად.

თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და კვლევითი სამუშაოების ერთობლიობა კურსდამთავრებულებს მხატვრულ, საგანმანათლებლო და კვლევით სექტორებში წარმატებული კარიერისთვის ამზადებს. თუმცა, პროგრამის საბოლოო წარმატება ეყრდნობა ფაკულტეტის წევრების გამოცდილებას, კვლევის ხელმძღვანელობის ხარისხს და სტუდენტების თავიანთი საქმისადმი ერთგულებას. სტუდენტების უკუკავშირსა და დარგის განვითარებაზე დაფუძნებული პროგრამის უწყვეტი შეფასება და გაუმჯობესება გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს მის ეფექტურობასა და შესაბამისობას.

ექსპერტებმა გამოავლინეს რამდენიმე გასაუმჯობესებელი მხარე "თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) - სადოქტორო პროგრამაში:

პირველი გამოწვევა, რომელსაც უნდა გავუმკლავდეთ, არის ინტერნაციონალიზაციის ნაკლებობა; პროგრამას სარგებლის მიღება შეუძლია საერთაშორისო პერსპექტივების ჩართვითა და საქართველოს ფარგლებს გარეთ ცნობილ თეატრალურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით. ეს უზრუნველყოფს სტუდენტები გაეცნონ სხვადასხვა თეატრალურ პრაქტიკას და გააფართოვოს მათი თვალსაწიერი.

პროგრამის მხატვრული კვლევის კომპონენტის განვითარებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, მან იფუნქციონიროს „ვენის დეკლარაციის 2020“ ფარგლებში <https://societyforartisticresearch.org/wp-content/uploads/2020/10/Vienna-Declaration-on-Artistic-Research-Final.pdf>

ლიტერატურაში დამატების შემდეგ, კვლევის მეთოდოლოგიის „ფრასკატის სახელმძღვანელო 2015“ შეიძლება დამატებით განახლდეს, მხატვრული კვლევის სფეროში ცვალებადი ტენდენციების გათვალისწინების მიზნით, სახელმძღვანელოს 2022 წლის უახლესი განახლებების შეთავაზებებით (https://aec-music.eu/media/2022/06/Cover-Letter-to-OECD_NESTI.pdf).

პროგრამის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეიძლება მე-20 საუკუნის მეორე ნაწილის ფუნდამენტური და კანონიკური ავტორების შეტანით, როგორებიც არიან ჟან დივინიო, რიჩარდ შუხნერი, პატრის პავისი, ერიკა ფიშერ-ლიხტე, ჰანს-ტიეს ლემანი, მარვინ კარლსონი ან მანფრედ პფისტერი. ყოველივე აღნიშნულიდან ბიბლიოთეკაში, და არა სილაბუსებში, მხოლოდ ერთი ავტორი, პატრის პავისი და მისი რუსულად თარგმნილი „თეატრის ლექსიკონია“.

თანამედროვე რეჟისურისა და ანალიტიკური ცოდნის გასავითარებლად, უფრო სასარგებლო იქნებოდა სპექტაკლების ვიდეო მასალების დამატება, რომლებიც დაიდგა ბოლო რამდენიმე ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორების მიერ, როგორებიცაა რობერტ უილსონი, ტადეუშ კანტორი, არიანე მნუშკინი, იან ლოუერსი, ანა ბოგარტი, თომას ოსტერმაიერი, პიპო დელბონო, ივო ვან ჰოვე, რომეო კასტლუჩი, მილო რაუ ან ჯგუფი რიმინი პროტოკოლი. ვიდეოების უმეტესობა ხელმისაწვდომია სხვადასხვა ონლაინ პლატფორმაზე.

ტექსტის ანალიზი თანამედროვე თეატრალურ გარემოში შეიძლება მნიშვნელოვნად გამდიდრდეს სხვადასხვა მიდგომებით თანამედროვე პოსტდრამატული და/ან დრამატურგიული ნაწარმოების შექმნაში მონაწილეობით, რომელიც წარმოდგენილია ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორების მიერ, როგორებიცაა ჰაინერ მიულერი, სარა კვინი, მარკ რავენჰილი, ბოტო შტრაუსი, ელფრიდ იელინეკი, როლანდ შიმელპფენიგი, იასმინა რეზა, ბერნარ-მარი კოლტესი ან მოჰამედ ელ ხატიბი. ყველა ნახსენებიდან, მხოლოდ იასმინა რეზაა მითითებული სილაბუსში "რეჟისურის თეორია და პრაქტიკა".

იმის გამო, რომ განათლების კონცეფცია მძლავრად არის ასახული სტანისლავსკიში, ძალზე გამოსადეგი იქნებოდა ლიტერატურაში სტეფან აკილინას მიერ რედაქტირებული საკითხავის „სტანისლავსკი და პედაგოგიკა“ შეტანა, რომელიც გამოქვეყნდება Routledge 2024-ში. ჯონ ჯილეტის, ჰილარი ჰალბას, ჯულია ლისტენგარტენის, კრისტოფერ ნისის, ბელა მერლინის, დევიდ შირლის, ელიენ ჰანსლერის და მარიო ფრენდოს ანალიტიკური ნარკვევები სტანისლავსკის დიდ მემკვიდრეობაზე გვიჩვენებს თანამედროვე პერსპექტივას და მისი მეთოდის უახლეს მიდგომას; იმ შემთხვევაში თუკი პედაგოგთა პერსონალი განხილვისას მას საჭიროდ მიიჩნევს.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მოიცავს თეატრის რეჟისურის და პედაგოგიკის სხვადასხვა ასპექტებს, ის შეიძლება გაუმჯობესდეს ინტერდისციპლინური კურსების ჩართვით, რომლებიც აერთიანებს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა ფსიქოლოგია, სოციოლოგია და ტექნოლოგია. ეს გაამდიდრებს სტუდენტების გაგებისა და შემოქმედებითობის უნარებს საკუთარ შემოქმედებაში. გარდა ამისა, პროგრამას შეუძლია უფრო მეტად ფოკუსირდეს თანამედროვე თეატრალურ პრაქტიკებსა და ტექნოლოგიებზე, რათა მიეცეს ინდუსტრიის ცვალებად ტენდენციებს. ეს სწავლებას უფრო შესაფერისს გახდის მიმდინარე თეატრის ლანდშაფტთან.

ინგლისური ენის ცოდნა არის კიდევ ერთი ასპექტი, რომელზეც პროგრამამ უნდა იმუშაოს. პროგრამა მოითხოვს ინგლისური ენის ცოდნას მინიმუმ B2 დონეზე, მაგრამ რადგან ინგლისური აუცილებელია საერთაშორისო კვლევებზე წვდომისა და თანამშრომლობის შესაძლებლობებისთვის, იმ სტუდენტებს, რომლებსაც ესაჭიროებათ, უნდა არსებობდეს ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესების შესაძლებლობები. უფრო მეტ სახელმძღვანელოს და სასწავლო მასალას ინგლისურ ენაზე, თუნდაც რამდენიმე არჩევით კურსს ინგლისურ ენაზე შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სიტუაცია. რა თქმა უნდა, სადოქტორო დისერტაციას თან უნდა ახლდეს როგორც ფუნდამენტური, ისე თანამედროვე ინგლისურენოვანი უახლესი ლიტერატურის ვრცელი სია, რაც, სამწუხაროდ, არ იყო არცერთ გაანალიზებულ სადოქტორო ნაშრომში.

სადოქტორო დისერტაციის თემები ძირითადად მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის დარგს და შეესაბამება სასწავლო სფეროს, აქცენტით საჯარო თანამშრომლობაზე თეატრების, მუზეუმებისა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტების ყოველდღიურ საქმიანობასთან.

სადოქტორო დისერტაცია ემსახურება სადოქტორო პროგრამის კულმინაციას. როგორც დოკუმენტშია მითითებული, რომელიც არეგულირებს სადოქტორო სწავლებას საშემსრულებლო ხელოვნების კონტექსტში, ნაშრომი სტრუქტურირებულია ისე, რომ მოიცავდეს ორ განუყოფელ ნაწილს: თეორიულ და შემოქმედებით კომპონენტებს. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ორი დისერტაცია საექსპერტო შეფასებისთვის. ერთი იკვლევს შემოქმედებითი პედაგოგიკის მეთოდოლოგიას და დაცვის დროს თან ჰქონდა დამატებითი მასალები. მეორე ნაშრომი წარმოადგენს სადოქტორო პროექტის თეორიულ კომპონენტს, რომელიც ორიენტირებულია საოპერო რეჟისურაზე. აღნიშნული სადოქტორო ნაშრომის კიდევ ერთი ნაწილი ეძღვნება შემოქმედებით სფეროს – ოპერას „ქეთო და კოტე“, რომლის რეჟისორიც იყო კანდიდატი.

დადგენილი სტანდარტის მიხედვით, თეორიული ნაშრომი უნდა მოიცავდეს 160-დან 200 გვერდს, ხოლო საშემსრულებლო ხელოვნების სადოქტორო პროგრამის თეორიული ნაწილი სავარაუდოდ 100-დან 120 გვერდამდე. განსახილველი დისერტაცია, შესაბამისად, შედგება 145 და 131 გვერდებისგან, რომლებიც მიჰყვება დადგენილ მოცულობას. მაშინ, როცა საოპერო რეჟისურის შესახებ დისერტაცია მოიცავს შეჯამებას როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე, მეთოდოლოგიაზე ორიენტირებულ სადოქტორო ნაშრომში მხოლოდ ქართულენოვანი შეჯამებაა ხელმისაწვდომი.

სადოქტორო პროგრამა სთავაზობს ამომწურავ სასწავლო გეგმას, რომელიც მოიცავს აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების კურსს. ეს კურსი სრულყოფილად ეხმარება აკადემიური ტექსტების შექმნის პროცესში. მიუხედავად ამისა, მოწოდებული კურსის ყველა ასპექტი არ არის სრულად ინტეგრირებული აღნიშნულ ნაშრომებში. მიუხედავად იმისა, რომ ორივე დისერტაციას გააჩნია სანაქებო თვისებები, მათ ასევე აქვთ გარკვეული შეზღუდვები.

ორივე შემთხვევაში ჭარბობს აღწერა და ანალიზი, ხშირად თანამედროვე მეთოდოლოგიებზე დაფუძნებული ღრმა და ყოვლისმომცველი თეორიული კვლევის ხარჯზე. გარდა ამისა, ამ ნაშრომების დასკვნითი ნაწილები მიდრეკილია აღწერითი ნარატივის გამოყენების და არა მეცნიერული ნაშრომის მოსალოდნელი მკაცრი სტანდარტების საგულდაგულოდ დაცვისკენ. უფრო მეტიც, ორივე ნაშრომში გამოყენებული ენა დროდადრო შორდება ფორმალურ აკადემიურ ტონს და გადადის უფრო უშუალო სტილისკენ.

საოპერო რეჟისურის სადოქტორო ნაშრომის კონტექსტში, შესამჩნევია ნორმატიული, ფართოდ გავრცელებული მასალის შერევა. გარდა ამისა, ამ ნაშრომის ბიბლიოგრაფია აჩენს კითხვებს. იგი ძირითადად შედგება ქართული და რუსული წყაროებისგან, რომელთაგან ბევრი მოძველებულია.

რაც შეეხება სადოქტორო დისერტაციას მეთოდოლოგიაში, მიუხედავად იმისა, რომ ციტირებული წიგნების ნაწილი ეკუთვნის 21-ე საუკუნეს, ისინი ძირითადად რუსულ და ქართულ ენებზეა.

ექსპერტებმა გამოიკვლიეს B2 დონის ინგლისური ენის ტესტის ნიმუში, რასაც სადოქტორო კანდიდატები აბარებენ მისაღები გამოცდების დროს. ნიმუში ადეკვატურად შეესაბამება ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს შესაბამის დონეს. შესაბამისად, ის აუცილებელია სადოქტორო კანდიდატებისთვის, რათა თავიანთი კვლევა შეასრულონ შესაბამისი დარგის წარმომადგენლების უახლესი, აუარება ნაწარმოებების ჩაგონებით.

საბოლოო ჯამში, მაშინ, როცა სადოქტორო პროგრამა სთავაზობს მყარ საფუძველს აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების კურსებში, რჩება ადგილი ამ პრინციპების გაანალიზებულ ნაშრომებში ჩართვის გასამდიერებლად. ორივე ნამუშევარი ავლენს შესაქებ ასპექტებს, თუმცა მათ ასევე აქვთ ნაკლოვანებები თეორიული სიღრმის, ფორმალური ენის გამოყენებისა და ბიბლიოგრაფიის მრავალფეროვნების თვალსაზრისით. საჭირო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად უმნიშვნელოვანესია სადოქტორო კანდიდატმა ჩაატაროს მათი დისციპლინის შესაბამისი, თანამედროვე, სამეცნიერო ნაშრომებზე დაფუძნებული კვლევა.

მიმოხილული სადოქტორო ნაშრომების საფუძველზე, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ პროგრამამ უნდა დაიცვას კვლევის ხარისხის მკაფიო სტანდარტები, რათა უზრუნველყოს დოქტორანტების მხრიდან მაღალი დონის აკადემიური მუშაობა და მნიშვნელოვანი წვლილი შეტანა თეატრის რეჟისურასა და პედაგოგიურ სფეროში. ამავდროულად, უნივერსიტეტმა ფაკულტეტის განვითარებაში უნდა ჩადოს ინვესტიცია, რათა დარწმუნდეს ხელმძღვანელებს გააჩნიათ თეატრის რეჟისურისა და პედაგოგიკის უახლესი მიღწევების შესახებ ინფორმაცია. ფაკულტეტის ტრენინგი და კვლევის წახალისება გააუმჯობესებს სწავლებისა და ხელმძღვანელობის ხარისხს.

თვითშეფასების ანგარიშში სასწავლო პროგრამის შინაარსის აღწერა, თუ როგორ ავსებს ერთმანეთს სხვადასხვა აკადემიური გარემო, არ არის ბოლომდე გასაგები.

ხელმძღვანელების შერჩევის მეთოდოლოგიური მიდგომა არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული და საკმარისად ახსნილი.

შეფასების სისტემას, თითოეული კურსისთვის უნდა ჰქონდეს გამჭვირვალე და კარგად განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები. მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპები დაეხმარება სტუდენტებს გააცნობიერონ თავიანთი პროგრესი და გააადვილონ სამართლიანი შეფასება.

უნივერსიტეტმა უნდა იმუშაოს პროგრამის ხელშეწყობაზე მეტი გამორჩეული უნარის მქონე კანდიდატის მოსაზიდად. ეფექტური მარკეტინგული და პროპაგანდისტული ძალისხმევა მიგვიყვანს უფრო მრავალფეროვან და ნიჭიერ სტუდენტთა ჯგუფთან.

მთლიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა "თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა)-დოქტორანტურა" პერსპექტიულად გამოიყურება, აღნიშნული გასაუმჯობესებელი მხარეები გათვალისწინებული უნდა იქნას პროგრამის ხარისხისა და ეფექტურობის ასამაღლებლად. უწყვეტი განხილვისა და დახვეწის პროცესი უზრუნველყოფს, რომ პროგრამა დარჩეს რელევანტური და დააკმაყოფილოს თეატრის ინდუსტრიისა და აკადემიის განვითარებადი საჭიროებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურა";
- საგანმანათლებლო პროგრამები თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკები;
- ადგილზე განხორციელებული გასაუბრებები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- "საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასების მექანიზმები";

- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი 2022-2023 სასწავლო წლის მონაცემების მიხედვით“
- "დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება"
- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული სადოქტორო ნაშრომები
- <https://www.dramaonlinelibrary.com/national-theatre-collection>
- https://alexanderstreet.com/products/theatre-and-drama-premium?fbclid=IwAR3a0KyZh-c_I-SiNjYaxdch0PPeBq1bFdtvcXXmtVH3pMrqT71jt3SV_Zk

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- ექსპერტების რჩევაა, დაემატოს რამდენიმე არჩევითი კურსი, რომელიც სტუდენტებს გააცნობს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მეთოდოლოგიებს შესაბამის დარგებში და გაზრდის კურსების ინტერნაციონალიზაციის დონეს, სასწავლო მასალებში ინგლისურენოვანი წყაროების დამატებით, კერძოდ გაერთიანებული სამეფოს ეროვნული თეატრის სასწავლო კრებულებიდან.
- სასურველია დამატებითი უცხო ენის კურსების დამატება, კითხვისა და წერის აკადემიურ უნარებზე განსაკუთრებული აქცენტით, რაც გაზრდის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების კვლევით პოტენციალს საერთაშორისო დონეზე;

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 4: ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი - საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

1. პროგრამის გასავითარებლად სასურველია მე-7 ან მე-8 სემესტრებში დამხმარე თეორიულ დისციპლინებს დაემატოს პოლიფონის კურსი.
2. პროგრამის განვითარებისთვის სასურველია საგუნდო სწავლების კურსი პირველ სემესტრში გადავიდეს.
3. სასურველია მუსიკალური ანბანი, მუსიკის ელემენტარული თეორია და ქართული ჰარმონიის პრაქტიკული კურსები ძირითადი პროფესიული კურსების ბლოკიდან დამხმარე/პროფესიულ კურსებზე გადავიდეს. ხოლო საეკლესიო კითხვის წესები და საეკლესიო ლიტურგიის პრაქტიკული

კურსები დამხმარე პროფესიული კურსების ბლოკიდან ძირითადი პროფესიული კურსების ბლოკში გადავიდეს.

4. უსდ-მ უნდა უზრუნველყოს: თითოეული კურსის სტატუსისა და დაშვების წინაპირობების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან და სილაბუსებთან, კონკრეტული კურსის (კურსების) მითითებით.

პროგრამა 5: საშემსრულებლო-სადადგმო ხელოვნება(თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

უსდ-მ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამა ზედმიწევნით იცავდეს მეცნიერულ სანდობასთან, შესაბამისობასა და წყაროების გონივრულ რაოდენობასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელო პრინციპებს (არანაკლებ 10 სამეცნიერო-თეორიული ნაშრომი, მათ შორის სტატიები) სამაგისტრო დისერტაციის თეორიული ნაწილისთვისაც. ასევე, მარეგულირებელი დოკუმენტით გათვალისწინებულია ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი. დამატებით, მაგისტრატურის სტუდენტები უნდა წახალისდნენ, რომ გამოიყენონ ის კვლევითი ექსპერტიზა, რაც მათ პროგრამის კვლევითი მოდულის ფარგლებში შეიძინეს, განსაკუთრებით აკადემიური წერის კურსის ფარგლებში.

რჩევ(ებ)ი:

1. მიზანშეწონილია, უსდ-მ განიხილოს სხვადასხვა არჩევითი კურსის უფრო ეფექტური შესაძლებლობები, რაც გააძლიერებს სტუდენტების მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად ანალიზის უნარებს და ამგვარად, ხელი შეეწყობა ცოდნისა და უნარების შეძენას, ასევე სწავლის სფეროსთან დაკავშირებული დამოუკიდებელი და ინდივიდუალური სამუშაოების შემუშავებას, ან ინდივიდუალურ გაკვეთილებს შემოქმედებითი კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, აკადემიური პერსონალის პირისპირ ან ონლაინ კონსულტაციების გამოყენებით.

პროგრამა 6: მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

სასურველია, უსდ-მ განიხილოს, უფრო დარგობრივი არჩევითი კურსები, რათა ისინი უკეთესად მოერგოს პროგრამის კონკრეტულ მიზნებს.

პროგრამა 7: თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი), სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი:

1. რეკომენდებულია, სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის სიების განახლება უახლესი, ყველაზე აქტუალური და თანამედროვე ავტორებითა და სათაურებით;
2. უსდ-მ უზრუნველყოს, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამა ზედმიწევნით იცავდეს მეცნიერულ სანდოობასთან, შესაბამისობასა და წყაროების გონივრულ რაოდენობასთან დაკავშირებულ სახელმძღვანელო პრინციპებს (არანაკლებ 10 სამეცნიერო-თეორიული ნაშრომი, მათ შორის სტატიები) სამაგისტრო დისერტაციის თეორიული ნაწილისთვისაც. ასევე, მარეგულირებელი დოკუმენტით გათვალისწინებულია ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი. დამატებით, მაგისტრატურის სტუდენტები უნდა წახალისდნენ, რომ გამოიყენონ ის კვლევითი ექსპერტიზა, რაც მათ პროგრამის კვლევითი მოდულის ფარგლებში შეიძინეს, განსაკუთრებით აკადემიური წერის კურსის ფარგლებში.

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 8: თეატრის რეჟისურა (შემოწმდებითი პედაგოგია) - სადოქტორო

რეკომენდაცი(ებ)ი:

რეკომენდებულია, რომ დოქტორანტებმა კვლევა ჩაატარონ თანამედროვე, თავიანთ დისციპლინებთან შესაბამის სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით და გამოიყენონ ის მდიდარი კვლევითი გამოცდილება, რომელიც მათ შეიძინეს პროგრამის ძლიერი კვლევითი მოდულის, განსაკუთრებით კი აკადემიური წერის კურსის მეშვეობით.

რჩევ(ებ)ი:

მიზანშეწონილია, უსდ-მ განიხილოს სხვადასხვა არჩევითი კურსის უფრო ეფექტური შესაძლებლობები, რაც გააძლიერებს სტუდენტების მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად ანალიზის უნარებს და ამგვარად, ხელი შეეწყობა ცოდნისა და უნარების შეძენას, ასევე სწავლის სფეროსთან დაკავშირებული დამოუკიდებელი და ინდივიდუალური სამუშაოების შემუშავებას, ან ინდივიდუალურ გაკვეთილებს შემოქმედებითი კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით, აკადემიური პერსონალის პირისპირ ან ონლაინ კონსულტაციების გამოყენებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია	მეტწილად	ნაწილობრივ	არ არის
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამა 1 მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი; მუსიკალური თეატრის მსახიობი; თოჯინების თეატრის მსახიობი; პანტომიმის თეატრის მსახიობი) - საბაკალავრო საფეხური	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 თეატრის რეჟისურა - საბაკალავრო საფეხური	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი - საბაკალავრო საფეხური	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი - საბაკალავრო საფეხური	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 საშემსრულებლო-სადადგმო ხელოვნება(თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო საფეხური	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო საფეხური	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო საფეხური	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგია) - სადოქტორო საფეხური	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➤ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო კურსების შინაარსი მჭიდრო კავშირშია პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნული ინფორმაცია ვიზუალურად არის წარმოდგენილი პროგრამის რუკებში, სადაც ფიქსირდება თითოეული სასწავლო კურსის მნიშვნელობა პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით. პროგრამების რუკებში გამოყენებულია ნიშნების სისტემა: 1- გაცნობა, 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება, რაც ასახავს თითოეული სასწავლო კურსის ხვედრით წილს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.

1) რამდენიმე სილაბუსში უნდა დაზუსტდეს წინაპირობები: მაგალითად, ოპერის რეჟისურის კურსი დაშვების წინაპირობად ითხოვს რეჟისურის საბაკალავრო პროგრამის დასრულებას და მუსიკალური განათლების საბაზისო ცოდნას (მათ შორის მუსიკალური ნოტების წაკითხვის უნარს). არც ერთი ეს წინაპირობა არ ჩანს მართებული; კურსებზე 'სიმბოლოს მხატვრული დიაპაზონი' და 'ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში' ჩარიცხვის წინაპირობები მოიცავს შემდეგ კრიტერიუმებს: „სტუდენტები უნდა იცნობდნენ გლობალურ და ქართულ ლიტერატურას, მინიმუმ ძირითად არქეტიპულ სიმბოლოებს და B2 დონეზე უნდა ფლობდნენ რომელიმე ევროპულ ან რუსულ ენას“. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო/ ქართული ლიტერატურისა და სიმბოლოების ცოდნა გამოცდის ფორმატით ოფიციალურად ვერ შეფასდება. გარდა ამისა, ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე ისედაც აუცილებელი პირობაა მაგისტრატურაზე დასაშვებად და არ არის საჭირო ამ მოთხოვნის დასახელება წინაპირობად. ანალოგიურად, სხვა ევროპული ან რუსული ენების ცოდნის შეფასების მიზანშეწონილობა დადგენილი არ არის, რაც ამ პირობებს არავალიდურს ხდის; XX ს. ქართული თეატრის კურსი ითვალისწინებს შემდეგ წინაპირობას: „ამ კურსზე დასაშვებად, მაგისტრანტს გავლილი უნდა ჰქონდეს ქართული თეატრის ისტორია, მისი წარმოშობიდან XIX საუკუნის ჩათვლით“.

გასათვალისწინებელია, რომ საბაკალავრო კურსი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო კურსის წინაპირობა. 2) სილაბუსების შინაარსობრივ ნაწილში ნათლად უნდა იყოს ასახული მეთოდების ნაწილში გაწერილი მეთოდოლოგიების პრაქტიკული გამოყენება. 'მხატვრის თეატრის' და 'სცენოგრაფიის ძირითადი მიმართულებების/ მიმდინარეობების' კურსების სილაბუსებში მხოლოდ ლექციების თემები არის მოცემული და არ სახელდება რომელიმე მეთოდის გამოყენება. დრამის რეჟისურასთან შედარებით, ოპერის რეჟისურის კურსის მეთოდოლოგია საკმაოდ ზოგადია, მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ სესიებს, ორიენტირებულია საოპერო ხელოვნების პრინციპების შესწავლაზე, ლიბრეტოზე და კლავიერზე მუშაობაზე და საოპერო რეჟისურის სპეციფიკის ანალიზზე. სინამდვილეში, როგორც

სილაბუსის შინაარსი გვიჩვენებს, კურსი იყენებს სხვა, უფრო ინტერაქციულ მეთოდებს, როგორცაა დარგის პროფესიონალების მასტერკლასები, ახსნა და გუნდთან თანამშრომლობა, ასევე აუდიო-ვიზუალური მეთოდები და წერითი დავალებები. ზედმეტია იმის თქმა, რომ ყველა ეს მეთოდი ასახული უნდა იყოს მეთოდოლოგიის ნაწილში. უფრო მეტიც, ტრადიციულთან ერთად სასურველია უახლესი მეთოდოლოგიის გამოყენება. ექსპერტების რჩევით უნდა დაემატოს ისეთი მეთოდები, რომლებიც გამოდგება არა მხოლოდ ამ კონკრეტულ კურსზე, არამედ საოპერო პიესის პრაქტიკული რეჟისურის კურსზეც: ა) თანამშრომლობა დიზაინერებთან ვირტუალური პლატფორმების საშუალებით: ვირტუალური თანამშრომლობის პლატფორმების გამოყენებით ოპერის რეჟისურის სტუდენტების დაკავშირება კოსტიუმების დიზაინერებთან, სცენისა და განათების დიზაინერებთან. ეს ასახავს ოპერის წარმოების თანამშრომლობით ხასიათს და ეხმარება სტუდენტებს დაამყარონ ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა დისციპლინაში; ბ) დისტანციური სარეჟისორო დაკვირვება: ამ შესაძლებლობის შესწავლა ონლაინ რესურსების საშუალებით. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს დისტანციურად დააკვირდნენ რეპეტიციებს და გაეცნონ სხვადასხვა სარეჟისორო მიდგომებსა და სტილებს.

<https://www.marquee.tv/categories/opera>

<https://www.marquee.tv/collections>

<https://www.youtube.com/@RoyalOperaHouse/playlists> გ) ციფრული დაარქივება და დოკუმენტაცია: ასწავლის სტუდენტებს როგორ დააფიქსირონ თავიანთი რეჟისორული პროცესი ციფრულად, მათ შორის კონსპექტები, რეპეტიციების ვიდეოები და დიზაინის კონცეფციები. ასე იქმნება ღირებული პორტფოლიო, რაც ხელს შეუწყობს მათი ნამუშევრების პოტენციურ თანამშრომლებთან გაზიარებას.

სცენოგრაფიის ძირითადი მიმართულებების/ მიმდინარეობების სწავლებისას შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი მეთოდები: ა) ვირტუალური გამოფენები და ინსტალაციები: სტუდენტებმა უნდა შექმნან ვირტუალური გამოფენები ან ინსტალაციები, რომლებიც იკვლევენ სცენოგრაფიის კონკრეტულ მიმდინარეობებს. ეს შეიძლება მოიცავდეს ინტერაქციული ონლაინ სივრცეების შექმნას, რომლებიც წარმოაჩენენ მათ კვლევისა და დიზაინის კონცეფციებს; ბ) ციფრული ეთნოგრაფია და კვლევა: სტუდენტებმა უნდა გამოიკვლიონ ონლაინ ფორუმები, სოციალური მედია და ციფრული საზოგადოებები, სადაც სცენოგრაფიის ტენდენციები და დისკუსიები ვითარდება. ამით ისინი არ ჩამორჩებიან მიმდინარე მიმართულებებს. კურსისთვის შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს შემდეგი ონლაინ რესურსი: <https://scenicandlighting.com/article/online-teaching-resources-for-theatre-design-technology/> <https://scenicandlighting.com/lightlabs/>

3) რამდენიმე კურსის საგანმანათლებლო ღირებულება შეიძლება გაიზარდოს „სავალდებულო ლიტერატურის“ ნაწილის თანამედროვე, უახლესი სახელმძღვანელოებითა და სამეცნიერო სტატიებით შევსებით. ტრადიციული და თანამედროვე წყაროების ეს შერწყმა დაეხმარება სტუდენტებს ეფექტურად გადავიდნენ ტრადიციული მიდგომებიდან თანამედროვე მიდევნებზე. უფრო მეტიც, სასწავლო მასალების გამდიდრება მრავალმხრივი აუდიო-ვიზუალური წყაროებით, უდავოდ ხელს შეუწყობს უფრო მიმზიდველ და ყოვლისმომცველ სასწავლო გამოცდილებას. აღსანიშნავია, რომ ძირითადი ლიტერატურა და წარმოდგენილი მაგალითები ძირითადად დასავლეთზეა ორიენტირებული. მაგალითებისა და სახელმძღვანელოების დივერსიფიკაციით, რაც მოიცავს კულტურისა და თეატრალური ტრადიციების უფრო ფართო სპექტრს, სტუდენტები შეიძენენ რეჟისურისა და თეატრალური ანალიზის უფრო მოცულობით და ჰოლისტიკურ გაგებას. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე კურსი, რომლებიც განსაკუთრებით მოიგებენ თანამედროვე სახელმძღვანელოებისა და რესურსების დამატებით:

1. **საოპერო სპექტაკლის პრაქტიკული რეჟისურა** პრაქტიკულად ემთხვევა ოპერის რეჟისურას სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში, რაც გარკვეულწილად გასაგებია, მაგრამ ამ კურსის წყაროები შეიძლება და უნდა იყოს განსხვავებული.
2. მხატვრის თეატრის კურსში მხოლოდ ერთი სავალდებულო წყაროა. მაგისტრატურის დონეზე, სტუდენტს მოეთხოვება ცოდნის სინთეზის უნარი. ამისთვის, ამ კურსში მინიმუმ ორი

- ძირითადი სახელმძღვანელოს შეტანა საშუალებას მისცემს სტუდენტებს დაინახონ განსხვავებული პერსპექტივები და გაამდიდრონ თავიანთი ცოდნა.
3. კურსში "ცეკვის სწავლების მეთოდები და მეთოდოლოგია I", სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში არის შემდეგი ჩანაწერი: „პედაგოგი სტუდენტებს უზრუნველყოფს წიგნებით თავისი პირადი ბიბლიოთეკიდან“. მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ პროგრამისთვის საჭირო ყველა სასწავლო მასალა ხელმისაწვდომი იყოს ბიბლიოთეკაში, ან ფიზიკურად, ან ელექტრონული ფორმატით. შესაბამისად, ეს წიგნები ბიბლიოთეკის რესურსების ნაწილი უნდა იყოს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება რაიმე სახის ფორმატში.
 4. "აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების" სილაბუსი მოიცავს მეთოდებს სოციალურ კვლევებში და მეთოდებს სოციოლოგიაში, მაგრამ არ ახსენებს მხატვრული კვლევების სპეციფიკას, ხოლო სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომის ანალიზი ხაზს უსვამს ამგვარი სპეციფიკის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.
 5. "დრამის თეორიის" სილაბუსი იწყება უძველესი თეორიებით და ისტორიული განვითარების გზით მთავრდება მე-19 საუკუნით. თემები არ ეხება მე-20 და 21 საუკუნეებს. არც სავალდებულო და არც დამატებით ლიტერატურაში არ გვხვდება მე-20 საუკუნის დრამისა და თეატრის თეორიები, ყველაზე მნიშვნელოვანიც კი. მთელი ამ თეორიული კლასიკიდან ბიბლიოთეკაში, და არა სილაბუსში, მხოლოდ პატრის პავისის კანონიკური „თეატრის ლექსიკონი“ გვხვდება, რუსულ ენაზე თარგმნილი.
 6. რეჟისურის ოსტატობა 1, 2 და 3 სილაბუსები სამივე კურსზე ემთხვევა ერთმანეთს თემატიკასა და ლიტერატურაში. არ ჩანს, როგორ იზრდება რეჟისურის ხელოვნების ცოდნა და კომპეტენციები პირველიდან, მეორეს გავლით, მესამე საფეხურამდე. სილაბუსები მოიცავს ისეთი დიდი ოსტატების მხატვრულ პრაქტიკას, როგორებიც არიან ბრეხტი, მიეერჰოლდი, მ. ჩეხოვი, სტანისლავსკი და გროტოვსკი. სამწუხაროდ, არ არის ნახსენები მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ან თანამედროვე 21- ე საუკუნის შესაბამისი თემატიკა ან ლიტერატურა. სილაბუსებს ასევე აკლია მნიშვნელოვანი თანამედროვე რეჟისორების პრაქტიკული მაგალითები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 - მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა

"მეტყველების კულტურა: თეორიისა და პრაქტიკის ანალიზის" სამაგისტრო პროგრამა მოიცავს თეორიული და პრაქტიკული ელემენტების შერწყმას. ეს მიდგომა კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ მიღებული ცოდნა როგორც აკადემიურ, ისე პრაქტიკულ კონტექსტში. თეორიული გაგების პრაქტიკულ უნარებთან ინტეგრაცია იძლევა მეტყველების კულტურაზე ხედვის ახალ პერსპექტივას, რომელიც მოიცავს ისტორიულ განვითარებას და თეორიულ შეხედულებებს. პირველი კურსის განმავლობაში მაგისტრანტები სწავლობენ მეტყველების თეორიასა და პრაქტიკას, თანამედროვე ორკესტრირების ტენდენციებს და ამ სფეროს ისტორიულ ეტაპებს. შესაბამისად, ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პირველ და მეორე აკადემიურ წლებში კურსი „სასცენო მეტყველების თეორია და პრაქტიკა“ იკვლევს სასცენო მეტყველების, მეტყველების კულტურისა და ორკესტრის ხელოვნების სხვადასხვა ასპექტებს. ეს მოიცავს მეტყველების სწორი ფორმირების დაუფლებას, პრობლემების იდენტიფიცირებას და გამოსწორებას და მეტყველების ტექნიკური და შემოქმედებითი ასპექტების დახვეწას.

მეორე სემესტრი ეძღვნება „მსახიობის ოსტატობის“ კურსს, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს კრიტიკულად გააანალიზონ პრობლემები, გააძლიერონ კვლევის უნარები და ანალიტიკური შესაძლებლობები. პირველ კურსზე სტუდენტები იღრმავებენ ქართული და მსოფლიო ლიტერატურის მხატვრული ტექსტების კრიტიკულ გააზრებასა და ანალიზს.

მესამე სემესტრში შემოდის კურსი „კომუნიკაციისა და პრეზენტაციის ტექნიკა“, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო გამოსვლის, ანალიტიკური მსჯელობისა და ორატორული უნარების დახვეწას.

სასწავლო გეგმა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიზანმიმართულად გამოიყენონ ქართული სალიტერატურო ენის ნორმები აკადემიურ და სამეცნიერო კონტექსტში.

სწავლების ორივე წლის განმავლობაში ისწავლება ისეთი ზოგადი საგნები, როგორცაა კულტურის მენეჯმენტი, აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები, შემოქმედებითი პედაგოგიკა და საგანმანათლებლო კანონმდებლობა. არჩევითი კურსები მოიცავს მრავალფეროვან თემებს, მათ შორის ხელოვნების ისტორიას, დრამის თეორიას, მსოფლიო ხელოვნების ტენდენციებს, რეჟისურის ისტორიას და სხვა. ეს აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას გაიღრმავონ ცოდნა პირადი ინტერესების შესაბამისად.

სავალდებულო ლიტერატურა კარგად არის წარმოდგენილი სილაბუსებში. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ფუნდამენტური ტექსტების შერწყმა თანამედროვე რესურსებთან, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ უფრო ფართო და ყოვლისმომცველი შეხედულებების სპექტრს. კლასიკური და თანამედროვე წყაროების ეს მიზანმიმართული კომბინაცია ეხმარება სტუდენტებს ეფექტურად გადავიდნენ ტრადიციული მეთოდებიდან თანამედროვე პროგრესზე. სასწავლო მასალებში მრავალფეროვანი აუდიო-ვიზუალური მასალის დამატებამ შეიძლება გააძლიეროს სასწავლო პროცესი. კვლევით საქმიანობაზე აქცენტი ხელს უწყობს შეფასებას, ანალიზს და კრიტიკულ აზროვნებას. ცენტრალურ კომპონენტებს წარმოადგენს სემინარები, მიმოხილვები, რეზიუმეები, საკურსოები, კონფერენციის მოხსენებები და პუბლიკაციები. ეს პროცესი მოიცავს ორივე აკადემიურ წელს და სამაგისტრო პროგრამის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

საბოლოო ჯამში, ამ პროგრამის მეშვეობით შეძენილი ყოვლისმომცველი კომპეტენციები ემთხვევა არა მხოლოდ თეატრალური ხელოვნების, არამედ შემოქმედებითი, სამეცნიერო და გამოყენებითი პროფესიების ფართო სპექტრის განვითარებად მოთხოვნებს. ეს ჰოლისტიკური მიდგომა უზრუნველყოფს მაგისტრანტს იმ ღირებული ტრანსფერული უნარებით, რომელიც აუცილებელია მულტივალდ ცვალებად დასაქმების გარემოში წარმატების მისაღწევად.

პროგრამის ძლიერი მხარეების გარდა, ექსპერტებმა ასევე დაასახელეს ის სფეროები, რომლებიც უნდა გაუმჯობესდეს:

1) წინაპირობის ნაწილში მკაფიოდ უნდა აისახოს მხოლოდ სავალდებულო კურსები, რომლიც ვერ შესრულებამ შეიძლება შეაფერხოს მოცემულ კურსზე ჩარიცხვა. ამ ნაწილში სასურველი უნარების, კვალიფიკაციისა და ცოდნის ნებისმიერმა ჩართვამ შეიძლება დააზიანოს სტუდენტები. არც ერთი საბაკალავრო კურსი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო კურსების წინაპირობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინაპირობა უნდა შეიცვალოს შემდეგ კურსებზე: ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის ინტერდისციპლინურ ასპექტში I- II (წინაპირობა: მაგისტრანტი უნდა იცნობდეს მსოფლიო და ქართულ ლიტერატურას. უნდა ფლობდეს მეტაფორულ აზროვნებას მინიმუმ არქეტიპის დონეზე, ფლობდეს ერთ- ერთ ვეროპულ ენას B2 დონეზე, ან რუსულ ენას); მე-20 საუკუნის ქართული სცენოგრაფიის ისტორია (წინაპირობა: არ საჭიროებს წინაპირობას, თუმცა მე-20 საუკუნის ქართული ხელოვნების ისტორიის ზოგადი კურსი მნიშვნელოვნად დაეხმარება სტუდენტს მიმდინარე პროცესების გარკვევის კუთხით); ფსიქოანალიზი და ჩარჩოს თეორია (წინაპირობა: მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი. სტუდენტი მზად უნდა იყოს ფსიქოანალიზის თეორიის გასაგებად და უნდა ჰქონდეს შესწავლილი XX საუკუნის ხელოვნების ისტორიის ფილოსოფიის და მოძრაობების მოკლე კურსი); XX ს. ქართული თეატრი (წინაპირობა: სავალდებულო წინაპირობაა სტუდენტს ჰქონდეს შესწავლილი ქართული თეატრის ისტორია მისი დასაწყისიდან მე-19 საუკუნის ჩათვლით), შემოქმედებითი პედაგოგიკა (ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კურსის შესასწავლად აუცილებელია მაგისტრანტს გავლილი ჰქონდეს ფსიქოლოგიის ელემენტარული კურსი, რათა იცოდეს ძირითადი ფსიქოლოგიური ცნებები და ტერმინების შინაარსი) და ა.შ.

2) სილაბუსების შინაარსობრივ ნაწილში ნათლად უნდა იყოს ასახული მეთოდების ნაწილში გაწერილი მეთოდოლოგიების პრაქტიკული გამოყენება. ეს ეხება შემდეგ კურსებს: ქართული მწერლობა მსოფლიო

ლიტერატურის ინტერდისციპლინურ ასპექტში I- II; XX ს. ქართული თეატრი; XX ს. მსოფლიო თეატრის ისტორია. პროგრამისთვის კარგი იქნება ინოვაციური მეთოდოლოგიების გამოყენება, როგორცაა შებრუნებული საკლასო ოთახი და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მეთოდები. ექსპერტების რჩევით უნდა გამოიყენონ შემდეგი მეთოდები: 1) ურთიერთსწავლება: დაავალეთ სტუდენტთა მცირე ჯგუფებს გამოიკვლიონ სასცენო მეტყველების კონკრეტული ცნებები და შემდეგ სთხოვეთ მათ ასწავლონ ეს ცნებები თანატოლებს. ეს ხელს უწყობს თანამშრომლობით სწავლებას და აძლიერებს გაგებას; 2) შებრუნებული შეფასებები: შემოიღეთ შეფასებები, რომლებიც სცილდება ტრადიციულ გამოცდებს, მაგალითად, სტუდენტები ქმნიან თავიანთი სასცენო გამოსვლების ვიდეოჩანაწერებს და წარადგენენ მათ შეფასებისთვის; 3) ონლაინ დისკუსიის ფორუმები: შექმენით ონლაინ დისკუსიის ფორუმი, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ დასვან კითხვები, გაახიარონ აზრები და აუდიო- ვიზუალური მასალები, და კლასის წინაშე განიხილონ სასცენო მეტყველების ცნებების საკუთარი გაგება. ამით ისინი გაფანტავენ ექვეს და მიიღებენ ინტერაქციულ გამოცდილებას კლასში. ექსპერტებს ასევე აქვთ რჩევები ორატორული ხელოვნების სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით: 1) ეთოსის, პათოსისა და ლოგოსის ანალიზი: ასწავლეთ სტუდენტებს გაანალიზონ ცნობილი გამოსვლები და პრეზენტაციები ეთოს-პათოს-ლოგოსის ჩარჩოს გამოყენებით, უკეთ გაიგონ დარწმუნების სტრატეგიები; 2) კულტურული კომპეტენციის ტრენინგი: დანერგეთ კულტურათაშორისი კომუნიკაციის ტრენინგი, რათა სტუდენტებმა შეძლონ თავიანთი ორატორული სტილის ადაპტირება, როდესაც მრავალფეროვან აუდიტორიას მიმართავენ; 3) კოგნიტური ქვევითი ტექნიკა: ჩართეთ კოგნიტური ქვევითი მეთოდები სცენის შიშისა და შფოთვის დასაძლევად, რაც სტუდენტებს თავდაჯერებულობას ჩამოუყალიბებს საჯარო გამოსვლის დროს; 4) მულტიმედიის ინტეგრაცია: წახალისეთ სტუდენტები, შექმნან მულტიმედიით გამდიდრებული პრეზენტაციები, რომლებიც მოიცავს თვალსაჩინო მაგალითებს, ვიდეოებს და ანიმაციებს, რითაც გაძლიერდება მათი თხრობა და ჩართულობა აუდიტორიასთან. 3) კურსის სახელწოდებას „XX ს. ქართული თეატრი“ სჭირდება დაზუსტება პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში. სილაბუსი უკვე ითვალისწინებს კონკრეტულ ვადებს, როგორც „ქართული თეატრი“ (1901- 1936), რაც უზრუნველყოფს შინაარსის შესაბამისობას ამ პერიოდთან. პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში სათაურის უზუსტობამ შესაძლოა გამოიწვიოს მცდარი ვარაუდები ან მოლოდინები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 - თეატრისა და კინო დრამატურგია (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამა აქცენტს აკეთებს თეატრისა და კინოს დრამატურგიაზე. კურსები მოიცავს დრამატურგის ოსტატობას I- III (15 კრედიტი), დრამის პოეტიკას (5 კრედიტი), ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას (5 კრედიტი), კინოსა და ლიტერატურას (5 კრედიტი) და დრამის თეორიას (5 კრედიტი). პროგრამა გრძელდება ორი წელი, მოიცავს როგორც თეატრის, ისე კინოს სცენარის შექმნის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს.

კლასიკური დრამატურგიის შესწავლით, სტუდენტები სწავლობენ აკადემიურ და სასცენო ტექნიკას, განასხვავებენ ხელოვნების ამ ფორმების ნიმუშებს, ფორმებსა და ტექნიკურ მახასიათებლებს. კურსდამთავრებულები იმენენ ცოდნას დრამატურგიული საფუძვლების შესახებ, ერთვებიან პრაქტიკულ შემოქმედებით პროცესებში, როგორც დრამატურგიის, ასევე კინოს სცენარისთვის.

პირველ სემესტრში დრამის პოეტიკა უღრმავდება თეორიულ კვლევებს, ანალიზებს სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ლიტერატურულ ტექსტებს. მეორე სემესტრი მოიცავს ქართულ ლიტერატურულ პრაქტიკას და ფილმის ადაპტაციის ანალიზს, შეისწავლის კინოსა და ლიტერატურას შორის ინტერფეისს, ასევე სცენარისტურ პრინციპებს.

მეორე წელი აქცენტს აკეთებს დრამის თეორიაზე, უღრმავდება გლობალურ თეატრალურ ტენდენციებს თანამედროვე და ისტორიული დრამის ანალიზისთვის. ორივე წელი მოიცავს საუნივერსიტეტო დისციპლინებს (20 კრედიტი): კულტურის მენეჯმენტი, აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები, შემოქმედებითი პედაგოგიკა და საგანმანათლებლო კანონმდებლობა.

პროგრამა ხაზს უსვამს კრიტიკულ აზროვნებას, უნარების განვითარებას სემინარების, მიმოხილვების, საკურსო ნაშრომებისა და კვლევების მეშვეობით. არჩევითი კურსები (20 კრედიტი) მოიცავს სხვადასხვა საგნებს, როგორცაა ქართული ხელოვნების ისტორია, სიმბოლიზმი, რექსურა, მე-20 საუკუნის ქართული თეატრი, მე-20 საუკუნის მსოფლიო თეატრი და სხვა. სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ დამატებითი სპეციალობები უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული კურსებიდან თავიანთი ცოდნისა და ინტერესების გასაღრმავებლად.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „თითოეული კურსის სილაბუსი განახლებულია თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით. კურსის სწავლის შედეგები ყალიბდება სამკომპონენტური სისტემით (ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა/ ავტონომიურობა) და შეესაბამება კურსის მიზნებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა შეესაბამება პროგრამის შინაარსს და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და მისთვის განსაზღვრულ კრედიტების ოდენობას. კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურა განახლებულია ახალი პუბლიკაციებისა და დარგის თანამედროვე კვლევების გათვალისწინებით“.

ექსპერტებმა გამოავლინეს შემდეგი სფეროები შემდგომი გაუმჯობესებისთვის:

1) წინაპირობის ნაწილში მკაფიოდ უნდა აისახოს მხოლოდ სავალდებულო კურსები, რომლის ვერ შესრულებამ შეიძლება შეაფერხოს მოცემულ კურსზე ჩარიცხვა. ამ ნაწილში სასურველი უნარების, კვალიფიკაციისა და ცოდნის ნებისმიერმა ჩართვამ შეიძლება დააბნიოს სტუდენტები. არც ერთი საბაკალავრო კურსი არ შეიძლება იყოს სამაგისტრო კურსების წინაპირობა. ამგვარად, ზოგიერთ სილაბუსში აუცილებელია წინაპირობების დაზუსტება: XX საუკუნის ფილოსოფია (წინაპირობა: კურსი წინაპირობად მოითხოვს ზოგად ცოდნას ფილოსოფიის და მისი ისტორიის შესახებ); ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში (წინაპირობა: მაგისტრანტს უნდა ჰქონდეს გლობალური და ქართული ლიტერატურის ცოდნა და B2 დონეზე ფლობდეს ევროპულ ან რუსულ ენას); სიმბოლოს მხატვრული დიაპაზონი (გლობალური და ქართული ლიტერატურის ცოდნა, მინიმუმ ძირითადი არქექტიპული სიმბოლოების ცოდნა და B2 დონეზე ევროპული ან რუსული ენის ცოდნა); ფსიქოანალიზი და ჩარჩოს თეორია (წინაპირობა: მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი. სტუდენტი მზად უნდა იყოს ფსიქოანალიზის თეორიის გასაგებად და გავლილი უნდა ჰქონდეს XX საუკუნის ხელოვნების ისტორიის ფილოსოფიის და მოძრაობების მოკლე კურსი).

2) სილაბუსების შინაარსობრივ ნაწილში ნათლად უნდა იყოს ასახული მეთოდების ნაწილში გაწერილი მეთოდოლოგიების პრაქტიკული გამოყენება. ეს ეხება შემდეგ კურსებს: XX საუკუნის ქართული სცენოგრაფიის ისტორია; XX საუკუნის ქართული თეატრი; XX საუკუნის მსოფლიო თეატრი; სიმბოლოს მხატვრული დიაპაზონი; ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

ძირითადი სილაბუსების შინაარსში ჩანს თანამედროვე და უახლესი ლიტერატურის, თეორიებისა და პრაქტიკის ნაკლებობა, მაგ.:

სილაბუსი „დრამატურგიის ოსტატობა 1“ წარმატებით ადარებს ერთმანეთს დრამატულ ტექსტებსა და მათზე დაფუძნებულ ფილმებს და გაცილებით უკეთესი იქნებოდა სპექტაკლებისა და ფილმების უფრო ფართო სპექტრის შეტანა. სავალდებულო ლიტერატურა შედგება ფუნდამენტური კლასიკოსებისგან და დამატებით ლიტერატურაში შემოთავაზებულია ალბი და ბეკეტი, როგორც უახლესი ავტორები, ხოლო უახლესი დრამატურგები არაა ნახსენები.

სილაბუსი „დრამატურგიის ოსტატობა 2“ ემთხვევა სილაბუსს „დრამატურგიის ოსტატობა 1“ გაანალიზებული მაგალითების თვალსაზრისით, და არ აქვს უცხოური სახელმძღვანელოები სავალდებულო ლიტერატურაში, ხოლო დამატებითი ლიტერატურის წიგნები ძირითადად გამოქვეყნებულია 1970- იან წლებში და, შესაბამისად, მოძველებულია ანალიტიკური მეთოდოლოგიისა და მიდგომის თვალსაზრისით.

სილაბუსი „დრამატურგიის ოსტატობა 3“, რომელიც ეხება პროზაული ლიტერატურისა და მასზე დაფუძნებული ფილმების შედარებას, ერთადერთია უახლესი ლიტერატურით, თუმცა ისიც არ არის ყველაზე წარმომადგენლობითი სათაურებით წარმოდგენილი.

სილაბუსში „დრამის პოეტიკა“ არც სავალდებულო და არც დამხმარე ლიტერატურა არ შედგება თანამედროვე თეორიებისა და ავტორებისაგან და უახლესი სათაურებისგან.

ამ პროგრამის სილაბუსში „დრამის თეორია“, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ნაწილობრივ ემთხვევა სხვა სილაბუსების ლიტერატურას და იგივე შეიძლება ითქვას თემატიკაზეც. ლიტერატურის ჩამონათვალს ასევე აკლია ინფორმაცია ყველაზე აქტუალური თანამედროვე თეორიებისა და უახლესი ავტორების შესახებ.

სილაბუსი „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“ შედგება ამ სფეროში არსებული თანამედროვე და შესაბამისი ლიტერატურისგან, გარდა ფართოდ მიღებული Frascati Manual 2015. თუმცა, სილაბუსის თემებში არ განსხვავდება მეცნიერული და შემოქმედებითი კვლევა.

ინოვაციური მეთოდოლოგიების ჩართვა უაღრესად ხელსაყრელია პროგრამის ეფექტურობისთვის. ექსპერტები რეკომენდაციას უწევენ შემდეგი ტექნიკის განხორციელებას:

1) თანატოლების უკუკავშირის სესიები: სთხოვეთ სტუდენტებს მოიყვანონ საკუთარი წერილობითი სცენები ან დიალოგები. დააწყვილეთ ისინი თანატოლების კონსტრუქციული უკუკავშირის სესიებისთვის, სადაც ისინი მიიღებენ ინფორმაციას პერსონაჟების განვითარების, დიალოგის ეფექტურობასა და საერთოდ თხრობის შესახებ; 2) დისკუსიის ფორუმები: შექმენით ონლაინ სადისკუსიო ფორუმი, სადაც სტუდენტები ჩაერთვებიან საუბრებში სპექტაკლების, ტექნიკისა და შესაბამისი თემების შესახებ. წახალისეთ ისინი, გაუზიარონ აზრი, დაუსვან კითხვები და უპასუხონ თანატოლებს; 3) ციფრული პორტფოლიოები: სთხოვეთ სტუდენტებს შეაგროვონ თავიანთი საუკეთესო სცენები, დიალოგები და კომენტარები ციფრულ პორტფოლიოებად, სადაც ნაჩვენებია მათი ზრდა და დრამატურგის უნარების ოსტატობა; 4) შედარებითი ანალიზი: სტუდენტებმა გააანალიზონ, თუ როგორ გამოიყენება დრამატურგის კონკრეტული ტექნიკა, პერსონაჟის განვითარება ან სიუჟეტური სტრუქტურა სხვადასხვა პიესაში; 5) ონლაინ მასტერ- კლასის რესურსების გამოყენება შემოქმედებითი წერის უნარების გასაუმჯობესებლად: <https://www.masterclass.com/categories/writing>

3) შესაძლებელია კურსების საგანმანათლებლო შინაარსის მნიშვნელოვნად გამდიდრება „სავალდებულო ლიტერატურის“ სემინტის გაზრდით თანამედროვე და ფუნდამენტური სამეცნიერო სტატიებით, რომლებიც შეესაბამება მათ კონკრეტულ სფეროებს. კარგი იქნება ინგლისურენოვანი რესურსების, როგორცაა სტატიები, ნაწყვეტები თეორიული ტექსტებიდან და აუდიო- ვიზუალური მასალების ჩართვა შემდეგ საგნებში: დრამის თეორია, ფსიქონალიზი და ჩარჩოს თეორია, მხატვრული სიმბოლიზმი და მე-20 საუკუნის ფილოსოფია. ამ მიდგომის საილუსტრაციო მაგალითი შეგიძლიათ იხილოთ იელის ღია კურსების მიერ შემოთავაზებულ კურსში „ლიტერატურის თეორიის შესავალი“, რომელიც გვთავაზობს თითოეული ამ სფეროსთვის მორგებულ შინაარსს: <https://oyc.yale.edu/english/engl-300>

4) XX საუკუნის ფილოსოფიის კურსი მოითხოვს შინაარსის გარკვეულ რედაქტირებას. კერძოდ, ზოგიერთ კვირაში მოცემულია კურსის მასალების რეზიუმეები და არა მკაფიოდ განსაზღვრულ თემები. მაგალითად, მე-15 კვირა: „მოდერნიზმი, როგორც აზროვნების ისეთი წესი, სადაც ცოდნა ჯერ კიდევ არ დაიყვანება ემპირიულ ინდივიდუალურ სუბიექტზე და სადაც ჯერ კიდევ შესაძლებელია ცოდნის ობიექტურ, აუცილებელ და საყოველთაო ხასიათზე საუბარი. „ეპისტემეს“, „ტაქსონომიის“, „მათეზისის“, „გენეზისის“, „მსგავსება - განსხვავების“ ცნებები პოსტმოდერნისტ ავტორთან მიშელ ფუკოსთან, როგორც სტრუქტურული აზროვნების განმსაზღვრელი მოდუსები და ლოგოცენტრიზმი, როგორც სტრუქტურული აზროვნების არსი და პოსტსტრუქტურალიზმი, როგორც აზროვნების კონსტრუქციული პარადიგმის დეკონსტრუირება და ლოგოცენტრიზმის დეცენტრაცია. „ორმაგი კოდირების“ თემა პოსტმოდერნისტ ავტორთან ჩარლზ ჯენკსთან, როგორც კლასიკური ტრადიციებისა და მოდერნისტული ავანგარდის შერწყმის შესაძლებლობა პოსტმოდერნში და ეგრეთ წოდებული „ზომიერი პოსტმოდერნიზმის“ თეორია ფრედერიკ ჯეიმსონთან. „წერილის“, „კვალის“, „ტრავმატულობის“ ცნებები დერიდასთან და სხვა პოსტმოდერნისტ ავტორებთან, როგორც

ლოგოცენტრიზმის დეკონსტრუქციის შედეგი და ისტორია, როგორც „პორტური“ ჯეიმსონთან, როგორც ასევე ლოგოცენტრიზმის დეკონსტრუქციის შედეგი. „წერილის“, „კვალის“, „ტრავმატულობის“, „სიმულაკრის“ პოსტმოდერნისტული ცნებები, როგორც ფენომენოლოგების „არსების ჭვრეტისა“ და ეგზისტენციალისტების „ჩენა - ვლენის“ ვითარებათა, მათ შორის „არსების ჭვრეტისა“ და „ჩენა - ვლენის“ ვითარებათა უარყოფელი მოცემულობანი. „წერილი“, „კვალი“, „ტრამვატული“, „პოპური“ და „პასტიჩური“ ვითარებები, როგორც ერთგვარი ტოპოსები სიმულაკრთა მრავალსახეობათათვის, სადაც ლოგოცენტრიზმის დეკონსტრუქციის კვალად, უმაღლესი ჭეშმარიტება აღარ არსებობს, რამდენადაც ყველა სიმულაკრს თანაბრად აქვს არსებობის უფლება, ხოლო ეს ვითარება იგივეა, რასაც პოსტმოდერნისტი ავტორი ბოდრიარი „ზერეალობის“, „ჰიპერრეალობის“ ცნებით გამოთქვამს. მსგავს ზერეალობაში კი ასევე ბოდრიარის ტერმინით თუ ვიტყვით, მხოლოდ „სიმბოლურ გაცვლას“ დაუსადგურებია და უკვე ეს სიმბოლოებიც აღარ მნიშვნელობენ. ამავე ვითარებათა ასახვა - გამოხატვა „ანტიდაფუძნებლობისა“ და „მეტანარატივების“, „გრანდნარატივების“ სიკვდილის თემებში კიდევ ერთ პოსტმოდერნისტ ავტორთან ლიოტართან. შესაბამისი შინაარსების კონტექსტთა აქტუალიზება ასევე პოსტმოდერნისტ ავტორთან ბარტთან „ავტორის დესაკრალიზების“, „ავტორის სიკვდილის“ თემებითა და „მეტატექსტის სიკვდილისა“ და შესაბამისად, ტექსტის, როგორც „ინტერტექსტის“ თემათა აქტუალიზება ასევე კიდევ ერთ პოსტმოდერნისტ ავტორთან კრისტევასთან. „ავტორის დესაკრალიზების“, „ავტორის სიკვდილის“, „მეტატექსტის სიკვდილის“ თემების არა მხოლოდ მხატვრული და ესთეტიკური კუთხით გაგების, არამედ საყოველთაო მნიშვნელობით გააზრების კონტექსტი, როგორც პოსტმოდერნისტული ვითარებისთვის დამახასიათებელი გარემოება.

პოსტმოდერნისტული „ეიფორია - ვარვარი“ ჯეიმსონთან, როგორც ტოპოსთა და სიმულაკრთა მოდუსების უსასრულობის გამოხატულება და „კონტენტისა“ და „სიტუაციურობის“ ცნებები. ტოპოსთა და სიმულაკრთა კონტენტების თანაბარმნიშვნელოვანი მყოფობის სიტუაციურობა“.

იმავე კვირაში, სემინარი:

ლექცია და დავა - კამათი მოდერნის, როგორც “თანამედროვეობის” და პოსტმოდერნის, როგორც „თანამედროვეობის შემდეგ“ ვითარებათა შესახებ. მსგავსი ანალიზი იმდენადაა საინტერესო და აუცილებელი, რამდენადაც ისინი თანამედროვე დასავლეთის კულტურის გამოხატულებანი არიან. გარკვეული მსგავსებების მიუხედავად, მოდერნი არ არის პოსტმოდერნი და ამიტომ ჰქვია პოსტმოდერნს „პოსტმოდერნი“ და არა „ნეომოდერნი“. ამ შემთხვევაში, თავსართი “პოსტ“, მოდერნის შემდგომ მგომარეობას ნიშნავს და არა „ნეო“ მდგომარეობას, როგორც გამეორებას. სხვა სიტყვებით, პოსტმოდერნი მოდერნის გამეორება ანუ ნეომოდერნი კი არ არის, არამედ მოდერნისგან განსხვავებული პოსტმოდერნისტული ვითარებაა. უფრო ზუსტად, მოდერნისტული მდგომარეობა ისეთი მდგომარეობაა, სადაც კლასიკური ცნებებისა და კატეგორიების მაჯისცემა ჯერ ჯიდევ იგრძნობა, სადაც მეტაფიზიკურის შესაძლო უარყოფისადმი სინანული ჯერ კიდევ აქტუალურია, მაშინ როცა პოსტმოდერნისტული ვითარება ისეთი ვითარებაა, სადაც არათუ მეტაფიზიკურისადმი და კლასიკური ცნებებისა და კატეგორიებისადმი ინტერესი აღარაა აქტუალური, მათი უარყოფით სინანულის გრძნობის გამოწვევის შესაძლებლობაც კი დაცინვისა და ირონიის საგნად ქცეულა. ამიტომაც აღიქმება პოსტმოდერნში ნებისმიერი ტექსტი ინტერტექსტად და ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები - ერთგვარი დეკონსტრუქციის წყაროდ და შესაძლებლობად. შესაბამისად, პოსტმოდერნში „ავტორის სიკვდილის“ თემაც აქტუალურია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძალიან საინტერესოა მსგავსება - განსხვავებანი კლასიკური, მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული მდგომარეობებისა ზოგადად, ხელოვნებაში გამოვლინების ტენდენციებიც. სწორედ ამ კონტექსტში განიხილავენ აღნიშნულ თემებს პოსტმოდერნის მკვლევარები - ჯეიმსონი, ჯენსი, კრისტევა, ფუკო, ბოდრიარი, დერიდა, ლიოტარი და სხვები.”

ამას კორექტირება სჭირდება, რათა სტუდენტებმა უფრო თანმიმდევრული და სტრუქტურირებული სასწავლო გამოცდილება მიიღონ.

5) ექსპერტების რჩევით „დრამის თეორიის“ კურსის ამჟამინდელი შინაარსი უნდა გადაიხედოს, იგი ამჟამად მთავრდება თეატრის შესახებ სორენ კირკვეგორის შეხედულებებით. ისინი გვთავაზობენ დამატებითი ძირითადი თეორიების ინტეგრაციას კურსის ყოვლისმომცველობის გასაუმჯობესებლად. უნდა დაემატოს შემდეგი თეორიები: ექსპრესიონიზმი, ეპიკური თეატრი (ბრეხტის თეატრი), აბსურდის თეატრი, ფსიქოლოგიური რეალიზმი თეატრში, პოსტკოლონიური თეატრი, ფემინისტური თეატრი, სისასტიკის თეატრი, სტრუქტურალიზმი და სემიოტიკა თეატრში, პოსტდრამატული თეატრი, თეატრის ანთროპოლოგია (ბარბა), პოსტჰუმანიზმი და იდენტობის თეორიები თეატრში და გლობალური და ტრანსკულტურული თეორიები თეატრში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 - თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) - სადოქტორო პროგრამა

სადოქტორო პროგრამა თეატრის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგიკა) წარმოადგენს კურიკულუმს, რომლის მიზანია თეატრის რეჟისორისთვის აუცილებელი ყოვლისმომცველი უნარების განვითარება. პროგრამის სასწავლო კურსები დაყოფილია სხვადასხვა კატეგორიებად, მათ შორის სემინარები სპეციალურ დისციპლინაში, საუნივერსიტეტო კურსები, პრაქტიკული კომპონენტი და არჩევითი კურსები. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროგრამის სტრუქტურა გააზრებულია, მას აქვს როგორც ძლიერი მხარე, ისე გასაუმჯობესებელი სფეროები, რომლებიც მკაცრად უნდა შემოწმდეს.

ძლიერი მხარეები:

1. ჰოლისტური მიდგომა: კურიკულუმის დაყოფა სემინარებად, საუნივერსიტეტო კურსებად, პრაქტიკულ კომპონენტად და არჩევით კურსებად უზრუნველყოფს სრულყოფილ განათლებას, რომელიც აერთიანებს თეორიულ გაგებას პრაქტიკულ უნარებთან, პედაგოგიურ შეხედულებებთან და მხატვრულ კვლევასთან.
2. სპეციალიზებული სემინარები: სემინარები სპეციალურ დისციპლინაში ფოკუსირებულია თეატრის რეჟისურის გადამწყვეტ ასპექტებზე, როგორცაა თეორია და პრაქტიკა, ლიტერატურული ტექსტების ადაპტაცია, ეთნოგენური ელემენტები და ერთობლივი მუშაობა. ეს სემინარები უშუალოდ ემსახურება წარმატებული რეჟისორობისთვის საჭირო ძირითადი უნარების გამომუშავებას.
3. პედაგოგიური ფოკუსი: საუნივერსიტეტო კურსების ჩართვა, რომელიც მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა საგანმანათლებლო კანონმდებლობა, კომუნიკაციის ტექნიკა და საშუალო სკოლის პედაგოგიკა, ხაზს უსვამს პროგრამის ვალდებულებას მოამზადოს კურსდამთავრებულები სწავლების როლებისთვის. ეს პედაგოგიური საფუძველი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგანაც პროგრამის აქცენტი სწორედ შემოქმედებით პედაგოგიკაზეა გაკეთებული.
4. პრაქტიკული კომპონენტი: პრაქტიკული კომპონენტი, რომელსაც ხელმძღვანელობს დოქტორანტის ხელმძღვანელი, აძლევს კანდიდატებს შესანიშნავ შესაძლებლობას განავითარონ სწავლების უნარი საჩვენებელი ლექციის მომზადებისა და ჩატარების გზით, რითაც ხდება თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირება.
5. არჩევითი მრავალფეროვნება: არჩევითი კურსების სპექტრი მოიცავს თეატრთან დაკავშირებულ სხვადასხვა სფეროს, როგორცაა თანამედროვე თეატრის ფორმები, ხელოვნების ფილოსოფია და ისტორიული კონტექსტი. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს მთავრად განათლება თავიანთ ინტერესებსა და მიზნებს.

ექსპერტებმა გამოავლინეს გაუმჯობესების შემდეგი სფეროები:

- 1) პროგრამას შემოაქვს ისეთი ანალოგები, როგორცაა "სლოვაკეთი, პოლონეთი, ესპანეთი, დანია; დიდი ბრიტანეთი, ლინკოლნის უნივერსიტეტი, დრამის სადოქტორო პროგრამა; აშშ, ნიუ-იორკი, კოლუმბიის უნივერსიტეტი, თეატრისა და სპექტაკლის სადოქტორო პროგრამა; ბრისტოლის

უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა თეატრი და სპექტაკლი." თუმცა, მას აკლია ანალოგი სადოქტორო პროგრამების სიღრმისეული ანალიზი, კომპონენტი, რომელიც, ექსპერტების აზრით, გადამწყვეტია პროგრამის ეფექტურობისა და გაუმჯობესებისთვის.

2) წინაპირობებში მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი მხოლოდ სავალდებულო კურსები, სხვა შემთხვევაში შეიძლება შეფერხდეს მოცემულ კურსზე ჩარიცხვა. ამ ნაწილში სასურველი უნარების, კვალიფიკაციისა და ცოდნის ნებისმიერმა ჩართვამ შეიძლება დააზიანოს სტუდენტები. ამრიგად, შემდეგი წინაპირობები არ არის ვალიდური: რეჟისურის თეორია და პრაქტიკა: უცხო ენის, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, პრაქტიკული შემოქმედებითი მუშაობის გამოცდილება. კანდიდატმა უნდა გამოავლინოს შემოქმედებითი უნარები, მხატვრული აზროვნების კულტურა, მაღალი გემოვნება და ინტელექტი. მას უნდა ჰქონდეს ლოგიკური აზროვნებისა და მეტყველების უნარი, უნდა შეეძლოს ასოციაციურად აზროვნება, ჰქონდეს ფანტაზიისა და ფაბრიკაციის უნარი; ქართული თეატრის ეთნოგენური თავისებურებები და ჟანრული სტრუქტურა: „საქართველოს ეროვნული ისტორიის შესასწავლად სადოქტორო პროგრამის წინაპირობაა სტუდენტი ინფორმირებული იყოს საქართველოს ეთნოგრაფიის, ისტორიისა და თანამედროვეობის შესახებ“; ლიტერატურული ტექსტების ადაპტაცია თეატრში (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები): „დოქტორანტებს გავლილი უნდა ჰქონდეთ საბაზისო შესავალი კურსები ქართული, რუსული და დასავლეთ ევროპის თეატრის ისტორიაში. სასურველია, გარდა ქართული ენისა, ფლობდნენ უცხო ენებსაც - რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული და სხვა“; უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა (კურსის დასაუფლებლად აუცილებელია დოქტორანტს შესწავლილი ჰქონდეს ზოგადი პედაგოგიკის და ზოგადი ფსიქოლოგიის კურსები); რეჟისორთან მუშაობა (უცხო ენისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა; პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება; შემოქმედებითი უნარები, მხატვრული გამოსახულების მაღალი შეფასება, დახვეწილი გემოვნება და ინტელექტი. არსებითი ატრიბუტები მოიცავს კომპეტენტურ ლოგიკურ მსჯელობას, ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, ხედვის აზროვნებას, კარგად განვითარებულ ფანტაზიას და ბუნებრივ ფანტაზიას) და ა.შ.

3) დოქტორანტურის სფეროში, უახლესი მეთოდოლოგიების ინტეგრაცია კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. განსაკუთრებით რეჟისურის სადოქტორო პროგრამის კონტექსტში, სწავლებისადმი მიდგომა უნდა აღემატებოდეს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე ჩვეულებრივ გამოყენებულ მეთოდებს და უნდა მოიცავდეს უფრო განვითარებულ და ღრმა პედაგოგიურ ჩარჩოს. პროგრამამ უნდა გააუმჯობესოს ეს ასპექტი თითქმის ყველა კურსში. ამით პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტების აღჭურვას იმ ინსტრუმენტებითა და პერსპექტივებით, რომლებიც აუცილებელია თავიანთ სფეროში მათ მიერ პირველი წვლილის შესატანად. მაგალითად:

მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსი „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“ უზრუნველყოფს მყარ საფუძველს პროფესიონალურად ჩატარებული კვლევისთვის, მისი შედეგები და სტრატეგიები არ ჩანს სხვა სილაბუსებში.

თუმცა, თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამაში მითითებული მიზნების რაოდენობის გათვალისწინებით, უნდა დავამატოთ, რომ სილაბუსებში კვლევაზე დაფუძნებული სწავლის მტკიცებულებების დაყოფა გარკვეულწილად მწირი და მინიმალურია, რაც არ ასახავს თუ როგორ განსხვავდება სწავლებისადმი მენტორობის მიდგომა ქვედა დონიდან უფრო მაღალ დონეზე გადასვლისას.

მაგალითად, სილაბუსში „რეჟისურის თეორია და პრაქტიკა“, რომელიც აერთიანებს ლექციებსა და პრაქტიკულ სწავლებას, ნათქვამია, რომ სასწავლო კურსის განხორციელებისას, დოქტორანტების აქტიური ჩართულობისთვის შემოქმედებით/ სწავლის პროცესში გამოიყენება რამდენიმე მეთოდი: ვიზუალური პრეზენტაცია, ზეპირი ახსნა და დისკუსია. ასევე გამოიყენება ანალიზისა და სინთეზის მეთოდი და ნახსენებია სემიოტიკური ანალიზიც. თუმცა, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა არ იძლევა ამგვარი მიდგომის მტკიცებულებას და დამატებით ლიტერატურაში არის

მხოლოდ ერთი თანამედროვე წიგნი რეჟისურაზე, ისიც არ არის ყველაზე წარმომადგენლობითი სამეცნიერო სფეროში.

სილაბუსში „ლიტერატურული ტექსტების ადაპტაცია თეატრში (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები)“ სალექციო კურსის დროს გამოყენებული ძირითადი მეთოდებია ტექსტის წაკითხვისა და დრამის აღქმის ანალიტიკური მეთოდი, დედუქციურ- ინდუქციური მეთოდი, კომპონენტის ანალიზი და სემიოტიკური მეთოდი. სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა ვერ ადასტურებს თუ როგორ მიიღწევა ამგვარი მიზნები. სილაბუსი ეფუძნება ისეთი დიდი კლასიკოსების მაგალითებს, როგორებიცაა შექსპირი, როსტანი, შნიცლერი, მოლიერი, გოეთე, ბრეხტი, ჩეხოვი ან თომას მანი, მაგრამ მასში არ არის თანამედროვე ანალიზი და თანამედროვე კრიტიკული მიდგომები დიდი დრამატული და ლიტერატურული მსოფლიო მემკვიდრეობისადმი, ასევე უახლესი მეთოდები და თანამედროვე მიდგომები მემკვიდრეობისადმი. სავალდებულო ლიტერატურაში მხოლოდ იასმინა რეზა წარმოადგენს თანამედროვე დრამატურგიას.

ასევე, დოქტორანტურის დონეზე შეიძლება უფრო მეტად დაიხვეწოს თანამშრომლობითი ინიციატივები. მაგალითად, ძირითადი ჯგუფური პროექტების ნაცვლად, დოქტორანტებმა შეიძლება მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ვირტუალურ ვორქშოპებში, ითანამშრომლონ სხვადასხვა კულტურული წარმოშობის თანატოლებთან და შექმნან კულტურათაშორისი სპექტაკლები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ტრადიციულ ნორმებს და აფართოებენ შემოქმედებით ჰორიზონტებს. ეს მიდგომა ხელს შეუწყობს იდეების გაცვლას, რაც ასახავს თავად სფეროს სირთულეს.

უახლესი მეთოდოლოგიების გამოყენება ასევე გულისხმობს კვლევისა და პრაქტიკის გაძლიერებულ ინტეგრაციას. რეჟისურის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ მოახდინოს საკუთარი თეატრალური გამოცდილების კურირება ინოვაციური მულტიმედიური ინსტალაციების გამოყენებით, სადაც ცოცხალი წარმოდგენები და ციფრული ელემენტები ერთმანეთთანაა შერწყმული. მიღებული პროდუქტი არა მხოლოდ გამოავლენს რეჟისურის პრინციპების ოსტატობას, არამედ წარმოაჩენს ტექნოლოგიასა და საშემსრულებლო ხელოვნებას შორის არსებული კვეთის ჭკვიანურ გაგებას.

ასევე, აუდიტორიის ჩართულობისთვის შეიძლება ციფრული პლატფორმების გამოყენება. სტუდენტებს შეუძლიათ გამოიგონონ ინტერაქციული ონლაინ სპექტაკლები, სადაც გლობალური აუდიტორია რეალურ დროში მიიღებს მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში სპექტაკლის დროს. ეს არა მხოლოდ გარდაქმნის ტრადიციულ აუდიტორია- რეჟისორის დინამიკას, არამედ აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ტექნოლოგიების გამოყენებით მოხდეს სპექტაკლის საზღვრების ხელახალი გააზრება.

არსებითად, რეჟისურის სადოქტორო პროგრამის კურსების სწავლების მეთოდოლოგია უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის სამეცნიერო და შემოქმედებით მიზნებს. მოწინავე ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ინტეგრირებით, კულტურათაშორისი გაცვლების ხელშეწყობით და კვლევის პრაქტიკულ გამოყენებასთან შერწყმის გზით, პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები გახდებიან არა მხოლოდ რეჟისურის ექსპერტები, არამედ პიონერები, რომლებიც მზად არიან შექმნან საშემსრულებლო ხელოვნების მომავალი.

4) კურსი "ლიტერატურული ტექსტის ადაპტაცია დრამატულ თეატრში (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები)" ძალიან ჰგავს ბაკალავრიატის საფეხურის კურსს "ლიტერატურული ტექსტი დრამატულ თეატრში": მიზნები, მეთოდები და შეფასების სისტემა იდენტურია. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დოქტორანტურის დონეზე გამოყენებული მეთოდები და მიდგომები უფრო ღრმა და გართულებულია. სამწუხაროდ, მოწოდებული სილაბუსები ამ მტკიცებას ვერ ასაბუთებს. ერთადერთი განსხვავება, რაც შეიძლება შეინიშნოს სილაბუსებში, არის კვირეული თემები და თანმხლები მასალა: მაგალითად, თუ ბაკალავრიატის სილაბუსი ასწავლის შექსპირის „ჰამლეტის“ ანალიზს, დოქტორანტურის სილაბუსი ყურადღებას ამახვილებს "ზაფხულის დამის სიზმარზე". გარდა ამისა, დოქტორანტურის სილაბუსში მოცემული წყაროები ზოგჯერ უფრო ყოვლისმომცველია. ექსპერტების რჩევით, საჭიროა კურსის

ძირითადი მიზნების, მეთოდოლოგიებისა და შეფასების მექანიზმების გაუმჯობესება, რაც გამოიწვევს დოქტორანტების უფრო დახვეწილ და დეტალურ სასწავლო გამოცდილებას. ისინი ასევე გვთავაზობენ კურსში ეროვნული თეატრის ორი სპექტაკლის ანალიზის დამატებას: ჯეინ ეარი <https://www.youtube.com/watch?v=9LNFLbhve-4> და ფრანკენშტეინის ორი სპექტაკლი <https://www.youtube.com/watch?v=DmkQHv8e4Rk> (ბენედიქტ კამბერბეტჩი და ჯონი ლი მილერი ფრანკენშტეინისა და ქმნილების როლებში). ორივე სპექტაკლი გამორჩეული სცენოგრაფიით ხასიათდება და რომანის სცენაზე გადაყვანის საინტერესო ნიმუშებია. ჯეინ ეარის შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს ტექსტის ახალი საინტერესო კითხვა ფემინისტური ტრადიციით, ხოლო ფრანკენშტეინი გვთავაზობს გამორჩეულ შესრულებას ორი ვარსკვლავური მსახიობის მიერ, რომელიც ქმნის ორი გმირის ორ განსხვავებულ პორტრეტს. მასალები და პიესები შეგიძლიათ იხილოთ საიტზე: www.ntathome.com

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებების შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურა.
- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების რუკა
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი 2022-2023 სასწავლო წლის მონაცემების მიხედვით
- სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს დებულება
- <https://www.dramaonlinelibrary.com/national-theatre-collection>
- https://alexanderstreet.com/products/theatre-and-drama-premium?fbclid=IwAR3a0KyZh-c_I-SiNjYaxdch0PPeBq1bFdtvcXXmtVH3pMrqT71jt3SV_Zk
- www.ntathome.com
- <https://oyc.yale.edu/english/engl-300>
- <https://www.marquee.tv/categories/opera>
- <https://www.marquee.tv/collections>
- <https://www.masterclass.com/classes/misty-copeland-teaches-ballet-technique-and-artistry>
- <https://www.masterclass.com/classes/parris-goebel-teaches-creativity-in-choreography>
- <https://www.dance-masterclass.com/>
- <https://national-theatre-assets.s3.amazonaws.com/uploads/2022/10/streetcar-named-desire-workpack.pdf>
- <https://national-theatre-assets.s3.amazonaws.com/uploads/2022/10/some-trace-of-her-pack.pdf>
- <https://www.trinitycollege.com/qualifications/drama/drama-games-resource>
- <https://www.trinitycollege.com/qualifications/drama/grades/acting/resource-overview/resources>
- <https://national-theatre-assets.s3.amazonaws.com/uploads/2022/10/hedda-gabler-pack-min.pdf>
- <https://national-theatre-assets.s3.amazonaws.com/uploads/2022/10/heddagabler-rehearsaldiaries.pdf>
- <https://national-theatre-assets.s3.amazonaws.com/uploads/2022/10/his-dark-materials-pack.pdf>
- <https://national-theatre-assets.s3.amazonaws.com/uploads/2022/10/julie-rehearsaldiaries-min.pdf>
- <https://national-theatre-assets.s3.amazonaws.com/uploads/2022/10/2018tour-macbeth-pack.pdf>
- <https://national-theatre-assets.s3.amazonaws.com/uploads/2022/10/2018tour-macbeth-rehearsaldiaries.pdf>
- <https://national-theatre-assets.s3.amazonaws.com/uploads/2022/10/phedre-pack.pdf>
- <https://national-theatre-assets.s3.amazonaws.com/uploads/2022/10/three-sisters-background-pack.pdf>
- <https://national-theatre-assets.s3.amazonaws.com/uploads/2022/10/warhorse-pack.pdf>

- <https://national-theatre-assets.s3.amazonaws.com/uploads/2022/10/war-horse-education-pack-nt.pdf>
- <https://www.rsc.org.uk/learn/schools-and-teachers/teacher-resources>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

1. ექსპერტების აზრით, სილაბუსების შინაარსის ნაწილი ნათლად უნდა ასახავდეს მეთოდების ნაწილში აღწერილი მეთოდოლოგიების განხორციელებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კურსებისთვის, რომლებიც რამდენიმე სემესტრის განმავლობაში გრძელდება, რადგან ის ასახავს, როგორ ეხმარება ეს მეთოდები ეტაპობრივ და განვითარებად სასწავლო პროცესს - როგორ გადადის შესავალი ეტაპებიდან უფრო მაღალ დონეზე. იმ შემთხვევებში, როდესაც კურსში გამოყენებული მეთოდების რაოდენობა აღემატება დოკუმენტაციაში მითითებულს (როგორც დადასტურდა გასაუბრებების დროს), აუცილებელია მოხდეს მათი ზუსტი ასახვა სილაბუსის მეთოდების ნაწილში.
2. განათლების უმაღლესი ხარისხის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია სილაბუსების გაძლიერება ყველა დეტალზე ზედმიწევნითი ყურადღების მიქცევით. ექსპერტების რეკომენდაციით, ნებისმიერი გაუმართავი წინაპირობა უნდა გასწორდეს, ეს ეხება გამოტოვებულ სასემინარო აქტივობებს და შეფასების სისტემების დახვეწას ხარისხის უზრუნველყოფის (QA) გუნდთან მჭიდრო თანამშრომლობით.

კლასტერის საერთო რჩევები:

1. ექსპერტების რჩევით, ამ პროგრამებში სტრატეგიული აქცენტი უნდა გაკეთდეს როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებაზე. ბაკალავრიატის დონეზე, ინგლისური ენის კურსები B1- B2 დონის ფარგლებში შეიძლება გაძლიერდეს თუ ტრადიციულ სასწავლო გეგმას დაემატება ისეთი რესურსები, რომელიც ხელს უწყობს შესაბამისი პროფესიული ტერმინოლოგიის დაუფლებას. ხოლო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეზე, ინგლისურ ენაზე ჩატარებული არჩევითი კურსების დამატება არა მხოლოდ ენის ცოდნის ამაღლებას შეუწყობს ხელს, არამედ მიაწოდებს სტუდენტებს მოწინავე სასწავლო მასალებს, რითაც ხელს შეუწყობს ყოვლისმომცველ ლინგვისტურ და საგანმანათლებლო გამოცდილებას. გარდა ამისა, ენის შემსწავლელი გარემოს გასავითარებლად, ინგლისურენოვანი მასალების გამოყენება უნდა გაძლიერდეს სხვადასხვა კურსებში. ამას შეიძლება მოჰყვეს მრავალფეროვანი რესურსების ინტეგრაცია, როგორცაა სტატიები, აუდიო- ვიზუალური შინაარსი და უახლესი სახელმძღვანელოები, რაც საბოლოოდ გაამდიდრებს სწავლის პროცესს, გააძლიერებს სტუდენტებს განახლებული საგნებით და ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.
2. ექსპერტების კატეგორიული რჩევაა მეტი რაოდენობის ქართულ/ ინგლისურ ენაზე სამეცნიერო სტატიებისა და უახლესი პუბლიკაციების გამოყენება თეორიული კურსების სილაბუსებში, განსაკუთრებით მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში. ეს მოწინავე საგანმანათლებლო ეტაპები მოითხოვს სტუდენტებისგან ინფორმირებულობას თავიანთ სფეროებში უახლესი მოვლენების შესახებ. ამისთვის, უნივერსიტეტის პერსონალმა უნდა ითანამშრომლოს უსდ-ს გამომცემლობასთან „კენტავრი“ და შექმნას ანთოლოგიები, რომლებიც მოიცავს საფუძვლიან ნაშრომებს მათ შესაბამის სფეროებში.
3. სასურველია ქართულ ენაზე ითარგმნოს მეტი ძირითადი ლიტერატურა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი) - საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია ყველა სილაბუსების გადახედვა ანალიზში მოცემული კომენტარების მიხედვით და სილაბუსების განახლება.
2. რეკომენდებულია სახელმძღვანელოების და ლიტერატურის სიების განახლება უახლესი, ყველაზე აქტუალური და თანამედროვე ავტორებითა და სათაურებით.
3. ქართულენოვანი წყაროების მნიშვნელოვანი სიმცირის გათვალისწინებით, აუცილებელია მოიძებნოს გამოსავალი კურსისთვის „თოჯინების თეატრის მსახიობობის ოსტატობა - I-VIII“. ექსპერტების რეკომენდაციით, უნდა შეიქმნას საკითხავი მასალა ან ელექტრონული კურსი, სადაც შევა კურსის სასწავლო გეგმის ფარგლებში გაშუქებული ყველა ძირითადი თემა. წყაროს მასალა უნდა შეიცავდეს დარგის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლის ნამუშევრებს, როგორცაა სერგეი ობრაზცოვი (სასურველია, თარგმანში, რადგან ახალგაზრდა თაობა რუსულად არ საუბრობს) და ისეთ სახელმძღვანელოებს, როგორცაა დევიდ კარელის „თოჯინების თეატრის სრული წიგნი“; ჰენრიკ იურკოვსკის, პენი ფრენსისის „თოჯინების თეატრის ასპექტები“; პენი ფრენსისის "თოჯინების თეატრი: მკითხველი თეატრალურ პრაქტიკაში" და ა.შ.

რჩევები:

სასურველია ზემოაღნიშნულ ანალიზში ნახსენები და შემოთავაზებული თანამედროვე ლიტერატურისა და მეთოდოლოგიების დანერგვა.

ექსპერტების აზრით, უნდა გადაიხედოს „დრამის თეორიის“ კურსის ამჟამინდელი შინაარსი, რომელიც ამჟამად სრულდება სორენ კირკეგორის შეხედულებებით თეატრის შესახებ. ისინი გვთავაზობენ დამატებითი ძირითადი თეორიების ინტეგრაციას კურსის ყოვლისმომცველობის გასაუმჯობესებლად. უნდა დაემატოს შემდეგი თეორიები: ექსპრესიონიზმი, ეპიკური თეატრი (ბრეხტის თეატრი), აბსურდის თეატრი, ფსიქოლოგიური რეალიზმი თეატრში, პოსტკოლონიური თეატრი, ფემინისტური თეატრი, სისასტიკის თეატრი, სტრუქტურალიზმი და სემიოტიკა თეატრში, პოსტდრამატული თეატრი, თეატრის ანთროპოლოგია (ბარბა), პოსტჰუმანიზმი და იდენტობის თეორიები თეატრში და გლობალური და ტრანსკულტურული თეორიები თეატრში.

სასურველია, რომ კურსის სათაური „მსოფლიო და ქართული ლიტერატურის ისტორია“, რომელიც შეიძლება ცოტა ზედმეტად ზოგადი ჩანდეს, შეიცვალოს უფრო შესაფერისი ალტერნატივით: „მსოფლიო და ქართული ლიტერატურის შედარებითი ანალიზი: ძირითადი ლიტერატურული ასპექტების გამოკვლევა“. ეს დაზუსტებული სათაური უკეთ ასახავს კურსის შინაარსის არსს და მის აქცენტს როგორც მსოფლიო (ძირითადად ევროპული), ისე ქართული ლიტერატურის სპეციფიკური ასპექტების შესწავლაზე.

ექსპერტების აზრით, აკადემიური წერის კურსში უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს წერის პრაქტიკულ უნარებზე, მათ შორის არგუმენტების განვითარებაზე, წყაროების ინტეგრაციაზე და თანმიმდევრულობაზე. ეს კომპეტენციები განუყოფელია ეფექტური აკადემიური კომუნიკაციისთვის.

კურსებში რეკომენდებულია დიდი ბრიტანეთის ეროვნული თეატრის კოლექციების რესურსების ჩართვა. ეს სტრატეგიული ინკორპორაცია მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სტუდენტების ცოდნას, უნარებს და ოსტატობას მათ შესაბამის სფეროებში.

პროგრამა 2 - თეატრის რეჟისურა - საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია ყველა სილაბუსების გადახედვა ანალიზში მოცემული კომენტარების მიხედვით და სილაბუსების განახლება.
2. რეკომენდებულია სახელმძღვანელოების და ლიტერატურის სიების განახლება უახლესი, ყველაზე აქტუალური და თანამედროვე ავტორებითა და სათაურებით.

რჩევები:

- სასურველია ზემოაღნიშნულ ანალიზში ნახსენები და შემოთავაზებული თანამედროვე ლიტერატურისა და მეთოდოლოგიების დანერგვა.

○ ძირითადი ლიტერატურა და მოწოდებული მაგალითები, როგორც ჩანს, ძირითადად დასავლურზეა ორიენტირებული. სასურველია კულტურისა და თეატრალური ტრადიციების უფრო ფართო სპექტრის მაგალითებისა და სახელმძღვანელოების ჩართვა, რაც უზრუნველყოფს რეჟისურის და თეატრალური ანალიზის უფრო სრულყოფილ გაგებას.

○ ვინაიდან კურსის სათაურები ზუსტად უნდა ასახავდეს შინაარსს, ექსპერტების რჩევით, თეატრალური რეჟისურის ისტორიის კურსის სახელწოდება უნდა დაკონკრეტდეს როგორც „ქართული თეატრის რეჟისურის ისტორია“, რითაც ნათელი გახდება კურსის მიმართულება.

კურსი „სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება I- II“ მოიცავს ტექსტის ნაწყვეტებს სალექციო თემის მიმოხილვის ნაცვლად. ეს შესამჩნევია VI, XII და XIV კვირაში. კურსის მასალის ეფექტურობის გასაზრდელად, სასურველია ეს ნაწილები გახდეს უფრო ლაკონური და ზუსტად წარმოადგენდეს ლექციის შინაარსს.

○ კურსები "დრამის თეორია" და "დრამის სტრუქტურა" ამჟამად გამოყოფს 27 საათს დამოუკიდებელ მუშაობაზე, რაც გარკვეულწილად შეუსაბამოა, განსაკუთრებით მათი თეორიული ბუნების გათვალისწინებით, რომელიც დიდად არ ეყრდნობა "სწავლა კეთებით" მიდგომას. ამ კურსების მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროგრამამ უნდა განიხილოს მათთვის დამატებითი საათების მინიჭება.

პროგრამა 3 - ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი - საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია ყველა სილაბუსის გადახედვა ანალიზში მოცემული კომენტარების მიხედვით და სილაბუსების განახლება.
2. სილაბუსი „კლასიკური ცეკვა I- VII“ შვიდივე სემესტრში ეყრდნობა ერთ სავალდებულო სახელმძღვანელოს: "ა. ი. ვაგანოვას კლასიკური ცეკვის საფუძვლები", რომელიც თარგმნა ლილი გვარამამემ 1940 წელს. ექსპერტების რეკომენდაციით, მართალია, კლასიკური ცეკვის კურსის პრაქტიკული აქცენტი უნდა შენარჩუნდეს, მაგრამ არსებულ ძირითად მასალას

უნდა დაემატოს თანამედროვე სახელმძღვანელოები. ასევე რეკომენდებულია კურსის შინაარსის გაზრდა ელექტრონული რესურსებით, როგორცაა ნაწყვეტები ცნობილი საბალეტო სპექტაკლებიდან, მასტერ-კლასები გამორჩეული ქორეოგრაფებისა და მოცეკვავეების ხელმძღვანელობით, ასევე ნაწყვეტები შესაბამისი ვიდეოებიდან და ფილმებიდან. თანამედროვე რესურსებისა და ელექტრონული მასალების ეს დამატება გაზრდის პროგრამის სტუდენტების სასწავლო გამოცდილებას.

რჩევები:

1. სასურველია ზემოაღნიშნულ ანალიზში ნახსენები და შემოთავაზებული თანამედროვე ლიტერატურისა და მეთოდოლოგიების დანერგვა.
2. ექსპერტების რჩევით, უნდა გადაიხედოს კრედიტების განაწილება კურსზე „ინკლუზიური ცეკვა“. ამჟამად კურსი ორ კრედიტიანია (50 საათი), მაგრამ მისი მოცულობისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, უპრიანი იქნება მისი კრედიტის გაზრდა.

პროგრამა 4 - ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი - საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

1. დირიჟორობა 1 - მოთხოვნიდან უნდა ამოიღოთ საგუნდო პარტიტურების დაკვრა და საჩვენებლად დაამატოთ მსოფლიო საგუნდო მუსიკის ნიმუშები.

რჩევები:

1. პროგრამის ხელმძღვანელმა კურსის წამყვანთან თანამშრომლობით უნდა გამოასწოროს ტექნიკური ხარვეზები, შეასწოროთ ბეჭდური შეცდომები, ნათლად განსაზღვრეთ შედეგები კურსის მიზნებთან მიმართებაში.
2. სასურველია, ძირითადი კურსების მოდულში განიმარტოს შემდეგი, მაგალითად: გუნდი 1- 7, ქართული ხალხური მუსიკა 1- 7, ხალხური საკრავები 1- 6, დირიჟორობა 1- 7 - მიზნები და შინაარსი მოკლედ უნდა იყოს აღწერილი დასაწყისში და შემდეგ კურსების მიხედვით უნდა დაზუსტდეს.

პროგრამა 5 - მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სახელმძღვანელოების და ლიტერატურის სიების განახლება უახლესი, ყველაზე აქტუალური და თანამედროვე ავტორებითა და სათაურებით.

რჩევები:

1. სასურველია ზემოაღნიშნულ ანალიზში ნახსენები და შემოთავაზებული თანამედროვე ლიტერატურისა და მეთოდოლოგიების დანერგვა.

პროგრამა 6 - მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები:

1. კურსის სახელწოდება „XX ს. ქართული თეატრი“ უნდა დაზუსტდეს პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში. თავად სილაბუსში კონკრეტული პერიოდი განსაზღვრულია - „ქართული თეატრი“ (1901-1936 წწ.) და შინაარსი შეესაბამება ამ კონკრეტულ პერიოდს. პროგრამაში სათაურის არასათანადოდ დაზუსტებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასწორი მოლოდინები ან ვარაუდები.

პროგრამა 7 - თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია ყველა სილაბუსის გადახედვა ანალიზში მოცემული კომენტარების მიხედვით და სილაბუსების განახლება.

რჩევები:

1. XX საუკუნის ფილოსოფიის კურსი მოითხოვს გარკვეული ნაწილების შინაარსის გასწორებას. კერძოდ, არის შემთხვევები, როდესაც გარკვეული კვირებში მოცემულია ამონარიდები კურსის მასალიდან და არა მკაფიოდ განსაზღვრული თემები.

პროგრამა 8 - თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) - სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაციები:

1. პროგრამას აკლია ანალოგი სადოქტორო პროგრამების სიღრმისეული ანალიზი, კომპონენტი, რომელიც, ექსპერტების აზრით, გადამწყვეტია პროგრამის ეფექტურობისა და გაუმჯობესებისთვის. კატეგორიულად რეკომენდებულია ასეთი ანალიზის მიწოდება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
2. რეკომენდებულია ყველა სილაბუსში დაემატოს კვლევის მკაცრი წესები და დაინერგოს „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ სილაბუსში შემუშავებული მაღალი აკადემიური სტანდარტები.
3. რეკომენდებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის განახლება საშემსრულებლო თეორიისა და თანამედროვე დრამატურგიის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორებითა და სათაურებით, მაგ., თეორეტიკოსები ჟან დივინიო, რიჩარდ შეხნერი, პატრის პავისი, ერიკა

ფიშერ-ლიხტე, ჰანს-ტიეს ლემანი, მარვინ კარლსონი ან მანფრედ პფისტერი, ან ისეთი დრამატურგები, როგორებიც არიან ჰაინერ მიულერი, სარა კეინი, მარკ რავენჰილი, ბოტო შტრაუსი, ელფრიდე იელინეკი, როლანდ შიმელპფენიგი, იასმინს რეზა, ბერნარ-მარი კოლტესი ან მოჰამედ ელ ხატიბი.

4. კურსი "ლიტერატურული ტექსტის ადაპტაცია დრამატულ თეატრში (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები)" ძალიან ჰგავს ბაკალავრიატის კურსს "ლიტერატურული ტექსტი დრამატულ თეატრში". ექსპერტები გვთავაზობენ კურსის ძირითადი მიზნების, მეთოდოლოგიებისა და შეფასების მექანიზმების გაუმჯობესებას, რის შედეგადაც დოქტორანტები უფრო დახვეწილ და დატალურ სასწავლო გამოცდილებას მიიღებენ.

რჩევები:

1. სასურველია პროგრამამ დაიცვას Frascati Manual 2015 სახელმძღვანელო ყველა სამეცნიერო კვლევისთვის და 2022 წელს განახლებული წინადადებების სახელმძღვანელო შემოქმედებითი კვლევებისთვის (https://aec-music.eu/media/2022/06/Cover-Letter-to-OECD_NESTI.pdf)
2. სასურველია შემოქმედებითი კვლევების მოთხოვნების მორგება „ვენის დეკლარაციის 2020“ ფარგლებში (<https://societyforartisticresearch.org/wp-content/uploads/2020/10/Vienna-Declaration-on-Artistic-Research->). საბოლოო.pdf)
3. ექსპერტების რჩევით, ამ პროგრამებში სტრატეგიული აქცენტი უნდა გაკეთდეს როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებაზე. ბაკალავრიატის დონეზე, ინგლისური ენის კურსები B1- B2 დონის ფარგლებში შეიძლება გაძლიერდეს თუ ტრადიციულ სასწავლო გეგმას დაემატება ისეთი რესურსები, რომელიც ხელს უწყობს შესაბამისი პროფესიული ტერმინოლოგიის დაუფლებას. ხოლო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დონეზე, ინგლისურ ენაზე ჩატარებული არჩევითი კურსების დამატება არა მხოლოდ ენის ცოდნის ამაღლებას შეუწყობს ხელს, არამედ მიაწოდებს სტუდენტებს მოწინავე სასწავლო მასალებს, რითაც ხელს შეუწყობს ყოვლისმომცველ ლინგვისტურ და საგანმანათლებლო გამოცდილებას. გარდა ამისა, ენის შემსწავლელი გარემოს გასაავითარებლად, ინგლისურენოვანი მასალების გამოყენება უნდა გაძლიერდეს სხვადასხვა კურსებში. ამას შეიძლება მოჰყვეს მრავალფეროვანი რესურსების ინტეგრაცია, როგორცაა სტატიები, აუდიო-ვიზუალური შინაარსი და უახლესი სახელმძღვანელოები, რაც საბოლოოდ გაამდიდრებს სწავლის პროცესს, გააძლიერებს სტუდენტებს განახლებული საგნებით და ხელს შეუწყობს პროგრამის ინტერნაციონალიზაციას.
4. ექსპერტები ძლიერად ემხრობიან კავშირებს სხვადასხვა გარე წყაროებთან, როგორცაა საელჩოები და ეროვნული/საერთაშორისო ფონდები, რათა ისარგებლონ დაფინანსებით, რაც ხელს შეუწყობს სხვადასხვა სახელმძღვანელოების, სამეცნიერო ნაშრომების და არამხატვრული მასალების თარგმნასა და გამოცემას. ამას უპირველესი მნიშვნელობა აქვს კურსებისთვის, რომლებსაც აკლიათ შესაბამისი დარგის თანამედროვე სახელმძღვანელოები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/ საგანი პროგრამა 1 - მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი) - საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.5. სასწავლო კურსი/საგანი პროგრამა 2 - თეატრის რეჟისურა - საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.5. სასწავლო კურსი/ საგანი პროგრამა 3: ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი - საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.5. სასწავლო კურსი/საგანი პროგრამა 4: ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი - საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.5. სასწავლო კურსი/საგანი პროგრამა 5: მსახიობის სამემსრულებლო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.5. სასწავლო კურსი/საგანი პროგრამა 6: მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი პროგრამა 7: თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.5. სასწავლო კურსი/საგანი პროგრამა 8: თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) - სადოქტორო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი) - საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 - თეატრის რეჟისურა - საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3: ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი - საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4: ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი - საბაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5: მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 6: მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7: თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8: თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) - სადოქტორო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება- სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების დაშვების კრიტერიუმები რეგულირდება როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე დარგობრივი მახასიათებლებით. დაშვების კრიტერიუმები არის სამართლიანი, საჯარო და გამჭვირვალე, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკაზე დაფუძნებული პროგრამებისთვის, რომლებმაც უნდა მიიღონ კონკრეტული უნარების მქონე კანდიდატები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1: მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი) - საბაკალავრო პროგრამა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება (2 გამოცდა: ქართული და უცხო ენა არჩევით) და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შემოქმედებითი კონკურსი. კანდიდატებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ საგრანტო კონკურსში, რომელიც ფარავს სწავლის საფასურს. ამ მიზნით სავალდებულოა მე-3 გამოცდის ჩაბარება

ერთიან ეროვნულ საგამოცდო პროცესში (ისტორია, მათემატიკა, სახვითი/ გამოყენებითი ხელოვნება ან ლიტერატურა).

შემოქმედებითი კონკურსი ტარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, რის გამოც შემოქმედებით კონკურსში ჩაჭრის შემთხვევაში კანდიდატს შეუძლია ისწავლოს ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შემოთავაზებულ სხვა პროგრამებზე. დაშვების წინაპირობების მნიშვნელოვანი ნაწილია შემოქმედებითი კონკურსი, რომლებიც სამ ეტაპად ტარდება: პირველი შემოქმედებითი ტური, მეორე შემოქმედებითი ტური და გამოცდა. მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად საჭიროა თითოეული ეტაპის წარმატებით დასრულება.

ინფორმაცია შემოქმედებითი კონკურსის დროის, განრიგის, ფორმატის, შეფასებისა და სხვა სპეციფიკის შესახებ ქვეყნდება წინასწარ და არის ნათელი, სამართლიანი და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული აბიტურიენტისთვის. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს კანდიდატებისთვის, რათა დარწმუნდეს, რომ მათთვის ყველა დეტალი კარგად არის ცნობილი შემოქმედებითი კონკურსის პროცესის დაწყებამდე. თუმცა, უნივერსიტეტის ვებგვერდზე არ არის განთავსებული კონკურსის დავალებების ნიმუშები. შემოქმედებითი კონკურსი ტარდება ყველა კანდიდატის თანდასწრებით, რითაც დამატებით უზრუნველყოფილია პროცესის სამართლიანობა და გამჭვირვალობა. გარდა ამისა, გამჭვირვალობის მიზნით, შემოქმედებითი კონკურსის შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. შემოქმედებითი კონკურსის მთელი პროცესი გადაღებულია იმისთვის, რომ აბიტურიენტს ჰქონდეს აპელაციის შესაძლებლობა, თუ ის არ არის კმაყოფილი ნიშნით. სააპელაციო კომისია წინასწარ არის შექმნილი.

შემუშავებული შემოქმედებითი კონკურსი შეცვლილია წინამდებარე პროგრამისთვის და ახლა უკეთესად შეესაბამება ევროპისა და აშშ-ის სამსახიობო სკოლების საუკეთესო პრაქტიკას. ახლა, პირველი შემოქმედებითი ტურის ბოლომდე, აბიტურიენტი იღებს 7 მწერლისა და 7 პოეტის სიას, რათა მოამზადოს ვერბალური ნაწილი მეორე შემოქმედებითი ტურისთვის. ეს უზრუნველყოფს უკეთეს კონკურენტუნარიანობას და სამართლიანობას შეფასებისას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 თეატრის რეჟისორი - საბაკალავრო პროგრამა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება (2 გამოცდა: ქართული და უცხო ენა არჩევით) და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შემოქმედებითი კონკურსი. კანდიდატებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ საგრანტო კონკურსში, რომელიც ფარავს სწავლის საფასურს. ამ მიზნით სავალდებულოა მე-3 გამოცდის ჩაბარება ერთიან ეროვნულ საგამოცდო პროცესში (ისტორია, მათემატიკა, სახვითი/ გამოყენებითი ხელოვნება ან ლიტერატურა).

შემოქმედებითი კონკურსი ტარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, რის გამოც შემოქმედებით კონკურსში ჩაჭრის შემთხვევაში კანდიდატს შეუძლია ისწავლოს ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შემოთავაზებულ სხვა პროგრამებზე. დაშვების წინაპირობების მნიშვნელოვანი ნაწილია შემოქმედებითი კონკურსი.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული, ინფორმაცია შემოქმედებითი კონკურსის დროის, განრიგის, ფორმატის, შინაარსის, შეფასებისა და სხვა სპეციფიკის შესახებ ქვეყნდება წინასწარ და არის ნათელი, სამართლიანი და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული აბიტურიენტისთვის. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს კანდიდატებისთვის, რათა დარწმუნდეს, რომ მათთვის ყველა დეტალი კარგად არის ცნობილი შემოქმედებითი კონკურსის პროცესის დაწყებამდე. გამჭვირვალობის მიზნით, შემოქმედებითი კონკურსის შედეგები ქვეყნდება

უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აბიტურიენტს აქვს შედეგის გასაჩივრების შესაძლებლობა, თუ ის არ არის კმაყოფილი შეფასებით. სააპელაციო კომისია წინასწარ არის შექმნილი.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ვებგვერდზე ვერ მოიძია ინფორმაცია თეატრის რეჟისურის შემოქმედებითი კონკურსის სპეციფიკის შესახებ. უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული მიღების ზოგადი წესები და შემოქმედებითი კონკურსის წესები არ მოიცავს ამ კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების მოთხოვნებს. დეტალები არ არის მოცემული არც სასწავლო გეგმაში და არც თვითშეფასების ანგარიშში. თუმცა, მოთხოვნები კარგად განმარტა უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტის დროს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი - საბაკალავრო პროგრამა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება (2 გამოცდა: ქართული და უცხო ენა არჩევით) და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შემოქმედებითი კონკურსი. კანდიდატებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ საგრანტო კონკურსში, რომელიც ფარავს სწავლის საფასურს. ამ მიზნით სავალდებულოა მე-3 გამოცდის ჩაბარება ერთიან ეროვნულ საგამოცდო პროცესში (ისტორია, მათემატიკა, სახვითი/ გამოყენებითი ხელოვნება ან ლიტერატურა).

შემოქმედებითი კონკურსი ტარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, რის გამოც შემოქმედებით კონკურსში ჩაჭრის შემთხვევაში კანდიდატს შეუძლია ისწავლოს ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შემოთავაზებულ სხვა პროგრამებზე. დაშვების წინაპირობების მნიშვნელოვანი ნაწილია შემოქმედებითი კონკურსი, რომლებიც სამ ეტაპად ტარდება: პირველი შემოქმედებითი ტური, მეორე შემოქმედებითი ტური და გამოცდა. მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად საჭიროა თითოეული ეტაპის წარმატებით დასრულება.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული, ინფორმაცია შემოქმედებითი კონკურსის დროის, განრიგის, ფორმატის, შინაარსისა და სხვა სპეციფიკის შესახებ ქვეყნდება წინასწარ და არის ნათელი, სამართლიანი და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული აბიტურიენტისთვის. უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული შემოქმედებითი კონკურსის წესი დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის შემოქმედებითი კონკურსის პროცესის სპეციფიკაზე და შეფასების კრიტერიუმებზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს კანდიდატებისთვის, რათა დარწმუნდეს, რომ მათთვის ყველა დეტალი კარგად არის ცნობილი შემოქმედებითი კონკურსის პროცესის დაწყებამდე. გამჭვირვალობის მიზნით, შემოქმედებითი კონკურსის შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აბიტურიენტს აქვს შედეგის გასაჩივრების შესაძლებლობა, თუ ის არ არის კმაყოფილი შეფასებით. სააპელაციო კომისია წინასწარ არის შექმნილი.

შემოქმედებითი კონკურსი ტარდება ყველა კანდიდატის თანდასწრებით, რითაც დამატებით უზრუნველყოფილია პროცესის სამართლიანობა და გამჭვირვალობა. გარდა ამისა, გამჭვირვალობის მიზნით, შემოქმედებითი კონკურსის შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. შემოქმედებითი კონკურსის მთელი პროცესი გადაღებულია იმისთვის, რომ აბიტურიენტს ჰქონდეს აპელაციის შესაძლებლობა, თუ ის არ არის კმაყოფილი ნიშნით. სააპელაციო კომისია წინასწარ არის შექმნილი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4: ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი - საბაკალავრო პროგრამა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება (2 გამოცდა: ქართული და უცხო ენა არჩევით) და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შემოქმედებითი კონკურსი. კანდიდატებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ეროვნულ საგრანტო კონკურსში, რომელიც ფარავს სწავლის საფასურს. ამ მიზნით სავალდებულოა მე-3 გამოცდის ჩაბარება ერთიან ეროვნულ საგამოცდო პროცესში (ისტორია, მათემატიკა, სახვითი/ გამოყენებითი ხელოვნება ან ლიტერატურა).

შემოქმედებითი კონკურსი ტარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, რის გამოც შემოქმედებით კონკურსში ჩაჭრის შემთხვევაში კანდიდატს შეუძლია ისწავლოს ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შემოთავაზებულ სხვა პროგრამებზე. დაშვების წინაპირობების მნიშვნელოვანი ნაწილია შემოქმედებითი კონკურსი, რომლებიც ორ ეტაპად ტარდება: პირველი შემოქმედებითი ტური და გამოცდა. შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად საჭიროა პირველი ეტაპის წარმატებით დასრულება.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული, ინფორმაცია შემოქმედებითი კონკურსის დროის, განრიგის, ფორმატის, შინაარსისა და სხვა სპეციფიკის შესახებ ქვეყნდება წინასწარ და არის ნათელი, სამართლიანი და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული აბიტურიენტისთვის. უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული შემოქმედებითი კონკურსის წესი დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის შემოქმედებითი კონკურსის პროცესის სპეციფიკაზე და შეფასების კრიტერიუმებზე. იქვეა მითითებულია 10 სიმღერის ჩამონათვალი, რომელიც აბიტურიენტმა უნდა მოამზადოს გამოცდაზე წარსადგენად. დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ უპირატესობა მიენიჭებათ იმ აბიტურიენტებს, რომლებიც ფლობენ ფორტეპიანოს ან რომელიმე ქართულ ხალხურ საკრავს. შემოქმედებითი კონკურსის დაწყებამდე, უნივერსიტეტი მართავს საკონსულტაციო შეხვედრებს კანდიდატებისთვის, რათა დარწმუნდეს, რომ მათთვის ყველა დეტალი კარგად არის ცნობილი შემოქმედებითი კონკურსის პროცესის დაწყებამდე. გამჭვირვალობის მიზნით, შემოქმედებითი კონკურსის შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აბიტურიენტს აქვს შედეგის გასაჩივრების შესაძლებლობა, თუ ის არ არის კმაყოფილი შეფასებით. სააპელაციო კომისია წინასწარ არის შექმნილი.

შემოქმედებითი კონკურსი ტარდება ყველა კანდიდატის თანდასწრებით, რითაც დამატებით უზრუნველყოფილია პროცესის სამართლიანობა და გამჭვირვალობა. გარდა ამისა, გამჭვირვალობის მიზნით, შემოქმედებითი კონკურსის შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. შემოქმედებითი კონკურსის მთელი პროცესი გადაღებულია იმისთვის, რომ აბიტურიენტს ჰქონდეს აპელაციის შესაძლებლობა, თუ ის არ არის კმაყოფილი ნიშნით. სააპელაციო კომისია წინასწარ არის შექმნილი.

პროგრამა 4: ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი - საბაკალავრო პროგრამა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, ისინი ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; საბაკალავრო პროგრამაზე მიღების გადამწყვეტი მოთხოვნაა სტუდენტების შერჩევა ინდივიდუალური შემოქმედებით-საშესრულებლო უნარების საფუძველზე. სხვადასხვა დავალების შესრულებით აბიტურიენტი ავლენს საბაზისო მუსიკალური შესრულების და შემოქმედებით უნარებს. შემოქმედებითი ტური ტარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, ორ ეტაპად: პირველი შესარჩევი ტური და გამოცდა, რომელიც ადგენს კანდიდატის შესაბამისობას პროგრამით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების წინაპირობებთან. შემოქმედებითი ტურის პირობებს და პროცედურებს ამტკიცებს აკადემიური საბჭო; შესაბამისი სასწავლო წლის ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე ჩატარებული შემოქმედებითი ტურის წესები და მოთხოვნები საჯარო და ხელმისაწვდომია და განთავსებულია ვებგვერდზე. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ გამოცდამდე

აბიტურიენტი დაესწროს სავალდებულო საკონსულტაციო შეხვედრებს, სადაც განისაზღვრება შემოქმედებითი ტურის მოსამზადებელი პროგრამა.

პროგრამის ხელმძღვანელთან და კოორდინატორთან გასაუბრებისას გაჟღერდა ინფორმაცია, რომ 2024-25 წლებში მისაღებ გამოცდებში კონკრეტული ცვლილებები განხორციელდება. კერძოდ, აბიტურიენტებს არ მოეთხოვებათ მუსიკის თეორიული ცოდნა. ამ შემთხვევაში, არსებობს ლოგიკური კავშირი პროგრამის შინაარსსა და შედეგს შორის, ფორტეპიანო 1, ფორტეპიანო 2 და მუსიკის თეორიის კურსებს შორის. აღსანიშნავია, რომ ცვლილებები უნდა განხორციელდეს დირიჟორობა 1- ის შინაარსში (კერძოდ, საგუნდო პარტიტურების დაკვრა უნდა იყოს ამოღებული დირიჟორობა 1- დან და ეს ცვლილება ბუნებრივია გავლენას მოახდენს მოსალოდნელ შედეგზე).

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5: მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა

პროგრამაზე დაშვების ზოგადი წინაპირობებია:

- სულ მცირე ბაკალავრის ხარისხი
- ინგლისური ენა (B2 დონე)
- ქართული ენა (B2 დონე) უცხოელი კანდიდატებისთვის.

არ არის საჭირო ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება. ეს არის გამონაკლისი, რომელსაც კანონმდებლობა უშვებს საშემსრულებლო ხელოვნების სამაგისტრო პროგრამებისთვის.

თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულია, რომ ენის ცოდნა ფასდება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ენის გამოცდის მეშვეობით. ენის გამოცდის მოთხოვნა შეიძლება გაუქმდეს, თუ აპლიკანტი წარადგენს სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს მის ენის ცოდნას, ან თუ მან გაიარა ერთი ან მეტი ინგლისურენოვანი კურსი ბაკალავრიატის საფეხურზე.

ინგლისური ენის ტესტის ნიმუში წარმოდგენილი იქნა ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნით. თუმცა, მიმდინარე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ არცერთ აბიტურიენტს არ ჩაუბარებია ენის გამოცდა და არ წარმოუდგინია ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს უცხო ენის ცოდნის მნიშვნელობა როგორც სწავლისთვის, ასევე შემდგომი კარიერული განვითარებისთვის. მათ განაცხადეს, რომ მიესალმებოდნენ პროფესიული ინგლისურის კურსს, რომელიც შეეხება შესრულების სპეციფიკას. ექსპერტთა ჯგუფს ასევე სურს ხაზი გაუსვას უცხო ენის მნიშვნელობას სასწავლო პროცესისთვის, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როდესაც ძირითადი ლიტერატურა ქართულ ენაზე საკმაოდ მწირია და სტუდენტები სწავლისა და კვლევისთვის იძულებულნი არიან ინგლისურენოვან ლიტერატურას მიმართონ.

ქართული ენის გამოცდის ნიმუში მოთხოვნის შესაბამისად ვერ წარადგინეს. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტი ჯერ არ ჰყოლიათ. ასეთი საჭიროების შემთხვევაში, ტესტს შეიმუშავებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის დეპარტამენტი.

1-ელი მოდულის სპეციფიკური წინაპირობები - თეატრის რეჟისურის

- ბაკალავრის ხარისხი თეატრის რეჟისურაში ან მსახიობობაში ან პრაქტიკული გამოცდილება ამ სფეროში;

- შემოქმედებითი კონკურსი, რომლისთვისაც კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს;
 - პროფესიონალური CV;
 - სამოტივაციო წერილი;
 - პროფესიონალური პორტფოლიო;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების შემდეგ, წარმატებული კანდიდატები მონაწილეობას იღებენ შემოქმედებით ტურში, რომელიც ტარდება ორ ეტაპად:
 - წერითი გამოცდა, სადაც კანდიდატმა უნდა დაწეროს რეჟისორის სცენარი კონკრეტულ სპექტაკლზე.
 - გასაუბრება კანდიდატთან, სადაც კომისია ამოწმებს კანდიდატის კონკრეტულ ცოდნას და უნარებს.

ინფორმაცია მისაღები მოთხოვნების შესახებ ღიაა ყველა კანდიდატისთვის. უნივერსიტეტი ასევე წარადგენს 30 პიესის ჩამონათვალს, რომლებიც კანდიდატმა უნდა წაიკითხოს შემოქმედებითი ტურის წინ. სია ქვეყნდება ვებგვერდზე შერჩევის პროცესის დაწყებამდე. სპექტაკლების სია მოთხოვნისთანავე გადაეცემა ექსპერტთა ჯგუფს.

მე-2 მოდულის სპეციფიკური წინაპირობები - ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი

კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- ქორეოგრაფიაში მნიშვნელოვანი გამოცდილება (მინიმუმ 6 წელი). თუ კანდიდატს აქვს ბაკალავრის ხარისხი ქორეოგრაფიაში (რაც სასურველია), მან უნდა წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი ქორეოგრაფიაში კიდევ 2 წლის გამოცდილების შესახებ.
- აპლიკანტის შემოქმედებითი ნამუშევრის აუდიოვიზუალური ნიმუშები, რომლებიც ასახავს ქორეოგრაფისთვის საჭირო კომპეტენციებს.

კანდიდატმა უნდა გაიაროს შემოქმედებითი კონკურსის პროცესი, რისთვისაც მან უნდა წარმოადგინოს

- პროფესიონალური CV;
- სამოტივაციო წერილი/ესსე;
- მიზნები, სადაც კანდიდატი აღწერს პროფესიულ გამოცდილებას და კარიერულ მოლოდინებს.

მოწოდებული დოკუმენტაციის შეფასების შემდეგ კანდიდატი გადისგასაუბრებაზე, სადაც კომისია ამოწმებს მის სპეციფიკურ ცოდნას და უნარებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6: მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

- სულ მცირე ბაკალავრის ხარისხი ხელოვნებაში ან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ან სოციალურ მეცნიერებებში.
- ინგლისური ენა (B2 დონე)
- ქართული ენა (B2 დონე) უცხოელი კანდიდატებისთვის.
- შემოქმედებითი კონკურსი

არ არის საჭირო ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება. ეს არის გამონაკლისი, რომელსაც კანონმდებლობა უშვებს სამემსრულებლო ხელოვნების სამაგისტრო პროგრამებისთვის.

თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულია, რომ ენის ცოდნა ფასდება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ენის გამოცდის მეშვეობით. ენის გამოცდის მოთხოვნა შეიძლება გაუქმდეს, თუ აპლიკანტი წარადგენს სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს მის ენის ცოდნას, ან თუ მან გაიარა ერთი ან მეტი ინგლისურენოვანი კურსი ბაკალავრიატის საფეხურზე.

ინგლისური ენის ტესტის ნიმუში წარმოდგენილი იქნა ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნით. თუმცა, მიმდინარე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ არცერთ აბიტურიენტს არ ჩაუბარებია ენის გამოცდა და არ წარმოუდგინია ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს უცხო ენის ცოდნის მნიშვნელობა როგორც სწავლისთვის, ასევე შემდგომი კარიერული განვითარებისთვის. მათ განაცხადეს, რომ მიესალმებოდნენ პროფესიული ინგლისურის კურსს, რომელიც შეეხება შესრულების სპეციფიკას. ექსპერტთა ჯგუფს ასევე სურს ხაზი გაუსვას უცხო ენის მნიშვნელობას სასწავლო პროცესისთვის, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როდესაც ძირითადი ლიტერატურა ქართულ ენაზე საკმაოდ მწირია და სტუდენტები სწავლისა და კვლევისთვის იძულებულნი არიან ინგლისურენოვან ლიტერატურას მიმართონ.

ქართული ენის გამოცდის ნიმუში მოთხოვნის შესაბამისად ვერ წარადგინეს. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტი ჯერ არ ჰყოლიათ. ასეთი საჭიროების შემთხვევაში, ტესტს შეიმუშავებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის დეპარტამენტი.

პროგრამაში ჩარიცხვის საფუძველია შიდა შემოქმედებითი კონკურსის გავლა, რომლისთვისაც კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

- პროფესიონალური CV;
- სამოტივაციო წერილი/ესსე

მოწოდებული დოკუმენტაციის შეფასების შემდეგ კანდიდატი გადისგასაუბრებაზე, სადაც კომისია ამოწმებს მის სპეციფიკურ ცოდნას და უნარებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7: თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა:

პროგრამა ახალია. შესაბამისად, მას არ ჰყავს ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

- სულ მცირე ბაკალავრის ხარისხი ხელოვნებაში ან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ან სოციალურ მეცნიერებებში.
- ინგლისური ენა (B2 დონე)
- ქართული ენა (B2 დონე) უცხოელი კანდიდატებისთვის.
- შემოქმედებითი კონკურსი

არ არის საჭირო ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება. ეს არის გამონაკლისი, რომელსაც კანონმდებლობა უშვებს სამემსრულებლო ხელოვნების სამაგისტრო პროგრამებისთვის.

თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულია, რომ ენის ცოდნა ფასდება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ენის გამოცდის მეშვეობით. ენის გამოცდის მოთხოვნა შეიძლება გაუქმდეს, თუ აპლიკანტი წარადგენს სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს მის ენის ცოდნას, ან თუ მან გაიარა ერთი ან მეტი ინგლისურენოვანი კურსი ბაკალავრიატის საფეხურზე.

პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია შიდა შემოქმედებითი კონკურსის გავლა, რომლისთვისაც კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

- პროფესიონალური CV;
- სამოტივაციო წერილი/ესე
- პროფესიონალური პორტფოლიო

წარდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, კანდიდატები მონაწილეობას იღებენ შემოქმედებით კონკურსში, რომელიც ტარდება 2 ეტაპად:

- წირითი გამოცდა, სადაც ფასდება კანდიდატის შემოქმედებითი აზროვნებისა და წერის უნარები
- გასაუბრება კანდიდატთან, სადაც კომისია ამოწმებს კანდიდატის კონკრეტულ ცოდნას და უნარებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8: თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) - სადოქტორო პროგრამა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია:

- სულ მცირე მაგისტრის ხარისხი.
- ინგლისური ენა (B2 დონე)
- ქართული ენა (B2 დონე) უცხოელი კანდიდატებისთვის.

არც თვითშეფასების ანგარიში და არც პროგრამის სასწავლო გეგმა არ იძლევა დამატებით წერილობით ინფორმაციას სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ კანდიდატმა ასევე უნდა გაიაროს გასაუბრების პროცესი, სადაც უნდა გამოხატოს თავისი კვლევითი ინტერესები, ასევე უნდა ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი შესაბამის სფეროში. ეს მოთხოვნები ოფიციალურ დოკუმენტაციაში არსად არის მითითებული. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნით, უნივერსიტეტმა დამატებით წარმოადგინა "მინიმალური სტანდარტი დოქტორანტურისთვის", სადაც მითითებულია, რომ კანდიდატის ინგლისური ენის ცოდნა უნდა იყოს B2 დონეზე, ისევე როგორც მისაღები გასაუბრების მოთხოვნა.

გასაუბრებისას დოქტორანტებმა დაადასტურეს, რომ გაიარეს ინგლისური ენის ცოდნის ტესტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების თვითშეფასება;
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო გეგმები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული შემოქმედებითი კონკურსის წესები და სპეციფიკა www.tafu.edu.ge;
- უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული საბაკალავრო პროგრამებზე მიღების ზოგადი წესები www.tafu.edu.ge;

- გასაუბრებები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნების თეატრის რეჟისურის (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) მოდულის შემოქმედებითი ტურისთვის განკუთვნილი სპექტაკლების სია;
- ენის კომპეტენციის ტესტის ნიმუში;
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- პროცესის კიდევ უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის, სასურველია გამოქვეყნდეს შემოქმედებითი კონკურსის დავალებების ნიმუშები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 2 (თეატრის რეჟისურა) (ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

- პროგრამაზე დაშვების პროცესის კიდევ უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის, რეკომენდებულია გამოქვეყნდეს პროგრამის შემოქმედებითი კონკურსის მოთხოვნები.

პროგრამა 4 - ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი - საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები: ცვლილებები შემოქმედებითი ტურის მოთხოვნებში უნდა განხორციელდეს 2024-25 წლებისთვის. უსდ-მ შინაარსიდან უნდა ამოიღოს შემდეგი: ინტერვალების გამოცნობა, მუსიკის თეორიის ელემენტარული ცოდნის დემონსტრირება.

პროგრამა 5 - მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- სავალდებულოა, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამაზე დაცული იყოს პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და ოფიციალური ტესტის საშუალებით მოხდეს დასაბუთება, რომ ყველა კანდიდატი აკმაყოფილებს ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნას.

პროგრამა 6 - მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- სავალდებულოა, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამაზე დაცული იყოს პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და ოფიციალური ტესტის საშუალებით მოხდეს დასაბუთება, რომ ყველა კანდიდატი აკმაყოფილებს ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნას.

პროგრამა 7 - თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- სავალდებულოა, რომ ყველა სამაგისტრო პროგრამაზე დაცული იყოს პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და ოფიციალური ტესტის საშუალებით მოხდეს დასაბუთება, რომ ყველა კანდიდატი აკმაყოფილებს ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნას.

პროგრამა 8 - თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) - სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაციები:

- სავალდებულოა, რომ პროგრამამ სრულად გამოაქვეყნოს პროგრამაზე მიღების წინაპირობები.

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი) - საბაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 - თეატრის რეჟისურა (ზაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 - ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი - საზაკალავრო პროგრამა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 - ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი - საზაკალავრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 - მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 - მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 - თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი) - სამაგისტრო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 - თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგია) - სადოქტორო პროგრამა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამეცნიერო და შემოქმედებითი კვლევა და შემოქმედებითი მხატვრული პროდუქტის შექმნა არის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი და ისინი შეესაბამება ყველა სასწავლო სფეროს. პროგრამები უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული და

კვლევითი უნარების განვითარებას სხვადასხვა გზით. სასწავლო პროგრამების ძირითადი მიმართულებების სავალდებულო მოდულები ორიენტირებულია პროფესიისთვის საჭირო ცოდნისა და უნარ- ჩვევების შექმნაზე. სამივე საფეხურის (ე.ი. ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა მასტერკლასში, ვორქშოფსა და სტუდენტურ კონფერენციაში, რომლებიც ეწყობა და იგეგმება შესაბამისი პროგრამების სასწავლო შედეგების შესაბამისად. მხატვრული შემოქმედებისა და კვლევის პროგრესს ხელმძღვანელობენ და აფასებენ ბაკალავრიატიდან დოქტორანტურამდე. სამეცნიერო და შემოქმედებითი სტანდარტები და მეთოდოლოგიები თითოეულ სასწავლო პროგრამაზე კლასტერის ქოლგის ქვეშ არის გაერთიანებული. დადგენილია მხატვრული შემოქმედებითი პროდუქციის და კვლევის შედეგების შეფასების მეთოდები.

თვითშეფასების ანგარიშიდან და მასთან დაკავშირებული დოკუმენტებიდან, ასევე ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციიდან კარგად ჩანს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული შემოქმედებითი წარმოებისა და კვლევითი საქმიანობის მნიშვნელოვანი დონე. აკადემიურმა პერსონალმა შექმნა და გამოსცა "მსოფლიო თეატრის ისტორია" (5 ტომი) და ამჟამად მუშაობს ტომზე "ქართული თეატრის ისტორია", რომელიც ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცემა. პედაგოგები მონაწილეობენ შიდა და საერთაშორისო კონფერენციებში და აქვეყნებენ თავიანთ ნაშრომებს, რომლებიც ეხება კურსებისა და სასწავლო პროგრამების შინაარსს.

ადგილზე გასაუბრებისას ექსპერტთა პანელმა შეიტყო, რომ დოქტორანტების სტატიები ქვეყნდება ჟურნალებში უნივერსიტეტის დახმარებით და მხარდაჭერით. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებს მოუწოდებენ წარადგინონ საგრანტო წინადადებები და მიიღონ მონაწილეობა ERASMUS+ მობილობის პროგრამაში, თუმცა ბევრი სტუდენტი არ იყენებს ამ შესაძლებლობებს.

სასწავლო პროცესის ფარგლებში, სტუდენტები პირველივე კურსიდან უშუალოდ არიან ჩართულნი სხვადასხვა შემოქმედებით წარმოებებში და პროექტებში, ასევე სხვადასხვა ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ კვლევით პროექტებში. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები შეიცავს აკადემიური წერის კურსებს. სილაბუსი „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“ გვთავაზობს საკმაოდ მყარ საფუძველს კვლევისთვის და მეთოდოლოგიის შესაბამის ცოდნას. თუმცა, მისი შედეგების გავრცელება სხვა ძირითად სილაბუსებში არ ჩანს. ამ სილაბუსით მიღებული ცოდნა უნდა განხორციელდეს ყველა სილაბუსში, რომელიც ეხება მხატვრულ ან სამეცნიერო კვლევას. ასევე სასარგებლო იქნებოდა Frascati Manual 2015 შეტანა „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში.

ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებიდან ექსპერტთა ჯგუფს აცნობეს, რომ უცხო ენების, განსაკუთრებით ინგლისურის ცოდნის დონე ჯერ კიდევ არ არის ადეკვატური აკადემიური და ინტერნაციონალიზაციის მიზნებისთვის.

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია და ეს დადასტურდა კიდევ ადგილზე ჩატარებული გასაუბრებებით, რომ სწავლების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები ორგანიზებულია სასწავლო დონისა და პროგრამების დაგეგმილი სწავლის შედეგების შესაბამისად. პროცესი მიმდინარეობს ჯგუფური და ინდივიდუალური ფორმების, სტუდიური მუშაობის, ყოველდღიური სწავლების, პრაქტიკულ-შემოქმედებითი მეცადინეობებისა და რეპეტიციების სახით. სტუდენტები მონაწილეობენ ხელოვნების პროდუქტების შექმნაში და ავითარებენ პროფესიონალურ უნარებს, როგორც თეორიული ლექციების, ასევე პრაქტიკული სწავლების გზით.

თუმცა, როგორც თვითშეფასების ანგარიშშია ნათქვამი, ვინაიდან თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს ახალი მხატვრული და ესთეტიკური ღირებულებების, ახალი ფორმებისა და მეთოდების პრაქტიკულ საქმიანობაში

შემოღობასა და დანერგვას, შემოქმედებითი და სამეცნიერო კვლევითი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად უნდა გაძლიერდეს. კვლევის მოდელები ჯერ კიდევ არ იძლევა ისეთ შემოქმედებით პრაქტიკას, მხატვრული კვლევის მეთოდოლოგიას, ცოდნის წარმოებასა და წინსვლას, რაც ნათლად განასხვავებს დოქტორანტურის დონის ინოვაციურ კვლევას სხვა კვლევებისა და მხატვრული პრაქტიკებისგან, რომლებიც შესაბამისი და უკვე წარმოდგენილია ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დონეზე.

როგორც ექსპერტთა ჯგუფს აცნობეს ადგილზე გასაუბრებისას, უნივერსიტეტი არის რამდენიმე ორგანიზაციის წევრი, მათ შორის: ევროპის ხელოვნების ინსტიტუტების ლიგა - ELIA, კინოსა და ტელევიზიის სკოლების საერთაშორისო ასოციაცია - CILECT, ტრადიციული მუსიკის საერთაშორისო საბჭო - ICTM და მსოფლიო თეატრალური განათლების ალიანსი - WTEA. ეს ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ უნივერსიტეტის საიტზე http://www.tafu.edu.ge/wm.php?page=tdepar_about_en.

ექსპერტთა პანელი აფასებს ინტერნაციონალიზაციის ასეთ მნიშვნელოვან ძალისხმევას და სურს დაამატოს, რომ ინდივიდუალური და ინსტიტუციური გაწვევიანება კიდევ რამდენიმე ასოციაციაში (თეატრის კვლევის საერთაშორისო ფედერაცია - IFTR, თეატრისა და სპექტაკლების შესწავლის ევროპული ასოციაცია - EASTAP და არაფორმალური ევროპული თეატრის შეხვედრა - IETM) გაამდიდრებს საგანმანათლებლო პროგრამებს ყველაზე აქტუალური და უახლესი კვლევისა და მხატვრული პრაქტიკის რესურსებით, ასევე ხელს შეუწყობს საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვადასხვა საგრანტო ფესტივალებში მონაწილეობას ან გამოქვეყნებებს.

პროგრამა 4 - ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი - საბაკალავრო პროგრამა

სავალდებულო კომპონენტების (რომელიც სასწავლო კურსის შეფასების მეთოდების კომპონენტით არის გათვალისწინებული) და კლასგარეშე აქტივობების ფარგლებში, ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ასევე მათ ჩართულობას სამეცნიერო/კვლევით/ შემოქმედებით პროექტებში. პროგრამა ძირითადად საშემსრულებლო უნარების განვითარებას ემსახურება და ცხადია, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პრაქტიკულ, შემოქმედებით ნაწილს. სტუდენტების საშემსრულებლო უნარების წარმოსაჩენად ყოველწლიურად იმართება კონცერტები, როგორც უნივერსიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სტუდენტები ჩართულნი არიან ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის სხვადასხვა აქტივობებში. ამას წინ უძღვის ხანგრძლივი და საინტერესო რეპეტიციები, სტუდენტები მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსებსა და კონცერტებში, გაცვლით პროგრამებში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მათ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მისასალმებელია, რომ თითქმის ყველა კურსს აქვს კვლევის კომპონენტი მოხსენების ან საკურსოს სახით, რაც ხელს უწყობს კვლევის კომპონენტის განვითარებას. გასაუბრებების დროს აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტი ფინანსურად უჭერს მხარს სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში, რითაც გამოავლენს მათ პოტენციალს, მათ შორის აუდიო დისკის ჩანაწერის გაკეთებას. როგორც დამსაქმებლები აღნიშნავენ, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და ხარისხი მაღალია. უნივერსიტეტში არსებობს პროფესორის ასისტენტობა, რაც ხელს უწყობს მომავალი პერსონალის განათლებას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა შედარებით ახალია, მოსალოდნელია, რომ ის კიდევ უფრო მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის მასალები;
- სილაბუსები;
- უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში;

- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

3. რეკომენდებულია კვლევებთან დაკავშირებული ყველა სილაბუსში დაინერგოს ის მკაცრი სტანდარტები, რომლებიც მოცემულია სილაბუსში „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“.
4. რეკომენდებულია ვენის 2020 წლის დეკლარაციის პრინციპების გამოყენება. (<https://societyforartisticresearch.org/wp-content/uploads/2020/10/Vienna-Declaration-on-Artistic-Research-Final.pdf>) ყველა მხატვრულ კვლევაზე.

კლასტერის საერთო რჩევები:

1. სასურველია უცხოური კულტურული ცენტრების შესაძლებლობების გამოყენება კვლევისთვის საჭირო უახლესი და ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურის თარგმნისთვის.
2. სასურველია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მეტი საერთაშორისო მობილობის სტიმულირება ERASMUS+ პროგრამის ან სხვა საგრანტო თუ მხარდამჭერი საშუალებით.
3. სასურველია კლასტერში ყველა მხატვრული და კვლევითი აქტივობის კოორდინაცია კონცეპტუალური და ინსტიტუციური ჩარჩოს მეშვეობით, რამაც კვლევით ამოცანებთან შესაბამისობაში მოყვანით შესაძლოა შედეგად გამოიღოს ინდივიდუალური საქმიანობის ფორმირება.
4. სასურველია თანამშრომლობის გაღრმავება საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორ ინსტიტუტებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან მხარდაჭერას და რესურსებს ახალი ერთობლივი არჩევითი კურსების დანერგვისთვის. უახლესი ტექნოლოგიების გამოცდილების მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა გაამდიდრებს სასწავლო გამოცდილებას და გააცნობს სტუდენტებს თავიანთი სფეროების უახლეს მიღწევებს.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 8 - თეატრის რეჟისურის (შემოქმედებითი პედაგოგიკა) - სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია დოქტორანტურისთვის კვლევითი პროექტების ყველაზე რთული და ყველაზე მომთხოვნი ტიპებისა და მოდელების დანერგვა, რითაც თავიდან ავიცილებთ უფრო დაბალი, სამაგისტრო და საბაკალავრო დონის შესაფერისი კვლევების ჩატარებას.

რჩევები:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 - მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თდოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი) - ბაკალავრიატი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 - თეატრის რეჟისურა, ბაკალავრიატი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 - ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი, ბაკალავრიატი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 - ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი, ბაკალავრიატი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 - მსახიობის საშემსრულებლო ხელოვნება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

(თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი),
მაგისტრატურა

პროგრამა 6 - მეტყველების კულტურა
(თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი),
მაგისტრატურა

პროგრამა 7 - თეატრისა და კინოს
დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა
და პრაქტიკის ანალიზი),
მაგისტრატურა

პროგრამა 8 - თეატრის რეჟისურის
(შემოქმედებითი პედაგოგიკა),
დოქტორანტურა

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში გამოიყენება სწავლება- სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები. დასაფასებელია საბაკალავრო პროგრამების აქცენტი ინდივიდუალური შემოქმედებითი შესრულების უნარებზე, რადგან ის უზრუნველყოფს თანდაყოლილი ნიჭის და პოტენციალის მქონე სტუდენტების შერჩევას და აძლევს მათ შესაძლებლობას, განავითარონ თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობები მაღალ პროფესიონალურ დონეზე.

პროგრამებში თეორიული და პრაქტიკულ- შემოქმედებითი კურსების ერთობლიობა ქმნის გარკვეულ ბალანსს და აწვდის სტუდენტებს მყარ ჰუმანიტარულ განათლებას და ამავდროულად ამზადებს მათ მათთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით სამომავლო კარიერისთვის ხელოვნების სფეროში. ეს მიდგომა ხელს უწყობს ჰოლისტური სწავლის გამოცდილებას, რომელიც მოიცავს როგორც აკადემიურ გაგებას, ასევე პრაქტიკულ გამოყენებას.

პროგრამებში გამოიყენებული სწავლების მეთოდების მასშტაბი ფართოა და ძირითადად ტრადიციული. ლექციისა და სემინარის ფორმატი ხელს უწყობს ცოდნის გადაცემას და ინტერაქტიულ დისკუსიებს, ხოლო პრაქტიკული მუშაობა, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური, ხელს უწყობს პრაქტიკულ სწავლებას და თანამშრომლობას. მეთოდებს შორის ნახსენებია ელექტრონული სწავლება როგორც სწავლის ელექტრონული რესურსი, მაგრამ პროგრამისთვის კარგი იქნება ინოვაციური სახეობების დამატება: ა) შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი: 1) წინასწარ ჩაწერილი ვიდეო ლექციები, რომელიც მოიცავს ძირითად ცნებებს, სამსახიობო ტექნიკას, სარეჟისორო პრინციპებს და შესაბამის თეორიას. სტუდენტებს შეუძლიათ მეცადინეობაზე მოვლამდე უყურონ ამ ლექციებს საკუთარი ტემპით და შემდეგ საკლასო დრო დაუთმონ მათ განხილვას; 2) ონლაინ დისკუსიები: ონლაინ სადისკუსიო ფორუმების ან პლატფორმების გამოყენება, რაც გაამარტივებს დისკუსიებს

მეცადინეობამდე. სტუდენტებს შეუძლიათ გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი აზრები, კითხვები და კომენტარები დავალებულ საკითხავებზე და ვიდეო ლექციებზე; ბ) ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მეთოდები: 1) ვირტუალური რეპეტიციები და სპექტაკლები: ვიდეოკონფერენციის ხელსაწყოების ან ვირტუალური რეალობის პლატფორმების გამოყენება რეპეტიციებისა და სპექტაკლების დისტანციურად ჩასატარებლად. ეს განსაკუთრებით კარგად მუშაობს შორ მანძილზე თანამშრომლობისთვის; 2) ციფრული ისტორია და სცენარის ანალიზი: სტუდენტებს შეუძლიათ ერთობლივად იმუშაონ სცენების ვიზუალიზაციაზე, ბლოკირებაზე და სხვადასხვა რეჟისორული მიდგომების შესწავლაზე, შემოქმედებითი პროცესის გამართვაზე; 3) ონლაინ სამსახიობო სავარჯიშოები: ინტერაქტიული ონლაინ პლატფორმების ან აპლიკაციების შექმნა/ გამოყენება, რომლებიც გვთავაზობენ სამსახიობო ვირტუალურ სავარჯიშოებს, პერსონაჟების განვითარების ინსტრუმენტებს და იმპროვიზაციის სცენარებს. ეს ციფრული რესურსები სტუდენტებს დამატებით შესაძლებლობებს მისცემს, ივარჯიშონ და დახვეწონ სამსახიობო უნარები კლასის გარეთ; 4) ონლაინ მოსმენა და კასტინგი: საჭიროების შემთხვევაში ვირტუალური მოსმენის და კასტინგის ჩატარება, რაც მოსახერხებელია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ინსტრუქტორებისთვის. ეს მიდგომა ასევე ამზადებს სტუდენტებს ამ სფეროში გამოყენებული ციფრული მოსმენის პრაქტიკისთვის.

სამსახიობო/ რეჟისურის კურსებში შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი საშუალებას მისცემს სტუდენტებს აკონტროლონ თავიანთი სწავლა, ხელს უწყობს აქტიურ ჩართულობას და მაქსიმალურად გავრდის პრაქტიკულ გამოყენებასა და თანამშრომლობით სწავლაზე დახარჯულ დროს, ხოლო ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მეთოდების ინტეგრირებით სამსახიობო/ რეჟისურის სწავლებაში, პედაგოგებს შეუძლიათ მიიღონ ინოვაციები, მოერგონ ცვალებად სასწავლო გარემოს და მოამზადონ სტუდენტები თავიანთი პროფესიის მზარდი მოთხოვნებისთვის. ეს არის უნიკალურ შესაძლებლობა დააკავშიროთ სამსახიობო და რეჟისორული ხელოვნება თანამედროვე ტექნოლოგიების მრავალმხრივობასა და ეფექტურობასთან.

